პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 ივნისი პარასკევი 2011

№ 134 (13431) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორგუაშვილები პატიმრობას გადაურჩებიან

ფინური სკანდალი: სასამართლოც იქნება

ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ ფინეთის პოლიციამ ამ ქვეყნის პირველი ლიგის გუნდის "როვანიემის" 9 ფეხბურთელი რომ დააკავა, რომელთა შორისაც 7 ზამბიელი იყო, ხოლო ორი ქართველი – ტყუპი ძმები **პავლე და ვალტერ ხორგუაშვილები**. ქართველები სამართალდამცავებმა დაჰკითხეს და გაუშვეს, თუმცა საქმე ამით არ დახურულა.

ძიება გრძელდება და სასამართლო პროცესიც გაიმართება, სადაც საბოლოოდ გაირკვევა, ურევია თუ არა ხორგუაშვილების ხელი მატჩების გარიგებაში. კერძოდ, ლაპარაკია წლეულს, 23 თებერვალს გამართულ ფინეთის ლიგის თასის მატჩზე "როვანიემისა" და "ტამპერეს" შორის, რომელიც 1:1 დასრულდა.

ფინურ პრესაში პროკურატურის მოთხოვნებია გამოქვეყნებული. პროკურატურა სასამართლოზე ცხრიდან ექვსი ფეხბურთელის დაპატიმრებას მოითხოვს, დანარჩენებზე კი პირობითი მსჯავრისა და ფინანსური სანქციების საკითხს დააყენებს. აღსანიშნავია, რომ ხორგუაშვილებს პატიმრობის საფრთხე არ ემუქრებათ – უარეს შემთხვევაში მათ პირობითი სასჯელი და ფულადი ჯარიმა დაეკისრებათ.

აქვე პროკურატურის მოთხოვნებსაც გაგაცნობთ და შეგიძლიათ შეადაროთ, რამდენად მძიმედ აფასებენ „როვანიემის" სხვა ფეხბურთელების ბრალეულობას.

მვაბა – პატიმრობა 23 თვით და ჯარიმა 49050 ევრო.

ჩიბვე – პატიმრობა 22 თვით და ჯარიმა 47050 ევრო.

კუნდა – პატიმრობა 22 თვით და ჯარიმა 40850 ევრო.

მუსონდა – პატიმრობა 22 თვით და ჯარიმა 38550 ევრო.

ჩიბანგა – პატიმრობა 20 თვით და ჯარიმა 28550 ევრო.

მვეეტვა – პატიმრობა 19 თვით და ჯარიმა 23550 ევრო.

პავლე ხორგუაშვილი – პირობითი პატიმრობა ერთი წლით და ჯარიმა 11000 ევრო.

ვალტერ ხორგუაშვილი – პირობითი პატიმრობა ერთი წლით და ჯარიმა 11000 ევრო.

კომბე – პირობითი პატიმრობა 8 თვით და ჯარიმა 10000 ევრო.

ლევან ჯანეზაშვილი

გადაწყდა: ევროპაზე გრინიც იქართველებს

12

ბექა გოცირიძის ორი იმედი:

დინამოს ფორმა და ფორმის აღდგენა

3

ნახევარ წელიწადში გავლილი დიდი გზის ამბავი

2

ლელო წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

სეზონის აღმოჩენა: ირაკლი მაისურაძე (ოლიმპი)

ირაკლი მაისურაძემ საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ მეორე ეტაპი ჩაატარა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ "ლელოს" სეზონის აღმოჩენად დაესახელებინა. სწრაფი და ტექნიკური ნახევარმცველი უმალ იქცა რუსთავის "ოლიმპის" ერთ-ერთ ლიდერად და საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს. ვფიქრობთ, 22 წლის ფეხბურთელისთვის ეს არცთუ პატარა წარმატებაა.
ამ წლის დადგომამდე მაისურაძის შესახებ (რომელიც 35-ე საფეხბურთო სკოლის გაზრდილია და წელიწადნახევარი "ზესტაფონის" დუბლებში აქვს გატარებული) ინფორმაციებს ინტერნეტით თუ ვეცნობოდით, ბელარუსში იგი საკმაო წარმატებით თამაშობდა და პოტენციალი სამშობლოშიც გამოავლინა. გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ საინტერესო და მზარდი ფეხბურთელი აღმოვაჩინეთ.

დოსიე

დაიბადა 22.08.1988

სიმაღლე 177 სმ, წონა 74 კგ

კარიერა:

2008/09 - მტზ რიპო (ბელარუსი)

2009/10 - ვიტებსკი (ბელარუსი)

2011 წლიდან რუსთავის ოლიმპი

ნახევარ წელიწადში გავლილი დიდი გზის ამბავი

ირაკლი მაისურაძე

- "ოლიმპის" შემადგენლობაში ურიგოდ არ მითამაშია, მაგრამ ნამდვილად არ ველოდი, სეზონის აღმოჩენად თუ დამასახელებდით. ძალიან გახარებული ვარ და შევეცდები, გუნდისთვის მომავალ სეზონში უფრო სასარგებლო ვიყო.

- "ოლიმპში" გატარებული პერიოდით ბოლომდე კმაყოფილი ხარ?

- საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს უნდა იყო, მაგრამ ვფიქრობ, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონი მქონდა, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა შევძელი. თუმცა მეტი შემეძლო მეც და გუნდსაც – ჩვენი მიზანი ხომ საქართველოს ჩემპიონობა იყო, რასაც, სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ. შეიძლება, მესამე ადგილი არ იყოს ცუდი შედეგი, მაგრამ დიდ წარმატებასაც ვერ დავარქმევ.

- რატომ ჩამოსცილდა "ოლიმპი" სეზონის დასკვნით ნაწილში ჩემპიონობისთვის ბრძოლას?

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს, თუმცა ფაქტი ერთია – "ზესტაფონი" დამაჯერებლად გაჩემპიონდა.

- საქართველოსა და ბელარუსის ჩემპიონატებს შორის რა მსგავსება და განსხვავებაა?

- მსგავსება ბევრი არ არის, მთავარი განსხვავება კი პირობებშია. საქართველოში ბელარუსულთან მიახლოებული პირობებიც კი არ გვაქვს, მათთვის მოედნისა თუ ხელფასების პრობლემა უცხოა, ჩვენთან კი ფეხბურთელებს ყოფითი პრობლემების გამო ფეხბურთზე კონცენტრირება უჭირთ. ვფიქრობ, ბელარუსში ჩვენზე ოდნავ მაღალი დონის ჩემპიონატია – სწორედ პირობების ხარჯზე, თორემ ნიჭით ჩვენთან ახლოსაც ვერ მოვლენ.

- რამ გადაგაწყვეტინა საქართველოში დაბრუნება? დღევანდელი გადასახედიდან თუ მიგაჩნია, რომ სწორი ნაბიჯი გადადგი?

- დავიწყებ იმით, რომ ბელარუსში ძალიან სასარგებლო პერიოდი გავატარე. შევიძინე თეორიული და პრაქტიკული საფეხბურთო ცოდნა და პროფესიონალად ჩამოვყალიბდი, რაც საქართველოში შეიძლება უფრო გამჭირვებოდა. ერთი სიტყვით, ბელარუსში წასვლას ოდნავადაც არ ვნანობ, ისევე როგორც საქართველოში დაბრუნებას. ყველაფერს თავისი დრო აქვს და "ოლიმპში" გატარებულმა ნახევარმა სეზონმა დამარწმუნა, რომ დაბრუნება სწორი ნაბიჯი იყო. ბელარუსთან კი, გარკვეული გულისტკენის მიუხედავად, უმეტესად კარგი მოგონებები მაკავშირებს.

- ნახევარდაცვაში რამდენიმე პოზიციაზე შეგიძლია თამაში. ყველაზე მეტად რომელი ამპლუა მოგწონს?

- საყრდენის გარდა, ნახევარდაცვაში ნებისმიერ ადგილზე ვთამაშობ და მზად ვარ, გუნდს სადაც დასჭირდება, იქ გამოვადგე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ცენტრში უფრო სასარგებლო ვარ, ვიდრე ფლანგებზე.

- ახლოვდება ევროტურნირები, როგორ ფიქრობ, რამდენი ეტაპის გადალახვის ძალა შესწევს "ოლიმპს"?

- პირველი ეტაპი აუცილებლად უნდა გადავლახოთ, დანარჩენს კი სიტუაცია გვიჩვენებს. ნაყოფიერ შეკრებას გავივლით, სპარინგ-მატჩებს ძლიერ მეტოქეებთან ჩავატარებთ, შემადგენლობასაც გავაძლიერებთ და ევროთასებს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით. თუ წილისყრაშიც გაგვიმართლა, დარწმუნებული ვარ, ერთი რაუნდის გავლით არ შემოვიფარგლებით.

- როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში კლუბის შეცვლაზე არ იფიქრებ.

- დიახ, ასეა. "ოლიმპში" თავს ჩინებულად ვგრძნობ, მწვრთნელები მენდობიან და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში ხელს მიწყობენ. გუნდიც მზარდი და ამბიციურია. ყოველივე აქედან გამომდინარე, არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. "ოლიმპთან" კიდევ ერთი საკონტრაქტო წელი მაკავშირებს და მინდა, მის სამომავლო გამარჯვებებში ჩემი წვლილი შევიტანო. მომავალ სეზონში საქართველოს ჩემპიონობისა და თასისთვის ვიბრძოლებთ.

- ბოლოს სანაკრებო თემასაც შევეხოთ. რამდენად მოსალოდნელი იყო შენთვის ჯერ ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში, შემდეგ კი ხორვატიაში წამსვლელთა შორის მოხვედრა?

- ამას ნამდვილად არ ველოდი. ფეხბურთელს, რომელსაც ექვსი თვის წინ საქართველოში თითქმის არავინ იცნობდა, უცებ სანაკრებო შეკრებაზე იწვევენ – დამეთანხმებით, ასეთი რამ ხშირად არ ხდება. მართალია, ხორვატიაში 18-კაციან განაცხადში ვერ მოვხვდი, მაგრამ ჩემთვის ისიც დიდი ბედნიერებაა, თემურ ქეცბაიას ასეთი ყურადღება რომ დავიმსახურე. საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემი უმთავრესი ოცნებაა და მისი ახდენისთვის ძალიან ბევრს ვიშრომებ.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერი

ოქრიაშვილი: ბრალმა მორჩა, მაგრამ საით?

მარიუპოლის "ილიჩივეცის" ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი** 3 ივნისს ხორვატიაში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ვერ დაეხმარა. 19 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ჩემპიონატის ბოლოსკენ საზარდული დაიჭიმა და სათამაშოდ მზად არ იყო.

"საზარდულმა ხარკოვის "მეტალისტთან" შემაწუხა, მაგრამ ექიმებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, შემდეგ ტურში კიევის "დინამოსთანაც" მათამაშეს და ისეთი საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მოედანზე შესვლიდან 7 წუთში შესაცვლელი გავხდი. თუმცა მას შემდეგ დავისვენე, ტკივილი აღარ მაწუხებს და, სავარაუდოდ, 15-16 ივნისამდე, როდესაც უკრაინაში სეზონისთვის მზადება დაიწყება, ვარჯიშსაც განვაახლებ", – გვითხრა ოქრიაშვილმა.

თუმცა რომელ გუნდში გაანაახლებს ვარჯიშს, ეს ჯერ არ იცის. თორნიკე "გაგრას" ეკუთვნის, რომელმაც დონეცკის "შახტარში" გაანათხოვრა, თავის მხრივ კი დონბასელებმა იჯარით "ილიჩივეცში" გაუშვეს.

მერაბ მამულაშვილი

თორნიკე ოქრიაშვილი

● ვიტ ჯორჯია

ბერიძეს სვანაძე დაეხმარება

როგორც შევიტყვეთ, "ვიტ ჯორჯიას" სამწვრთნელო შტაბს **რამაზ სვანაძე** შეემატება, რომელიც გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ზურაბ ბერიძის** ასისტენტად იმუშავებს.

სვანაძე, რომელსაც ფეხბურთელობისას რამდენიმე ქართულ კლუბში, მათ შორის თბილისის "დინამოში" და ასევე შვედეთის ქვედა ლიგაში უთამაშია, გასულ სეზონში ცხინვალის "სპარტაკის" დუბლშემადგენლობას წვრთნიდა.

ლევან ჯანეზაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული

ინტერვიუ

ბექა გოცირიძის ორი იმედი: დინამოს ფორმა და ფორმის აღდგენა

გადავა თუ არა ბექა გოცირიძე თბილისის "დინამოში"? ამ ტრანსფერზე დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" საბოლოო პოზიცია გუშინ საღამომდე უცნობი იყო. თბილისელებს 22 წლის თავდამსხმელის დამატება სურთ და უკრაინელებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ. გოცირიძის სატრანსფერო უფლებები მათ ეკუთვნით.

თბილისელთა სპორტულმა დირექტორმა გიორგი ნემსაძემ გვითხრა, რომ კლუბების შეთანხმების შემთხვევაში გოცირიძე "დინამოში" დეკემბრამდე იჯარით ითამაშებს.

ჯერ გაურკვეველია სანდრო კობახიძის ამბავიც. 24 წლის ნახევარმცველიც "დნიპროს" ეკუთვნის და წინა სეზონში იჯარით კიევის "არსენალში" გამოდიოდა.

ნემსაძემ უარყო ხმები თბილისის "დინამოში" ბაქოს "ნეფთჩიდან" წამოსული ლადო ბურდულის ვარჯიშის შესახებ. ჯერ გაურკვეველია, დაიმატებენ თუ არა ქუთაისის "ტორპედოს" ცენტრალურ მცველ ნოდარ მაჭავარიანს, რომელმაც გუნდთან უკვე ივარჯიშა. მას რუსთავის "ოლიმპიც" იწვევდა.

გუშინ ბექა გოცირიძემ "დინამოში" პირველად ივარჯიშა და ინტერვიუ ჩამოვართვით:

- გამიხარდება, "დინამოს" ფორმას თუ მოვირგებ. იმედია, მოლაპარაკება კარგად დასრულდება.

- "დნიპროსთან" მოლაპარაკების დასრულებას ხელს რა უშლის?

- იმედია, ხელისშემშლელი არაფერია და გუნდში ჩავირიცხები. ალბათ, მოლაპარაკება მალე დამთავრდება.

- რატომ არის ლაპარაკი იჯარაზე და არა ტრანსფერის გამოსყიდვაზე, უკრაინელები მართლა მილიონ ევროს ითხოვენ?

- წარმოდგენა არ მაქვს, რა თანხებზეა მოლაპარაკება. უკრაინელები უფასოდ არ გამიშვებენ, ასეთ შემთხვევაში იჯარა უფრო მისაღებია და მეც ასე მირჩევნია.

- "დინამოში" ზამთარშიც გიწვევდნენ.

- სამწუხაროდ, მაშინ კლუბები ვერ შეთანხმდნენ.

- ბოლო სეზონი, ფაქტობრივად, გაგიცდა.

- დაკარგულის ანაზღაურება შესაძლებელია, რადგან მონდომება და შრომისმოყვარეობა არ მაკლია. თუმცა ერთი თვის უვარჯიშებელიც ვარ, "დნიპროში" ვარჯიშისას საზარდული გამეჭიმა და ვისვენებდი.

- რას იტყვი "დინამოს" მთავარ მწვრთნელ ალექს გარსიაზე?

- საინტერესო მწვრთნელია, მისი ვარჯიშები ძალიან მომეწონა, სასიამოვნო და ორიგინალური მეთოდი აქვს.

- "დინამო" საკმაოდ სახეცვლილია. ახალ გუნდზე რას ფიქრობ?

- ყველა პოზიციაზე დიდი კონკურენციაა. მარტო თავდასხმაში ხუთი ისეთი ფეხბურთელია, თითოეულს "დინამოს" გაძლიერება შეუძლია.

- "დინამოში" გადმოსვლა შენთვის რას ნიშნავს?

- იმას, რომ ნინსვლისა და ნაკრებში დაბრუნების შანსი მომეცემა. ავარიამ ძალიან უკან დამხია, "დნიპროს" ძირითადში ადგილი დავკარგე, მაგრამ ხელები არ ჩამომიშვია და მჯერა, საუკეთესო თამაშები ჯერ კიდევ წინ მაქვს.

ცხადია, მიხარია, "დინამომ" ყურადღება რომ გამოიჩინა, მეც დავინტერესდი, რადგან ცნობილი კლუბია. შემადგენლობას რომ გადავხედე, პერსპექტიული ბიჭები არიან და ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება სავსებით შესაძლებელია.

მერაბ მამულაშვილი

რებრენდინგი თუ რეტრო[illegible]

მეტალურგი ბრუნდება

ფოლადი რჩება

ახალ საფეხბურთო სეზონს დიდი ინტერესით ველოდებით: ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა გაიზარდა, გათამაშების ფორმატიც განსხვავებული იქნება, კონკრეტული მწვრთნელებისა თუ ფეხბურთელების დებიუტებიც უნდა შედგეს და ასე შემდეგ; თუმცა, ცვლილებები თუ სიახლეები მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით არ ამოიწურება: ზოგ გუნდს ახალი ლოგო ექნება, ზოგიც კი, საერთოდაც, სახელწოდებას შეიცვლის! ასე, მაგალითად, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ XXIII ჩემპიონატში რუსთავის „ოლიმპი" ახალი სახელით იასპარეზებს — გუნდი ამ ქალაქისათვის „ისტორიული მნიშვნელობის" სახელწოდებას, „მეტალურგს" იბრუნებს! ეს კი იმას ნიშნავს, რომ 13-წლიანი პაუზის მერე რუსთავის გუნდი უმაღლეს ლიგაში „მეტალურგის" სახელით იასპარეზებს (შესაბამისად, ამ ზაფხულს — ევროტურნირებზეც)!

...გემოვნებაზე მართლაც არ დაობენ და ბევრს, შესაძლოა, „მეტალურგი" ერჩივნოს (!) „ოლიმპსა" თუ სხვა სახელწოდებებს; ბოლოს და ბოლოს, ჩვეულებრივ ამბადაც უნდა მივიღოთ ის ფაქტი, როცა კლუბის მეპატრონე და მთავარი დამფინანსებელი გუნდის სახელწოდებას შეცვლის: მოგეხსენებათ, რომ აწ უკვე ყოფილი „ოლიმპის" მთავარი სპონსორი საწარმოო გაერთიანება „ქართული ფოლადი" (გნებავთ, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა) იყო. ჰოდა, მეპატრონე-დამფინანსებელსაც, ალბათ, სრულიად ბუნებრივი სურვილი გაუჩნდა, რომ თავის დაქვემდებარებაში მყოფ გუნდს სწორედ „მეტალურგის" სახელით ეასპარეზა. თუმცა, რუსთავული გუნდის სახელწოდების შეცვლა მხოლოდ სპონსორის სურვილი არ ყოფილა: როგორც კლუბის წარმომადგენლებმა გვითხრეს, თურმე, უფროსი თაობის რუსთაველ გულშემატკივრებსაც ნდომებიათ, რომ „ოლიმპის" ნაცვლად გუნდს „მეტალურგი" დარქმეოდა. ჰოდა, ყველა „სურვილისა თუ ინტერესის" გათვალისწინებით, ამიერიდან რუსთავის საფეხბურთო ცხოვრებაში „მეტალურგი" ბრუნდება! სხვათა შორის, ჯერჯერობით უცნობია, შეეცვლება თუ არა სახელწოდება რუსთავის სტადიონს; თუმცა, ვეჭვობთ, რომ ასე მოხდეს: ბოლოს და ბოლოს, ამჟამინდელი სახელწოდება („ფოლადი"), წესითა და რიგით, კლუბის მეპატრონისა და სპონსორის გემოვნებას, ალბათ, უნდა აკმაყოფილებდეს. თანაც, რაც მთავარია, „ფოლადი" და „მეტალურგი" ერთობლიობაში თემატურადაც კარგად უნდა ჟღერდეს...

ამაყი გორდა და წარმატებული ოლიმპი

ვიდრე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყებოდა, რუსთაველთა უმთავრესი გუნდი სწორედ „მეტალურგის" სახელით ასპარეზობდა მაშინდელ საქართველოს პირველობასა თუ საკავშირო ჩემპიონატის II ლიგაში; „მეტალურგს" გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა: საქართველოს იმდროინდელი ჩემპიონატიც რამდენჯერმე მოუგია და საქართველოს თასიც მოუპოვებია; ამას გარდა, საკავშირო მასშტაბის ტიტულის, „მილიონთა თასის" გამარჯვებული იყო...

... 1989 წლის სეზონი რუსთავის „მეტალურგმა" საკავშირო პირველობის მეორე ლიგაში ჩაამთავრა; 1990 წელს კი უკვე საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ჩაერთო და რამდენიმე გუნდის მსგავსად, რუსთაველებმაც შეიცვალეს სახელწოდება. არადა, ყოფილ „მეტალურგს" მართლაც ამაყი სახელი ეწოდა — „გორდა"! თუ არ ვცდებით, სახელის „ნათლია" რუსთაველთა გუნდის იმდროინდელი მთავარი მწვრთნელი, **გივი ნოდია** გახლდათ; თანაც, ეს ახალი და მართლაც ამაყი სახელი გუნდის პრეზიდენტს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაშინდელ დირექტორს **გურამ ქაშაკაშვილსაც** მოეწონებოდა და რუსთაველ ქომაგებსაც, ოთხი სეზონის განმავლობაში „გორდა" თავიანთთვის სათაყვანებელ გუნდად რომ მიაჩნდათ.

აი, მეხუთე ჩემპიონატის (1994 წლის ზაფხულში) დაწყების წინ კი „გორდას" სახელი შეუცვალეს და... „მეტალურგი" დაარქვეს! ალბათ, იმის გამოც, რომ წინა სეზონში გივი ნოდიას გუნდიდან წასვლამ მოუწია...

... სამწუხაროდ, „გორდასგან" განსხვავებით, „მეტალურგის" სახელწოდებით მოასპარეზე რუსთავული გუნდი ერთხელაც ვერ მოხვდა საპრიზო სამეულში; 1998-99 წლების სეზონის დაწყების წინ კი, ხუთწლიანი პაუზის მერე, გუნდს ისევ „გორდა" დაარქვეს. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა „გორდა" იყო — ზედიზედ ოთხი სეზონის განმავლობაში გაჭირვებით რომ ინარჩუნებდა ადგილს უმაღლეს ლიგაში, ხოლო 2002-2003 წლების სეზონში კი ველარაფერმა უშველა და პირველ ლიგაში დაქვეითდა!

... პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდი სხვა სახელით ასპარეზობდა: „რუსთავმა" **ვარლამ კილასონიას** ხელმძღვანელობით პლეი ოფში გაიმარჯვა და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა; თუმცა, ფინანსური გარანტიების არქონის გამო (ასეთი იყო იმდროინდელი პროფლიგის ვერდიქტი), „რუსთავი" უმაღლეს ლიგაში არ დაუშვეს და ამ სახელწოდებით გუნდი ორი წელი პირველ ლიგაში თამაშობდა; 2006-07 წლების სეზონში კი სულაც მეორე ლიგაში გამოდიოდა. თუმცა, იმ დროისათვის რუსთაველებს უმაღლეს ლიგაში გუნდი მაინც ჰყავდათ: „თბილისის" ბაზაზე დაარსებულმა „ოლიმპმა" სადებიუტო სეზონშივე საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა! საერთოდაც, „ოლიმპი" ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული გუნდი იყო: ხუთწლიანი არსებობის განმავლობაში ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ორჯერ მესამეზე გავიდა და ერთხელაც — მეოთხეზე. ვნახოთ, რამდენად წარმატებული იქნება რუსთაველთა გუნდისათვის „ისტორიული მნიშვნელობის" სახელწოდების, „მეტალურგის" დაბრუნება...

გია ტუხაშვილი

ტორპედო

რაო? ქუთაისში შეგრტი გაიკვირვეს

ქუთაისის "ტორპედოში" მთავარი მწვრთნელი რომ შეიცვლება, ეს უკვე ცნობილია - "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელ **გია გიგატაძეს** კონტრაქტი დაუსრულდა და, მართალია, გუნდში კი რჩება, მაგრამ მთავარ მწვრთნელად სხვა იმუშავებს.

ვინ შეცვლის გიგატაძეს, ეს ამბავი კლუბის მეპატრონე კომპანია "ვისოლის" კულუარებიდან ჯერ არ გამოსულა და ახალი მთავარი მწრთნელის გვარს არ აკონკრეტებენ. თუმცა უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის, **პეტარ შეგრტის** მიწვევის შესახებ. შეგახსენებთ, რომ შეგრტი ბოლოს ინდონეზიაში კლუბ "ბალის" ავარჯიშებდა, სადაც თბილისის "დინამოსა" და ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ილია სპასოევიჩი** თამაშობს.

ახალი სეზონიდან "ტორპედოში" იმუშავებს "ზესტაფონის" ფიზმომზადების ყოფილი მწვრთნელი, ხორვატი **ივო კატუშიჩი**. "ტორპედო" კატუშიჩის მესამე ქართული კლუბია – ჯერ იყო თბილისის "დინამო", რომელიც სკანდალურად დატოვა და "ზესტაფონში" გადაბარგდა. თბილისელთა ძველ ხელმძღვანელებს კონკურენტ "ზესტაფონთან" კატუშიჩის მოლაპარაკება არ ესიამოვნათ.

ვინც გაწვრთნის "ტორპედოს", ის იტყვის, ვინ დარჩება და ვინ წავა, სად მოემზადება გუნდი და ბევრ სხვა სიახლეს. შევიტყვეთ, რომ კლუბის თავკაცებმა უპირველესად სამი ფეხბურთელის დატოვებაზე იზრუნეს - **დავით დილმელაშვილს, თენგიზ ჩიკვილაძესა** და **გია მეგრელაძეს** ახალი კონტრაქტები გაუფორმეს.

რაც შეეხება ახალწვეულებს – გვპირდებიან, ერთი-ორი ხმაურიანი ტრანსფერი აუცილებლად იქნებაო და ვნახოთ.

მერაბ მამულაშვილი

ზესტაფონი

ივან ვუჩეტიჩი (მარცხნივ) და გია გეგუჩაძე

ზესტაფონის ფიზიკა

ხორვატი სერბმა შეცვალა

"ზესტაფონს" ქუთაისის "ტორპედოში" წასული **ივო კატუშიჩის** შემცვლელი დიდხანს არ უძებნია და გუშინ ფიზმომზადების ახალი მწვრთნელი წარადგინა – 30 წლის სერბი **ივან ვუჩეტიჩი**.

ვუჩეტიჩი ბელგრადის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და სიჭაბუკეში ფეხბურთსაც თამაშობდა, ფიზმომზადების სპეციალისტად კი "ჩუკარიჩკიში", "რადსა" და "პარტიზანის" მეორე გუნდში მუშაობდა. ბოლოს იგი დონეცკის "მეტალურგის" ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე ზრუნავდა.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● ხლოვნის ტურნირი

ფინალური მატჩის ეპიზოდი

სასარგებლო ნამოწყება

გუშინ „ნორჩი დინამოელის“ მოედანმა ვეტერანი ფეხბურთელის **ლევან ჟორდანიას** სახელობის ტურნირს უმასპინძლა.

შეჯიბრება მისივე სახელობის ფონდის, „ღია სახალისო ფეხბურთის“ პროგრამის ხელმძღვანელ **ვალერი ჩოლარიას,** კოორდინატორ **ბადრი მაჭავარიანისა** და ლევან ჟორდანიას ოჯახის მხარდაჭერით ჩატარდა.

ტურნირში 2000 წელს დაბადებულ მოზარდთა ოთხი გუნდი, „ნორჩი დინამოელი“, ოჩამჩირის „ამირანი“, „ავაზა-ვისოლი“ და თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემია მონაწილეობდა.

„ავაზა-ვისოლის“ ფეხბურთელებმა „ამირანს“ 6:0 სძლიეს. ფინალური საგზური მოიპოვა „ნორჩმა დინამოელმაც“ — სულაქველიძის აკადემია 4:1 დაამარცხა. მატჩი მესამე ადგილისთვის სულაქველიძის აკადემიის გამარჯვებით დასრულდა — „ამირანს“ 3:0 მოუგო. ტურნირის ფინალურ შეხვედრას ვეტერანი არბიტრი **ანატოლი მილჩენკო** სჯიდა.

ფინალურ შეხვედრაში „ნორჩი დინამოელმა“ **ანდრო ჭედიამ** სამი უპასუხო გოლი გაიტანა და თავისიანებს 3:0 გაამარჯვებინა.

ბადრი მაჭავარიანი: *„ეს ტურნირი ლევან ჟორდანიას სახელობის საქველმოქმედო ფონდის ხელშეწყობით ჩატარდა. ასეთი სახის ღონისძიება და ფესტივალები მნიშვნელოვანია მოზარდი თაობისთვის. ტურნირის მონაწილე ოთხივე გუნდის ფეხბურთელებმა სამახსოვრო საჩუქრები და სხვადასხვა პრიზი მიიღეს. მსგავსი ფესტივალ-ტურნირების ციკლი მომავალშიც გაგრძელდება. რამდენიმე დღეში დავით ყიფიანის სახელობის ტურნირი გაიმართება. მომავალში შევეცდებით, ლევან ჟორდანიას სახელობის ტურნირი მაშტაბური გახდეს“.*

სალომე ხარატიშვილი.

ნორჩი დინამოელი

● ჩვენებური უცხოეთში

ჟორდანიას რჩეული მაკლარენია

მერაბ ჟორდანია

ბრიტანული პრესის ცნობით, დიდია იმის ალბათობა, რომ არნემის "ვიტესი" **სტივ მაკლარენმა** ჩაიბაროს. როგორც ამბობენ, ჰოლანდიური კლუბის ქართველ პრეზიდენტ **მერაბ ჟორდანიას** ინგლისელ სპეციალისტთან კონტრაქტის გაფორმება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი და საამისო სახსრებიც გააჩნია. მედია იმასაც იტყობინება, რომ მაკლარენი რამდენიმე დღის წინ ჰოლანდიაში იყო ჩასული, სადაც ჟორდანიასა და "ვიტესის" სხვა ხელმძღვანელებს შეხვდა და მომავალი თანამშრომლობის დეტალებზე ესაუბრა.

შეგახსენებთ, მაკლარენი ცნობილი "მანჩესტერ იუნაიტედში" სერ **ალექს ფერგიუსონის** თანაშემწედ მუშაობისას გახდა, რასაც "მიდლსბროში" წარმატებული საქმიანობა მოჰყვა. ინგლისის ეროვნულ ნაკრებში მუშაობა კი მაკლარენმა კრახით დაასრულა – გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გაიყვანა. ბოლოს იგი გერმანულ "ვოლფსბურგში" მუშაობდა, ჰოლანდიასთან კი სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს – შარშან "ტვენტე" გააჩემპიონა.

"ვიტესის" მთავარი მწვრთნელის პოსტი კი ჯერ ვაკანტური არ არის, თუმცა გასულ სეზონში ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე საეჭვოა, ესპანელმა **ალბერტ ფერერმა** თანამდებობა შეინარჩუნოს.

სულ რამდენიმე დღეც და გავიგებთ, გაწვრთნის თუ არა მაკლარენი **გურამ კაშიასა** და **გიორგი ჭანტურიას.**

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

6		სულ							შინ							ერიკუბრალი						
	გუნდი	თ	მ	ფ	წ	გურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	გურთები		ქ	გოგლური						
						გატ	გაშვ						გატ	გაშვ								
	ბაია	36	13	5	18	36	51	44	18	12	3	3	27	14	39	18	1	2	15	9	37	5

დინამო-ბაია 2:1

„ბაიას“ ყველა მატჩი

I ეტაპი

I რიგი

II ტური	ვიტ ჯორჯია-ბაია	2:1
III ტური	ბაია-ტორპედო	1:0
IV ტური	ბაია-დინამო	0:0
V ტური	ბაია-ზესტაფონი	2:1
I ტური	ბაია-სიონი	2:2
VI ტური	ოლიმპი-ბაია	2:0
VII ტური	ბაია-სპარტაკი	1:1
VIII ტური	ბაია-კოლხეთი	2:1
IX ტური	სამტრედია-ბაია	3:1

II რიგი

X ტური	სიონი-ბაია	1:3
XI ტური	ბაია-ვიტ ჯორჯია	1:0
XIV ტური	ბაია-ზესტაფონი	1:3
XII ტური	ტორპედო-ბაია	1:0
XIII ტური	დინამო-ბაია	0:0
XV ტური	ბაია-ოლიმპი	0:1
XVI ტური	სპარტაკი-ბაია	2:0
XVII ტური	კოლხეთი-ბაია	1:0
XVIII ტური	ბაია-სამტრედია	3:1

II ეტაპი

III რიგი

XIX ტური	ბაია-სიონი	1:0
XX ტური	ვიტ ჯორჯია-ბაია	1:1
XXI ტური	ბაია-ტორპედო	1:0
XXIII ტური	ზესტაფონი-ბაია	6:1
XXIV ტური	ოლიმპი-ბაია	2:0
XXV ტური	ბაია-სპარტაკი	2:0
XXVI ტური	ბაია-კოლხეთი	1:0
XXVII ტური	სამტრედია-ბაია	3:0
XXVIII ტური	სიონი-ბაია	1:0

IV რიგი

XXIX ტური	ბაია-ვიტ ჯორჯია	1:0
XXX ტური	ტორპედო-ბაია	2:0
XXII ტური	დინამო-ბაია	2:1
XXXI ტური	ბაია-დინამო	1:2
XXXII ტური	ზესტაფონი-ბაია	3:0
XXXIII ტური	ბაია-ოლიმპი	3:1
XXXIV ტური	სპარტაკი-ბაია	3:0
XXXV ტური	კოლხეთი-ბაია	2:1
XXXVI ტური	ბაია-სამტრედია	4:1

„ბაიას“ ფეხბურთელების მონაგარი

ელგუჯა ქომეთიანი

მწვრთნელი

ელგუჯა ქომეთიანი
(I-XXXVI ტური)

მეკარეები: **გიორგი სომხიშვილი-22, თორნიკე ზარქუა-9, ვლადიმერ ზუხბაია-4, არჩილ მაქაცარია-1;**

მცველები: **როინ ონიანი-27, დათა რიგვავა-27 (3), ნიკა აფაქიძე-21 (3), ლევან აკობია-16, ნიკა კვეკვესკირი-14 (1), გიორგი კვესიეშვილი-14, ილია გამრეკლიძე-14, მაკარ აქუბარდია-13, ივანე კანდელაკი-9, დავით ჭიჭვეიშვილი-8, გიორგი ქვარცხავა-8, თამაზ აკობია-7, მამუკა მაქაცარია-3;**

ნახევარმცველები: **ლევან წურწუმია-30, ზვიად სიხარულია-29 (1), შოთა ლომია-28 (2), ლევან ვართაგავა-20, ლაშა კუკავა-14, ნიკა შონია-13, ლუკა გუგუჩია-12 (2), გურამ სამუშია-11, ალექსანდრე გოგობერიშვილი-9, ირაკლი მალიჩავა-9 (2), გრიგოლ დოლიძე-8, ლაშა სვირავა-8, კახა ჩხეტიანი-6, გიორგი ხიდეშელი-5, გელა ხუბუა-4, კონსტანტინე ახალაია-3, ავთანდილ ენდელაძე-3, გიორგი ქირია-3, ნიკოლოზ ახვლედიანი-1, ზურაბ ქვარცხავა-1;**

თავდამსხმელები: **ირაკლი ეხვაია-28 (7), ირაკლი ქობალია-17 (7), მურთაზ ჩანგელია-11, გიორგი მეგრელაძე-8 (6), ლადო ახალაია-3 (1).**

ირაკლი ეხვაია

ტრანსფერი

ფერგის ჯიბე

ფილ ჯონსი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** სამხრეთ საფრანგეთში ისვენებს, მაგრამ როგორც კი საქმეს დასჭირდა, ნებივრობა შეწყვიტა და ინგლისში გადაფრინდა — ფერგიმ „ლივერპულის“ თავკაცს **კენი დალგლიშს** 16,5 მილიონ ფუნტად „ბლექბერნის“ 19 წლის ცენტრალური მცველი **ფილ ჯონსი** ცხვირწინ აიცალა. ჯონსი „იუნაიტედის“ სამედიცინო ცენტრში უკვე შეამოწმეს და არც ის დაუმალავთ, რომ ის „ოლდ ტრეფორდზე“ ხუთი წლის განმავლობაში კვირაში 40 ათას ფუნტს მიიღებს. ერთი სიტყვით, მართალია სატრანსფერო სეზონი ახალი დაწყებულია, მაგრამ ფერგიუსონმა უკვე 35 მილიონ ფუნტამდე დახარჯა. შეგახსენებთ, რომ მანამდე ინგლისის ჩემპიონმა 18,3 მილიონად მადრიდის „ატლეტიკოსგან“ 20 წლის მეკარე **დავიდ დე ხეა** შეიძინა.

საინტერესოა, რომ არც ჯონსი გახლდათ ინგლისში. ის 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად დანიაში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობს, მაგრამ „იუნაიტედთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად მანჩესტერში გადაფრინდა. როგორც ჩანს, ფერგიუსონმა გუნდის გაახალგაზრდავების გეგმა უკვე აამუშავა.

ჯონსის ტრანსფერს ბარბადოსიდან მანჩესტერელთა ვარსკვლავი **უეინ რუნიც** შეეხმიანა. მან „ტვიტერში“ დაწერა:

„ფილ ჯონსი კარგი ინგლისელი ფეხბურთელია. იმ მცველებს შორის, ვისაც გასულ სეზონში ვეთამაშე, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო. სხვათა შორის, ნახევარმცველობაც შეუძლია“.

ფერგიუსონის შემდეგი ნაბიჯი „ასტონ ვილადან“ **ეშლი იანგის** გადაყვანაა. ტაბლოიდებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, რომ იმ დღეს, როდესაც „ოლდ ტრეფორდზე“ ჯონსი ჩავიდა, იქვე იყო 25 წლის გარემარბის აგენტი **ერიკ უოლტერსიც**, რომელიც ინგლისის ჩემპიონის წარმომადგენლებთან ფინანსურ საკითხებს აგვარებდა. რამდენადაც ცნობილია, „ლივერპულს“ ამ ფეხბურთელის შეძენაც სურდა. ცნობისათვის: ეშლი იანგს ამ უქმეებზე ცოლი მოჰყავს და ცოტა ხნის წინ უკვე ამბობდა, ახალი გუნდის ამბავი ქორწილამდე უნდა მოვაგვაროო.

ლივერპული

ოთხჯერ გამდიდრება

ჯორდან ჰენდერსონს „ლივერპულში“ გადასვლის შემდეგ შემოსავალი ოთხჯერ გაეზრდება. მოგეხსენებათ, „სანდერლენდის“ ყოფილმა ნახევარმცველმა მერსისაიდელებთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და კვირაში 60 ათას ფუნტს მიიღებს. ოთხშაბათი დღე ჰენდერსონმა ლივერპულის საავადმყოფოში, სამედიცინო შემოწმებებში გაატარა. მოგეხსენებათ, 20 წლის ფეხბურთელი „წითლებს“ 20 მილიონი ფუნტი დაუჯდათ, ოღონდ საფასური მთლიანად ფულით არ გადაუხდიათ — თანხის ნაწილი თავდამსხმელ **დავიდ ნგოგში** გაიქვითა, რომელიც „ლივერპულიდან“ „სანდერლენდში“ გადაბარგდა.

ჯორდან ჰენდერსონი

მერსისაპირეთში საქმეების მოგვარების შემდეგ, ჰენდერსონი დანიაში დაბრუნდა, სადაც **სტიუარტ პირსის** ხელმძღვანელობით ევროპის 21-წლამდელთა პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

„წითლების“ მწვრთნელი **კენი დალგლიში** შემდეგ ნაბიჯს „ბირმინგემის“ მცველის, 24 წლის **სკოტ დენის** გადასაბირებლად გადადგამს. თუ დენის ფორნტზე არაფერი გამოუვა, დალგლიშს ალტერნატიული ვარიანტიც აქვს შეგულებული — „პარი სენ ჟერმენის“ 21 წლის მოთამაშე, სენეგალური წარმოშობის ფრანგი **მამადუ საკჰო**.

დენი „ბირმინგემისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი რომ არის, იმითაც მტკიცდება, რომ სანამ ის ორთავა კუნთის ტრავმას მიიღებდა, **ალექს მაკლიშის** გუნდი ასე თუ ისე, მყარად იდგა, მაგრამ ბოლო ოთხი თვე „ლურჯებმა“ მის გარეშე ჩაატარეს და გავარდნენ კიდეც პრემიერლიგიდან. ბუნებრივია, დენის გუნდში დატოვება და ჩემპიონშიპში გამოყვანა, როდესაც მას „ლივერპული“ ეპატიჟება, ბირმინგემელებისთვის ძალიან ძნელი საქმე იქნება.

დალგლიშის გეგმებში შედის „ასტონ ვილას“ **სტიუარტ დაუნინგის**, ბლექპულელი **ჩარლი ადამის** და იფსვიჩელი **კონორ უიკჰემის** ყიდვაც. ამასთან, ივლისში, „ენფილდ როუდზე“, საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელის, **სილვაინ მარვოს** მისვლასაც ელიან — მარვო 25 წლის ნახევარმცველია, რომელიც „რენში“ თამაშობდა, მაგრამ კონტრაქტის ვადა ამოეწურა და ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსით ლივერპულს მიემგზავრება. „ლივერპულში“ ელიან 25 წლის ესპანელ მარჯვენა მცველ **ხოსე ენრიკესაც**, რომელსაც ინგლისელი კომენტატორები უფრო ენრიკედ მოიხსენიებენ.

არის კიდევ ერთი ვარიანტი. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულსა და ესპანეთის ჩემპიონ „ბარსელონას“ 23 წლის თავდამსხმელი **ჟეფრენ სუარესი** აღარ სჭირდება და მის სხვაგან გადასვლას ხელს არ შეუშლის. ამბობენ, რომ ეს „სხვაგან“, შეიძლება „ლივერპული“ იყოს, თუმცა ჟეფრენი ბრიტანელი არ არის, დალგლიშს კი გულში ბრიტანული გუნდის შექმნა აქვს ამოჭრილი.

ასტონ ვილა



რობერტო მარტინესი

ახალი მწვრთნელის ძიებაში

ჟერარ ულიეს წასვლის შემდეგ „ასტონ ვილას“ ახალი მწვრთნელი სჭირდება და დიდი შანსია ის **რობერტო მარტინესი** იყოს. ბირმინგემელთა კლუბის ამერიკელმა მეპატრონემ, **რენდი ლერნერმა** „უიგანისგან“ 37 წლის ესპანელ მწვრთნელთან მოლაპარაკების ნებართვა მიიღო. თავად ლერნერს მარტინესზე მეტად ინგლისელი **სტივ მაკლარენის** მიწვევა უნდოდა, მაგრამ გულშემატკივრებმა ნაკრების ყოფილი მწვრთნელის გაგონებაზე ისეთი ამბავი ატეხეს, რომ ამერიკელმა უკან დაიხია.

აღსანიშნავია, რომ ლერნერი კიდევ ერთ ვარიანტს განიხილავდა, „ლივერპულის“ ყოფილი თავკაცის, მარტინესის თანამემამულე **რაფა ბენიტესის** დაქირავება სურდა. შეხვდა კიდეც ბიზნესმენი ბენიტესს ლონდონში, მაგრამ მასთან მოლაპარაკებამ დაანახა, რომ ამ განზრახვაზე ხელი უნდა აეღო.

მარტინესმა, მოგეხსენებათ, „უიგანი“ ამ სეზონში პრემიერლიგაში დატოვა. მას ამისთვის იოლად არ მიულწევია, ყველაფერი დრამატულ ბოლო ტურში გადანყდა, მაგრამ მთავარია, რომ შედეგს მიაღწია, ბედმაც გაუღიმა და აგერ, „ვილასთანაც“ დააკავშირა. გუშინ ესპანელმა სპეციალისტმა შვებულება შენყვიტა, ინგლისში გადაფრინდა და ლერნერს შეხვდა.

„უიგანის“ მეპატრონე **დევიდ უილანმა** კი ასეთი რამ განაცხადა:

„ბირმინგემელები ნესიერად მოიქცნენ. მათ ზურგსუკან თაღლითობა არ დაუწყიათ, დამიკავშირდნენ და რობერტო მარტინესთან დალაპარაკების ნებართვა მთხოვეს. მეც დავთანხმდი“.

თუმცა, უილანმა იმავე საუბარში აღნიშნა, სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ მარტინესი ჩვენს შორს მიმავალ გეგმებს იოლად გადააბიჯებს და „ვილას“ პირველივე დაძახილზე მიგვატოვებსო.

„მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდება რობერტომ ბირმინგემელებს თანხმობა რომ განუცხადოს და „უიგანი“ დატოვოს. მე მარტინესს მკაფიოდ ვუთხარი, რომ მასთან თანამშრომლობა მსურს და კონტრაქტსაც გავუხანგრძლივებ. მე და მას ისეთი ურთიერთობა გვაქვს, რომ ერთმანეთს არასდროს ვუღალატებთ, მაგრამ ცხოვრება ისეთი რამ არის, რომ გადაჭრით კაცმა მაინც არაფერი უნდა თქვა“ — ამბობდა გუშინ დილით „უიგანის“ თავკაცი.

არსენალი

ნადი, სესკ შენს გზაზე

თავიდან შეგახსენებთ, ვინ არის **ლი დიქსონი**. ეს გახლავთ 47 წლის ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი, რომელიც კარიერაში ხუთ სხვადასხვა გუნდში გამოდიოდა. ამ გუნდებს შორის უმთავრესი „არსენალი“ გახლდათ, სადაც ის 1988-2002 წლებში თამაშობდა. დღეს დიქსონი სატელევიზიო მიმომხილველი და... ველოსიპედისტია, თუმცა მისი გატაცება ამჯერად ნაკლებად გვაინტერესებს. ბუნებრივია, ინგლისურ კლუბთა შორის დიქსონი „მეთოფეებს“ გულშემატკივრობს და სწორედ ჩრდილოეთ ლონდონში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა მან ვიდეოთამაშ „მე ფეხბურთელი ვარ“ (I AM PLAYR) სარეკლამო კომპანიის დროს.

დიქსონის აზრით, „არსენალმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** და შემტევი ნახევარმცველი **სამირ ნასრი** ერთდროულად არ დაკარგოს, თუმცა ამ ორ ვარსკვლავზე თავისი და ბევრისგან ფრიად განსხვავებული შეხედულება აქვს. კაცმა რომ თქვას, შესაძლოა ის სულაც არ ტყუის. ფაბრეგასი 24 წლისაა, ნასრი კი ოცდასამის.

მიუხედავად იმისა, რომ „მეთოფეთა“ თავკაცი, **არსენ ვენგერი**, ყველა ღონეს ხმარობს, რათა ფაბრეგასი „ემირეიტ სთედიუმზე“ დატოვოს, ყველაფრიდან ჩანს, რომ ესპანელ ვარსკვლავს იქაურობაზე გული აქვს აცრუებული და „ბარსელონაში“ გადასვლას ეშურება. რაც შეეხება ნასრის, ის ახალი კონტრაქტის გაფორმების ზღურბლზეა. სხვა სიტყვებით, ფრანგმა ან ახლავე უნდა მოაწეროს „არსენალთან“ განახლებულ ხელშეკრულებას ხელი, ან სხვაგან უნდა გადავიდეს, თორემ ძველი კონტრაქტის თანახმად ჩრდილოლონდონში ერთი ნელინადიღა აქვს გასატარებელი და მერე თავისუფალი აგენტი ხდება. ამბობენ, რომ ნასრის შეძენა ინგლისის ჩემპიონსა და „არსენალის“ მთავარ მოწინააღმდეგეს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ უნდა. დიქსონი ამბობს, რომ ამის დაშვება არაფრით შეიძლება. მისი აზრით, ნასრის „ოლდ ტრეფორდზე“ გადასვლა საბედისწერო შეცდომა იქნება.

„ყოველ ზაფხულს ერთი და იგივე მეორდება, ტყდება ერთი ამბავი, სესკი რჩება თუ მიდის. ზუსტად იგივე გამეორდება ამ ზაფხულსაც. გაზეთებში ყოველ დღე დაწერენ, რომ ფაბრეგასი ესპანეთში გადადის. ადრე თუ გვიან, მის წასვლას მართლაც ვერ გავექცევით.

რაც შეეხება ნასრის, გასული სეზონი მან დიდებულად დაიწყო, მაგრამ მერე მოუკლო. ვფიქრობ, სესკის წასვლა მისთვის ძალიან კარგი იქნება, ფრთებს გაშლის და თავის ნიჭს სრულად გამოაჩენს. მისი ფეხბურთი მოედნის ცენტრში გაცილებით უფრო სრულყოფილი გახდება.

რასაკვირველია, მწვრთნელი ვალდებულია საუკეთესო ფეხბურთელები შეინარჩუნოს, მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: რა აზრი აქვს იმ მოთამაშეების შენარჩუნებას, რომელთაც შენს გუნდში ყოფნა არ უნდათ? ჩემი რწმენით ფეხბურთელი, რომელიც შენთან თავს ბედნიერად ვერ გრძნობს, უნდა წავიდეს. ზუსტად ამას ვიტყვი სესკზეც. აშკარაა, რომ მისი წასვლა გარდაუვალია, დანარჩენი უბრალოდ დროის ამბავია.

გასული სეზონის დასაწყისში ვთქვი, რომ თუ „არსენალი“ კარგად ვერ დაიწყებდა, ფაბრეგასი აუცილებლად ჩამოყრიდა ყურებს. ვფიქრობ, მისთვის კაპიტნის სამკლავურის მიცემაც წასახალისებლად მოგონებული ხრიკი იყო და მეტი არაფერი. ეგონათ, კაპიტნის რანგში ის გუნდს ორმაგი ენერგიით გაუძღვებოდა ტიტულებისკენ, მაგრამ ეს არ მოხდა და საერთოდაც არ მგონია, სესკი კარგი კაპიტანი იყოს.

ამ ყველაფრის ფონზე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ნასრის აგრძნობინონ, რომ გუნდისთვის საკვანძო ფიგურაა. ამასთან, „არსენალი“ ახალი ფეხბურთელებითაც უნდა გააძლიერონ.

საბოლოოდ რას ვასკვნით, სესკი უნდა წავიდეს? როგორც გითხარით, ჩემი აზრით, ეს გარდაუვალია, მაგრამ ფაბრეგასის და ნასრის ერთად დაკარგვა არაფრით შეიძლება, ეს გუნდისთვის დიდი დანაკარგი იქნება“.

გასულ სეზონში, თავიდან, „არსენალმა“ საკმაოდ რიხიანად იარა და ხალხმა ეგრეთ წოდებულ „კვადროპლზეც“ დაიწყო ლაპარაკი. სხვა სიტყვებით, ეგონათ, რომ „მეთოფეთა“ გუნდი გახდებოდა პირველი, ვინც ერთ სეზონში ოთხივე შეჯიბრებაში (ჩემპიონთა ლიგა, პრემიერლიგა, ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასები) გაიმარჯვებდა. მაგრამ, პირველი შოკი ვენგერსა და კამპანიას ლიგის, იმავე „ქარლინგის თასის“ ფინალში ელოდა, როდესაც „უემბლიზე“ „ბირმინგემთან“ ფინალი წააგო. შეგახსენებთ, რომ „ბირმინგემი“ ის გუნდია, რომელიც სეზონის ბოლოს პრემიერლიგიდან გავარდა. შემდეგ ჩრდილოლონდონელები ჩემპიონთა ლიგაში გაწბილდნენ, სადაც მათ შეჯიბრების მომავალი გამარჯვებული, „ბარსელონა“ შეხვდა. პირველ დღეს „არსენალმა“ ჩინებულად ითამაშა და 2:1 მოიგო, მაგრამ საპასუხო შეხვედრა საშინლად უფერულად ჩაატარა — 3:1 დამარცხდა და გავარდა. რაც შეეხება ფეხბურთის ასოციაციის თასსა და პრემიერლიგას, აქ ჩრდილოლონდონელები „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაჩრდილა. ის კი არა, ბოლოს ვენგერის გუნდმა ისე ცუდად ითამაშა, რომ კინაღამ ოთხეულს მიღმა დარჩა და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლება დაკარგა.

ამ სურათის შემყურე დიქსონი ადასტურებს, რომ „არსენალი“ დღეს დაღმავლობას განიცდის, მაგრამ ვენგერს ეთანხმება და იმედოვნებს, რომ ახალგაზრდები, 19 წლის **ჯეკ უილშირი** და 20 წლის **აარონ რემსი** ვითარებას სასიკეთოდ შეცვლიან:

სესკ ფაბრეგასი და სამირ ნასრი

„როდესაც ჯეკი 16 წლის იყო, არსენი მეუბნებოდა, რომ მას ამ ასაკში ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელი არასდროს ენახა. მე ვენგერს უდიდეს პატივს ვცემ და პერიოდულად მისი კრიტიკა ძალიან მიჭირს. ვიცი, რომ ის ყოვლისმომცველი პიროვნებაა, რომელსაც უამრავი ფეხბურთელი ჰყავს ნანახი.

არსენი თავის ახალგაზრდებს ენდობა და დარწმუნებულია, რომ ეს ის ხალხია, რომელთა ბაზაზე ახალი „არსენალი“ უნდა აშენდეს. ჯეკი და აარონი შესაძლოა მართლაც ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც „მეთოფეთა“ ნახევარდაცვაში წლების განმავლობაში ცენტრალურ როლს შეასრულებენ და ამის გათვალისწინებით, იქნებ მართლაც სესკის წასვლის დრო იყოს. ეს კლუბისთვის უკეთესი იქნებოდა“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● არგენტინა. კლაუსურა. XVII ტური

ველესი თუ ლანუსი?

თამაში ისევ ჩაიშალა, მსაჯები ისევ შეცდნენ

არსენალი-ოლიმპო	**2:0**

გოლები: 1:0 ობოლო (37), 2:0 ლ. ლოპესი (42)

ბანფილდი-ოლ ბოისი	**3:1**

გოლები: 0:1 მატოსი (4-პენ), 1:1 ფერეირა (7), 2:1 ბუსტამანტე (84), 3:1 მენდესი (90)
გაძევება: კასტელიონე (87. ოლ ბოისი)

კილმესი-ბოკა	**2:2**

გოლები: 1:0 კარუსო (27 ს.კ.), 2:0 ხერლო (42), 2:1 პალერმო (63), 2:2 ჩავესი (67)

ხიმნასია-რასინგი	**0:0**

გაძევება: კორდობა (90. ხიმნასია)

ურაკანი-ტიგრე	**3:2**

გოლები: 1:0 მაჩინი (37), 2:0 კამპორა (39), 2:1 ეჩევერია (43), 3:1 კამპორა (50), 3:2 ე. გონსალესი (64)

რივერი-კოლონი	**1:1**

გოლები: 0:1 ფუერტესი (57), 1:1 კარუსო (82)

ველესი-გოდოი კრუსი	**2:0**

გოლები: 1:0 მარტინესი (64), 2:0 რამირესი (90)

ინდეპენდიენტე-ლანუსი	**1:2**

გოლები: 0:1 ვალერი (12), 0:2 რეგეირო (74), 1:2 ველასკესი (80)

არხენტინოსი-ესტუდიანტესი	**0:0**

ნიუელსი-სან ლორენსო
15 ივნისს გაიმართება

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ველესი	17	10	3	4	32-16	33
2. ლანუსი	17	9	5	3	27-14	32
3. გოდოი კრუსი	17	8	4	5	29-26	28
4. ოლიმპო	17	7	5	5	26-22	26
5. არხენტინოსი	17	6	8	3	14-10	26
6. ბოკა	17	7	5	5	21-19	26
7. ინდეპენდიენტე	17	6	7	4	25-19	25
8. რივერი	17	6	7	4	13-12	25
9. ბანფილდი	17	7	4	6	22-22	25
10. რასინგი	17	7	2	8	22-21	23
11. ესტუდიანტესი	17	6	5	6	17-17	23
12. ტიგრე	17	6	5	6	24-25	23
13. ოლ ბოისი	17	6	4	7	13-18	22
14. სან ლორენსო	16	5	6	5	18-14	21
15. კოლონი	17	6	3	8	20-25	21
16. არსენალი	17	4	7	6	23-22	19
17. კილმესი	17	4	5	8	22-26	17
18. ხიმნასია	17	3	8	6	17-22	17
19. ურაკანი	17	3	5	9	17-35	14
20. ნიუელსი	16	3	2	11	14-31	11

ბომბარდირები: 10 - კამპორა (ურაკანი), სტრაკვალურსი (ტიგრე); 9 - გუტიერესი (რასინგი), ფუერტესი (კოლონი); 8 - ვალერი (ლანუსი), ობოლო (არსენალი); 7 - რომერო (ლანუსი), რამირესი (ველესი).

მომდევნო ტური

10 ივნისი: **ოლიმპო-ნიუელსი.**
11 ივნისი: **კოლონი-არსენალი, სან ლორენსო-კილმესი, ოლ ბოისი-ხიმნასია.**
12 ივნისი: **ტიგრე-ინდეპენდიენტე, ურაკანი-ველესი, ესტუდიანტესი-რივერი, ლანუსი-არხენტინოსი, ბოკა-ბანფილდი.**
13 ივნისი: **რასინგი-გოდოი კრუსი.**

არგენტინის საშემოდგომო ჩემპიონატი 19 ივნისს დასრულდება. სავარაუდოდ, ჩემპიონიც მხოლოდ მაშინ გაირკვევა. ახლა კი ცნობილია ტიტულისთვის მებრძოლი 3 კანდიდატი, ორი რეალური, მესამეადგილოსან „გოდოი კრუსს“ კი თეორიული შანსი რჩება. ჩემპიონის ვინაობას ერთმანეთს „ველეს სარსფილდი“ და „ლანუსი“ ეცილებიან, პირველს ფინიშამდე 2 ტურით ადრე ერთქულიანი უპირატესობა აქვს.

ტურის მოვლენები

„ველესმა“ ლიდერობა შეინარჩუნა, თუმცა კი ბევრს ეეჭვებოდა. ფინიშისწინა მოსახვევში „ველესი“ პირველი შევიდა, როცა ერთ-ერთი კონკურენტი „გოდოი კრუსი“ დაამარცხა. ეს იყო ძალიან რთული, ლიდერს ახლა უფრო გაუიოლდება მიზნის მიღწევა, თუმცა არ ვგულისხმობთ, რომ ყველაფერს იოლად მიაღწევს, წინ ორი თამაშია - სუსტ „ურაკანთან“, რომელიც ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის და არასტაბილურ, მაგრამ ძლიერ და მოტივირებულ „რასინგთან“.

„ველესის“ მდევარ „ლანუსს“ კიდევ უფრო რთული კალენდარი აქვს - ჯერ „არხენტინოს ხუნიორსს“ ხვდება, რომელიც კოპა სუდამერიკანას საგზურისთვის იბრძვის, ბოლოს კი - „რივერ პლეიტს“...

„რივერ პლეიტი“ ისე „გამოძვრა“ პლეი ოფის ზონიდან, რომ საამისოდ არაფერი გაუკეთებია - რომ წაეგო (ფრე ითამაშა) „მილიონარიოსი“ მაინც არ დარჩებოდა პრომოსიონის ზონაში. ასეთია მათემატიკა არგენტინულ პრიმერაში - ახალბედებისთვის წაგება-მოგებას მეტი ფასი აქვს, ვიდრე „ძველებს“. „ოლიმპომ“ კი წააგო. მომდევნო ტურში „რივერმა“ და „ოლიმპომ“ რომ მოიგონ, ეს უკანასკნელი ისევ გადაუსწრეს კონკურენტს, მაგრამ შეიძლება ორივემ ერთად გადაუსწროს „ტიგრეს“ ან „არსენალს“. აი, რაზე ფიქრი და რისი თვლა უნევს არგენტინის ყველაზე ტიტულოვან გუნდს!

უკვე ხუთი ტურია, რაც „მილიონარიოსი“ ვერ იგებს. ის კი არა, „კოლონთან“ მატჩში მასპინძლებმა ბოლო ათ წუთში გაათანაბრეს, თუმცა მოგებაც შეეძლოთ - მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე **პავონემ** ბურთი ძელს გაარტყა.

„ურაკანმა“ მოიგო და გავარდნის ზონაში „ხიმნასია“ გადაისროლა. ჩვენ უკვე გამოვიტირეთ „ურაკანი“, თუმცა, როგორც გამოჩნდა, „გლობო“ ისევ სუნთქავს და ბრძოლას აპირებს.

კლაუსურაში მესამე თამაშა ჩაიშალა. პირველი ორი (ველესი-სან ლორენსო და ესტუდიანტესი-ურაკანი) ტრიბუნებზე არეულობის გამო ჩაიშალა. „ნიუელს ოლდ ბოისის“ და „სან ლორენსოს“ შემთხვევაში, მატჩი გააუქმეს დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე - „ნიუელსის“ ფანთა ერთმა ჯგუფმა ქალაქში დიდი არეულობა გამოიწვია და პოლიციის კომისარი ფეხში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა.

ხუან მარტინესი გოლს ზეიმობს

ტურის მოვლენა იყო უთუოდ **მარტინ პალერმოს** გოლი, რომლის წყალობითაც ის არგენტინის ჩემპიონატის ისტორიაში მე-5 ბომბარდირი გახდა. „ტიტანმა“ „კილმესს“ ულამაზესი გოლი გაუტანა. მარტინი, რომელიც ამ ორ ტურსაც ითამაშებს და ფეხბურთიდან მიდის, 227 გოლით **ხოსე სანფილიპოს** გაუთანაბრდა.

ველესელმა **დავიდ რამირესმა** „გოდოი კრუსის“ კარში მეორე გოლი გაიტანა და ამით გუნდს, სადაც გაიზარდა და სახელი მოიხვეჭა, ჩემპიონობის შანსი ერთობ შეუმცირა. ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, რამირესს გოლი არ უზეიმია.

„ლანუსმა“ გაინაღდა კოპა სუდამერიკანას საგზური, ადრე ეს შეძლეს „ინდეპენდიენტემ“ (როგორც მოქმედი ჩემპიონი), „ესტუდიანტესმა“ და „ველესმა“.

ტურის ციფრები

9 მატჩში 22 გოლი გავიდა, რაც საშუალოდ 2,4 გოლია მატჩში. მასპინძლებმა 14-ჯერ გაიტანეს, 8-ჯერ კი სტუმრებმა. დუბლი მხოლოდ **ხავიერ კამპორამ** შეასრულა და სიმბოლურია, რომ ამით ფორვარდი ბომბარდირთა დავაში ლიდერს გაუსწორდა, ხოლო მისი „ურაკანი“ გავარდნის ზონას დაეხსნა.

ტურის მატჩი

ველესი VS გოდოი კრუსი

ტურის გმირი

ხუან მარტინესი

ხუანდე რამოსმა ბოლო მომენტში გადაიფიქრა მისი ყიდვა „დნიპროში“, **სერხიო ბატისტამ** მას ნაკრებში არ დაუძახა - არადა, „ველესის“ ლიდერი ბრწყინვალე ფორმაშია. „გოდოი კრუსთან“ მატჩში მან ბურთი საჯარიმოს კუთხესთან მიიღო, ორი მცველი ჩამოიტოვა, ცენტრისკენ შეინია და ისე დაარტყა, რომ დედამინის ზურგზე ვერც ერთი გოლკიპერი ვერ აიღებდა. მარტინესის გარდა გამოვყოფთ მეკარე **მარსელო ბაროვეროს,** რომელმაც ერთ წუთში ორი დიდებული „სეივი“ გააკეთა.

ტურის შეცდომა

„კილმესი“-“ბოკას“ მატჩში მსაჯმა **ნიკოლას კოლასის** გოლი გააუქმა, ეს მოხდა 0:0-ზე. გამეორებაზე კარგად გამოჩნდა, რომ თამაშგარე მდგომარეობა არ ყოფილა და მსაჯი **ნესტორ პიტანა** შეცდა, როცა ლაინსმენს დაუჯერა.

ტურის ტრავმა

„ტიგრეს“ მეკარე **დანიელ ისლასმა** მეტოქის მცველ **ანდრეს ნუნიესთან** შეჯახებისას მძიმე ტრავმა მიიღო. მეკარემ ჩანოდების ჩაჭრა განიზრახა, ეს შეძლო კიდეც, მაგრამ თავს ნუნიესი დაეცა. „ურაკანის“ ფეხბურთელს შეეძლო შეჯახების არიდება, მაგრამ ეს არ გააკეთა. მეკარემ რამდენიმე ადგილას მიიღო მოტეხილობა და, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

ტურის გოლები

მარტინ პალერმო (ბოკა): პირველი გოლი „კილმესის“ კარში.
კრისტიან ჩავესი (ბოკა): მეორე გოლი „კილმესის“ კარში.
ხუან მარტინესი (ველესი): პირველი გოლი „გოდოი კრუსის“ კარში.
დიეგო ვალერი (ლანუსი): პირველი გოლი „ინდეპენდიენტეს“ კარში.

ვინ ამოდის პრიმერაში

ოთხეული გარკვეულია - ცნობილია, რომ რაფაელის „ატლეტიკო“ პრიმერადივიზიონში ითამაშებს, „ბელგრანო“ პრომოსიონში მიიღებს მონაწილეობას. „უნიონს“ და „სან მარტინს“ გასარკვევი აქვს, რომელი მათგანი მიიღებს პირდაპირ საგზურს და რომელი იბრძოლებს პრომოსიონში.

მწვრთნელის ძიებაში

საოცარია, მაგრამ „ესტუდიანტესს“ ჯერაც ვერ უპოვია **ედუარდო ბერიცოს** შემცვლელი. სტუდენტები ჩემპიონატს ინერციით ამთავრებენ. გუნდის ხელმძღვანელობა ცდილობს დაითანხმოს 50 წლის **რუბენ დარიო ინსუა.**

ტურის სიმბოლური ნაკრები

Goal.com. 3-5-2

აგუსტინ მარჩესინი (ლანუსი) - **მარსელო გუსტავენტე** (ბანფილდი), **მათიას კაინსი** (რასინგი), **დანილო ხერლო** (კილმესი) - **კრისტიან ჩავესი** (ბოკა), **დიეგო ვალერი** (ლანუსი), **გასტონ მაჩინი** (ურაკანი), **ფაბიან რინაუდო** (ხიმნასია), **ხუან მარტინესი** (ველესი) - **მარტინ პალერმო** (ბოკა), **ხავიერ კამპორა** (ურაკანი).

● ბრაზილია. თასის ფინალი

აკინო თასს ვერ შესწვდა

თასი ვასკუ და გამასია

კორინტიბა-ვასკუ და გამა **3:2**

(პირველი მატჩი 0:1)

კორინტიბა: ბასტოსი, ჟონასი, დემერსონი, ემერსონი, მენდესი (ელტინიო), ვილიანი, გაგო (აურელიო), პაულო (ლეონარდო), რაფინია, დავი, ბილი.

ვასკუ და გამა: პრასი, ალანი, დედე, მარტინსი, რამონი, რომულო, კოსტა, ფელიპე (ჟუმარი), დიეგო სოუზა (ბერნარდო), ედერ ლუისი, ალექსანდრო.

გოლები: 0:1 ალექსანდრო (11), 1:1 ბილი (28), 2:1 დავი (44), 2:2 ედერ ლუისი (57), 3:2 ვილიანი (66)

ბრაზილიის თასი „ვასკუ და გამას“ დარჩა - ამ გუნდმა საპასუხო ფინალური მატჩი 2:3 წააგო „კორინტიბასთან“, მაგრამ ორი მატჩის ჯამში მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი ბურთის წყალობით, ტიტულს შესწვდა.

სხვათა შორის, თასის ფინალის პირველ და საპასუხო მატჩებს შორის ეს გუნდები ერთმანეთს სერია A-ში შეხვდნენ და იქ რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი ფეხბურთელის, **ანდერსონ აკინოს** ჰეთ თრიკის წყალობით „კორიტიბამ“ 5:1 მოიგო. საპასუხო ფინალურ მატჩში აკინოს არ უთამაშია. აკინო, რომელიც საქართველოს ნაკრებში თამაშზეც იყო თანახმა, ბრაზილიის ჩემპიონატში 3-3 გოლით ბომბარდირთა დავაში ლიდერობს ვასკოელ **ბერნარდოსთან** ერთად.

ვასკუ და გამა ბრაზილიის თასს ზეიმობს

ანგარიში „ვასკუმ“ გახსნა, როცა ფლანგიდან ჩაწოდებულს მასპინძელთა კარში ბურთი „ინტერნასიონალის“ ყოფილმა ფორვარდმა **ალექსანდრომ** გაიტანა. ტაიმი მაინც „მწვანეებმა“ მოიგეს, ჯერ თავურებით გათამაშებული კომბინაცია **ბილმა** ახლო მანძილიდან გოლით დაასრულა, შემდეგ **დავიმ** იმარჯვა დამატებაზე. „კორიტიბო“ მისი გოლკიპერის, **ბასტოსის** სულელურმა შეცდომამ დაღუპა, როცა ის **ედერ ლუისის** დარტყმულს „ასცდა“. 66-ე წუთზე **ვილიანმა** „კორიტიბა“ ისევ წინ გაიყვანა - მან დაახლოებით 25 მეტრიდან ფანტასტიკური გოლი გაიტანა. 2001 წლის მერე პირველად „ვასკუ და გამა“ პირველად ითამაშებს კოპა ლიბერტადორესზე.

■ ■ ■

„ფლუმინენსეს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს - **აბელ ბრაგა.** მას მიზნად ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება დაუსახეს. ბრაგამ „ფლუმინენსეს“ დროებითი თავკაცი **ენდერსონ მორეირა** შეცვალა. ბრაგა „ფლუს“ ყოფილი ფეხბურთელია, 2005 წელს კი წვრთნიდა კიდეც ამ გუნდს. „ფლუმინენსეს“ 3 ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს. ბრაზილიის ჩემპიონატს კი ერთპიროვნულად „სან პაულუ“ ლიდერობს - **რივალდოსა** და **ლუიშ ფაბიანოს** გუნდი ერთადერთია 20-გუნდიან სერია A-ში, რომელსაც ჯერ ქულა არ დაუკარგავს.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ამბები

12 ბრალდებული კორეაში

სამხრეთი კორეის პროკურატურამ 12 ადამიანს ბრალდება ოფიციალურად წაუყენა. მათ წინააღმდეგ საქმე შესაძლო ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობის გამო აღიძრა, - გვამცნობს "ასოშიეიტედ პრესი" კორეულ საინფორმაციო სააგენტოებზე დაყრდნობით. 12-დან 9 ფეხბურთელია და ისინი კორეის უმაღლესი ლიგის გუნდებში ირიცხებიან. როგორც ბრალდების მასალებიდან ირკვევა, რამდენიმე ფეხბურთელი შეთანხმებულად მოქმედებდა და ანაზღაურების სანაცვლოდ მათი კლუბების თამაშებში მათთვის სასურველ შედეგებს უზრუნველყოფდა. ერთ ფეხბურთელს სხვებისგან განსხვავებული ბრალდება აქვს ნაყენებული. ამ შემთხვევაში ლაპარაკია, რომ მან იცოდა რა, თუ რა შედეგით დასრულდებოდა ესა თუ ის შეხვედრა, ტოტალიზატორში ფსონებს აკეთებდა. მათ შორის იმ კლუბის მატჩებზეც, სადაც თავად ასპარეზობდა. დაკავებულთაგან ორი სპორტსმენი არ არის. როგორც გამოძიება ამტკიცებს, მათ ფეხბურთელებთან "კუთვნილი ანაზღაურება" მიჰქონდათ და ასევე ქრთამს აძლევდნენ ტოტალიზატორის რიგ თანამშრომლებსაც. საქმეში გარეული იყო კიდევ ერთი ფეხბურთელი, მაგრამ მას მერე, რაც საინფორმაციო გამოშვებებში სკანდალზე პირველი სიუჟეტები გადაიცა, მან თავი მოიკლა.

სპარტაპი და დეფური

მოგეხსენებათ, მოსკოვის სპარტაკი "აიაქსიდან" **დემი დე ზეუვის** შეძენას აპირებს. კლუბებმა ყველაფერი შეათანხმეს, მაგრამ როგორც ჩანს, თავადდე ზეუვმა რუსეთში კარიერის გაგრძელებისგან თავი შეიკავა. შესაბამისად, ეს ტრანსფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მოსკოველები ახლა ლიეჟის "სტანდარდის" 23 წლის ცენტრალური ნახევარმცველით **სტივენ დეფურით** დაინტერესდნენ. *"დიახ, "სპარტაკის" ინტერესი ჩემი კლიენტის მიმართ მართლა არსებობს, მაგრამ ამჟამად სტივენი შვებულებაშია, ფეხბურთზე ლაპარაკის სურვილი არ აქვს და შესაბამისად, სიტუაციის გარკვევას უახლოეს დღეებში ვერ დავიწყებთ. შვებულების დასრულების შემდეგ კი აუცილებლად შევხვდებით "სტანდარდის" ხელმძღვანელობას და დავილაპარაკებთ"*, - განაცხადა დეფურის აგენტმა **პოლ სტეფანმ**.

ანუს დასვენება

წარსულში ნიგერიის ნაკრების, "ინტერისა" და "არსენალის" თავდამსხმელმა **ნვანკვო კანუმ** კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. ხვალ, 11 ივნისს, ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში მისი გამოსათხოვარი მატჩია დაგეგმილი. როგორც goal.com გვამცნობს, ამ შეხვედრისთვის ლაგოსში ჩავლენ აფრიკული ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან **სამუელ ეტოო, ემანუელ ადებაიორი, მიკაელ ესიენი, ემანუელ ებუე, ალექს სონგი**. კანუს პატივს დასდებენ ასევე ვეტერანი ფეხბურთელები **ჟორჟ ვეა, ლუკას რადებე, რიგობერტ სონგი** და სხვები.

თურქები ფიფაში იჩივლებენ

ინგლისური პრესა დღემდე აგრძელებს მტკიცებას, რომ **გუუს ჰიდინკი** ვადამდე დატოვებს თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს და "ჩელსის" ჩაიბარებს. მოვლენათა ამგვარად განვითარება ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას არ სურს და შესაბამისად, ყველაფერს აკეთებს ჰოლანდიელი სპეციალისტის შესანარჩუნებლად. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა **მაჰმუთ ოზგენერმა** სპეციალური განცხადება გააკეთა: *"წარსულში "ჩელსი" უკვე იყო შემჩნეული ისეთ ფეხბურთელებთან ხელშეკრულებების გაფორმებაში, ვისაც წინა კლუბებთან კონტრაქტი ჯერ ამონურული არ ჰქონდა (ლაპარაკია ფრანგი **გაელ კაკუტას** ისტორიაზე. რედ). თუკი "ჩელსი" ანალოგიურ რამეს ჰიდინკის შემთხვევაშიც გაბედავს, ჩვენ აუცილებლად მივმართავთ ფიფას და ჩვენს უფლებებს დავიცავთ. გამორიცხულია, რომ ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ ჩამოხვიდე და თანამდებობა მაშინ დატოვო, როცა მოისურვებ"*.

ლევან ბიბილაშვილი

● ფრანგული ამბები

ლე გუენს სოშო
თანამშრომლობას სთავაზობს

დეშამი სამი წლით

ლე გუენი შეიძლება სკამს დაუბრუნდეს

მას შემდეგ, რაც ლიგა 1-ის სეზონი დასრულდა, ხმები **დიდიე დეშამის** დარჩენა-არდარჩენაზე არ წყდებოდა. მას პრესა ხან სად "ნიშნავდა", ხან კიდევ სად. როგორც ჩანს, "მარსელის" ხელმძღვანელობას მოჰბეზრდა ჭორებზე კომენტარის კეთება და საქმეს მსუყე წერტილი დაუსვა. კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, გუშინ 42 წლის სპეციალისტმა კლუბთან ახალი 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და "ველოდრომზე" 2014 წლამდე დარჩება. კლუბის გადაწყვეტილება ლოგიკური იყო, რადგან სადებიუტო სეზონში დიდიემ გუნდს ჩემპიონატი მოაგებინა, ორიოდე კვირის წინ კი ვერცხლის მედლებს დასჯერდა, რაც მის სამწვრთნელო ტალანტს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. *"ახლა მე უკვე დაწვრილებით ვიცი ჩემი კლუბის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და შემიძლია მშვიდად დავიწყო ახალი სეზონისთვის მზადება და ბრძოლისუნარიანი გუნდის მშენებლობა,"* – განაცხადა დეშამმა.

"მარსელი" სეზონის დასრულების შემდეგ ორმა ფეხბურთელმა დატოვა. **ტაიე ტაივო** "მილანში" გადავიდა, ხოლო **გაბრიელ ჰაინცემ** მხარეთა შეთანხმებით თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო და ახლა მისი მომავალი მისი და მისი აგენტის ხელშია. სამაგიეროდ, "ველოდრომზე" განაგრძობს კარიერას "ლორიანის" ყოფილი ნახევარმცველი **მორგან ამალფიტანო**, ვისთანაც კლუბმა 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. *"ასეთი ფანტასტიკური კლუბის წევრობა ჩემთვის დიდი პატივია. მე ვაგრძელებ სვლას მწვერვალებისკენ და ვიცი, რომ "მარსელი" ამ კიბეზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია"*, – განაცხადა პრეზენტაციისას ფეხბურთელმა, ვინც ძველი კლუბის შემადგენლობაში ბოლო სეზონში 38-ვე თამაში ძირითადში დაიწყო და 5 გოლის გარდა 13 საგოლე გადაცემა მიითვალა, აქედან 9 გუნდის ბომბარდირ **კევინ გამეიროს** გადააწოდა.

სეზონი დასრულებული არ იყო, როცა "პარი სენ-ჟერმენმა" დაადასტურა, რომ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აპირებდა. განცხადება განცხადებად და პარიზელებს ჯერ ერთი ახალი ფეხბურთელიც არ გაუფორმებიათ. პსჟ-ს ყატარელი მფლობელები ორი იაპონელი ფეხბურთელის გადაბირებას გეგმავენ. ლაპარაკია მოსკოვის ცსკა-ს 24 წლის შემტევ ნახევარმცველ **კეისუკე ჰონდასა** და დორტმუნდის "ბორუსიის" 22 წლის ვარსკვლავ **შინჯი კაგავაზე**. იმის გათვალისწინებით, რომ აზიის კონტინენტზე პსჟ-ს თამაშებს ხშირად გადასცემს ყატარული ტელეკომპანია "ალ ჯაზირა", გათვლა საკმაოდ მარტივი გამოდის. მათ პოპულარული აზიელი ფეხბურთელების ხათრით ტელემაყურებელთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა აქვთ დაგეგმილი. ამ ფაქტზე ხაზგასმა არ ნიშნავს, რომ ჰონდა ან კაგავა თავისი სათამაშო კლასით პარიზული კლუბის ღირსნი არ არიან. მით უფრო კაგავა, ვინც შარშანდელ ბუნდესლიგაში, სანამ ტრავმას არ მიიღებდა, ობიექტურად საუკეთესო იყო. ვერაფერს გეტყვით ცსკა-ზე, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ "ბორუსია" თავისი ერთ-ერთი ლიდერის გაყიდვას არ დათანხმდება.

დაბოლოს, **პოლ ლე გუენი** შეიძლება ერთწლიანი პაუზის შემდეგ სამწვრთნელო ასპარეზს დაუბრუნდეს. "სოშომ" მას თანამშრომლობა ოფიციალურად შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ ლე გუენს საკლუბო დონეზე "რენი", "ლიონი", "რეინჯერსი" და პსჟ გაუწვრთნია. ბოლოს ის კამერუნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ნაკრებიდან ის 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კამერუნის წარუმატებელი ასპარეზობის გამო წამოვიდა.

ლევან ბიბილაშვილი

● ჰოლანდიური ამბები

პრუიდომმა არაბეთი არჩია

შეიძლება ითქვას, რომ "ტვენტეს" მთავარი მწვრთნელი აღარ ჰყავს. **მიშელ პრუიდომი** უახლოეს დღეებში სამუშაოდ საუდის არაბეთის უმაღლესი ლიგის კლუბ "ალ შაბაბს" მიაშურებს. როგორც "დე ტელეგრააფი" გვამცნობს, ბელგიელი სპეციალისტის აგენტი არაბებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს და კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ დროის ამბავია. "ალ შაბაბი" მწვრთნელს 2-წლიან კონტრაქტსა და წელიწადში 2 მილიონ ევროს სთავაზობს. იქიდან გამომდინარე, რომ პრუიდომს "ტვენტესთან" ხელშეკრულება 2013 წლამდე აკავშირებს, მისი კონტრაქტის გამოსასყიდად ჰოლანდიელები 1,2 მილიონ ევროს ითხოვენ. ზუსტად იმ თანხას, რაც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული.

შეგახსენებთ, რომ "ტვენტემ" პრუიდომის ხელმძღვანელობით ჰოლანდიის თასისა და სუპერთასის მოგება შეძლო, დაიმსახურა ერედივიზიეს ვერცხლის მედლები და გავიდა ევროპის ლიგის 1/4-ფინალში, სადაც "ვილიარეალთან" დამარცხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "ტვენტეს" რაღაცნაირად "ტრადიციად დასჩემდა" წარმატებული მწვრთნელების დაკარგვა. 2008 წელს ენსხედელთა გუნდი **ფრედ რუტენმა** "შალკეზე" გაცვალა, 2010-ში **სტივ მაკლარენმა** – "ვოლფსბურგზე", ახლა კი მათ გზას პრუიდომიც დაადგა. პირველმა ორმა ახალ კლუბებში ვერაფერს მიაღწია, რას იზამს ბელგიელი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ლევან ბიბილაშვილი

ტვენტე მორიგ წარმატებულ მწვრთნელს კარგავს

● კვირის ფრაზები

ყოველთვის მეყვარება სამი ლომი!

ინგლისის ნაკრებმა მორიგი შეხვედრა ჩააფლავა — ლონდონში, „უემბლიზე" ევრო-2012 წლის შესარჩევ ეტაპზე შვეიცარიასთან ფრედ, 2:2 ითამაშა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ **ფაბიო კაპელოს** შეგირდები 0:2-ს აგებდნენ და ბოლოს გაათანაბრეს რის ვაი-ვაგლახით ანგარიში. ამ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავდამსხმელ **პიტერ კრაუჩს**, რომელიც ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ძალზე დამწუხრებულია უთამაშებლობით, მაგრამ უფრო - გუნდის რეზულტატით. „დეილი მეილის" კორესპონდენტმა კრაუჩს ამ თემაზე მიმართა კითხვით: *„მართალია, შაბათს ძალზე ცუდი რამ მოხდა, რომელმაც ძალიან დამამწუხრა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ნაკრებში ასპარეზობას შევწყვეტ. ევროპის ჩემპიონატსა თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, „უემბლიზე" გოლის გატანა — ეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის სიამაყეა. მე ყოველთვის მეყვარება „სამი ლომი", მასში ასპარეზობა კი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემში სიამაყის გრძნობას იწვევს. ეს ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ასეა".*

პიტერ კრაუჩი

ნოიერის სწორი გადაწყვეტილება

„შალკეს" აწ უკვე ყოფილმა და მიუნხენის „ბაიერნის" ამჟამინდელმა კიპერმა, ასევე გერმანიის ნაკრების პირველმა ნომერმა **მანუელ ნოიერმა** განაცხადა, რომ მისი ბავარიულ გრანდში გადასვლა სწორი გადაწყვეტილებაა. მანუმ „შპორტ ბილდთან" ასე ისაუბრა: *„ვფიქრობ, რომ ახალ კლუბში ადაპტაცია არ გამიჭირდება. ახლა ყველანაირ კონცენტრაციას მოვახდენ ახალ კლუბში თამაშებისთვის. მივიჩნევ, რომ მიუნხენურ გრანდში გადასვლა სწორი გადაწყვეტილება გახლავთ. გერმანიის ნაკრებში ჩემმა თანაგუნდელებმა, რომლებიც რეკორდმაისტერში ასპარეზობენ, მითხრეს, რომ აქ კომფორტულად ვიგრძნობ თავს".*

მესი პელეზე, ტრუიფზე და მარადონაზე მაგარია!

„ბარსელონას" ნახევარმცველი **ხავი** მიიჩნევს, რომ მისი გუნდი ბოლო ოცი წლის საუკეთესო გუნდია, ხოლო მათი არგენტინელი ვარსკვლავიჭუნა **ლიონელ მესი** კი — ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელი. *„დიახ, ადრე ძალზე დიდი გუნდები და ფეხბურთელები გახლდათ: ბრაზილია და პელე, „აიაქსი" და კრუიფი, „მილანი" და ვან ბასტენი, მაგრამ ბოლო ოცი წელინადის მანძილზე ჩვენ საუკეთესონი ვართ, - ამბობს ფეხბურთელი, – მესი კი პელეზე, კრუიფზე და მარადონაზე უკეთესია. შეხედეთ, რამხელა როლს თამაშობს გუნდის წარმატებაში. ეგ რომ არ გყავდეს, შესაძლოა ასე არ ყოფილიყო ეს ყველაფერი".*

გიორგი ფულარიანი

უცხოური ფეხბურთი

გერმანიის ნაკრები

მართალია, ამაში ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა, მაგრამ ავსტრიასთან და აზერბაიჯანთან მოგებული მატჩების შემდეგ, გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე თამაში ფაქტობრივად გაინაღდა. შესაბამისად, დროა, თვალი გადავავლოთ ბუნდესგუნდში არსებულ ვითარებას და გავაანალიზოთ, ვის აქვს განაღდებული ევრო 2012-ზე ასპარეზობა, ვის უნდა ეშინოდეს განაცხადიდან ამოვარდნის და რომელი ფეხბურთელები არიან მზად იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში, კონტინენტის პირველობაზე გერმანიის დროშის ქვეშ იასპარეზონ.

ლიოვი არც იმას მალავს, რომ ბუნდესგუნდში დღეს გაცილებით დიდი კონკურენციაა, ვიდრე მაშინ, როცა გერმანიის ნაკრების მწვრთნელად მუშაობა დაიწყო – დღეს ყველა პოზიციაზე მინიმუმ ორი კარგი ფეხბურთელი მყავსო.

გადაწყვეტილია, რომ **მიხაელ ბალაკს** ბუნდესნაკრებში არანაირი როლი აღარ ექნება. ლიოვი უახლოეს მომავალში გერმანიის ნაკრების ყოფილ კაპიტანს უნდა შეხვდეს და ესაუბროს, თუმცა უკვე ცხადია, რომ ბალაკი ნაკრებში აღარ ითამაშებს.

ახლა კი მივყვეთ თანმიმდევრობით, პოზიციების მიხედვით:

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი

გიოტცე იწყება, იოზილი გრძელდება, ბალაკი დამთავრდა...

დიდი არჩევანი, მაკაფრი კონკურენცია

მიუხედავად იდეალური შედეგებისა, გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საგზური ოფიციალურად ჯერ არ გაუნაღდებია, მაგრამ ფაქტია, რომ **იოახიმ ლიოვის** გუნდს პრობლემა არ შეექმნება. ოფიციალურობისთვის კი საჭიროა მხოლოდ ერთი თამაშის მოგება (უახლოესი მატჩი გერმანიას 2 სექტემბერს ავსტრიასთან უნევს) და ბუნდესგუნდს ევროპის ჩემპიონატზე თამაში უკვე საბოლოოდ გარანტირებული ექნება. შესაბამისად, ბუნდესმწვრთნელ ლიოვს დაახლოებით ერთი წელი, ფაქტობრივად მთელი სეზონი ექნება იმისათვის, რომ ევრო 2012-ისთვის მოემზადოს, ყველაფერი ანონ-დაწონოს და ფეხბურთელები მშვიდად, ყოველგვარი ცაიტნოტის გარეშე შეარჩიოს. და რაც უფრო მეტი დრო გავა, ფეხბურთელები უფრო და უფრო მძიმე წნეხის ქვეშ მოექცევიან.

„გუნდი ავსტრიასთან და აზერბაიჯანთან მატჩებში ცოტა არ იყოს, მოდუნებული მომეჩვენა, რის გამოც ძალიან გავბრაზდი. ფაქტია, რომ შეტევაში ძალიან აქტიურები უნდა ვიყოთ," - თქვა ლიოვმა აზერბაიჯანთან მატჩის შემდეგ და აქვე იმასაც გეტყვით, რომ მან მთელი სეზონის მანძილზე, გერმანიის ნაკრებში სულ 40 ფეხბურთელი ათამაშა.

ბალაკის როლი ნულის ტოლია

ცხადია, იოგი მომდევნო სეზონში კიდევ არაერთ ახალ ფეხბურთელს გამოცდის. დიდი შანსია, რომ გაფართოებული შემადგენლობის რაოდენობამ 50 ფეხბურთელსაც კი მიაღწიოს, ევროპის ჩემპიონატზე კი ჰერ ლიოვმა მხოლოდ 23 მოთამაშე უნდა იახლოს. შესაბამისად, თამამად უნდა ითქვას, რომ თითოეული პოზიციისთვის ბრძოლა დროთა განმავლობაში ძალიან გამძაფრდება. ლიოვს კი ეს მხოლოდ ახარებს – იმედი მაქვს, გერმანიის ნაკრებში მოხვედრა ყველა ფეხბურთელისთვის ძალიან ძნელი იქნება, კონკურენცია ხომ კარგი რამ არისო.

მეკარეები: ნოიერი ხელშეუხებელია

ორი აზრი არ არსებობს: გერმანიის ნაკრების კარს ევროპის ჩემპიონატზე ახლახან „შალკედან" „ბაიერნში" გადასული **მანუელ ნოიერი** დაიცავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ხელშეუხებელი პირველი ნომერია. მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი შემცვლელები **რენე ადლერი** (ლევერკუზენი) და **ტიმ ვიზე** (ვერდერი) იყვნენ, თუმცა ბუნდესლიგის გასულ სეზონში რამდენიმე ძალიან ნიჭიერი კიპერი გამოჩნდა, რომლებსაც ნაკრებში მოხვედრის საკმაოდ კარგი შანსები აქვთ - მაგალითად, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების მეკარე **ოლივერ ბაუმანი** (ფრაიბურგი), ჰანოვერელი **რონ-რობერტ ცილერი** და კაიზერსლაუტერნელი **კევინ ტრაპი**. სამივემ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და გამორიცხული არაა, რომ რომელიმე მათგანი ნაკრებში ვიზეს ან თუნდაც ადლერის ნაცვლად მოხვდეს. ლიოვის თვალთახედვის არეში **რალფ ფერმანი** (შალკე) და **თომას კრაფტიც** (ჰერტა) არიან.

მცველები: ლამი შეუცვლელია, ჰუმელსი ფეხს იკიდებს

მცველებიდან, გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილი მხოლოდ **ფილიპ ლამს** აქვს გარანტირებული. 2010 წლის მუნდიალზე დაცვის ცენტრში **პერ მერტეზაკერისა** (ვერდერი) და **არნე ფრიდრიხის** (ვოლფსბურგი) ტანდემმა იასპარეზა, მაგრამ გასულ სეზონში ორივე ფეხბურთელი დიდხანს იყო ტრავმირებული. პერი და არნე დღესაც არ არიან საუკეთესო ფორმაში და ძალიან დიდია იმის შანსი, რომ ერთი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე გერმანია დაცვის სულ სხვა ცენტრით წარსდგეს. მერტეზაკერი და ფრიდრიხი ძირითადი შემადგენლობის წევრებად კი მიიჩნევიან, მაგრამ უმძიმესი წნეხის ქვეშ არიან მოქცეულები. მათი უპირველესი კონკურენტი დორტმუნდის „ბორუსიას" დაცვის ბურჯი, ახალგაზრდა **მატს ჰუმელსია**.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის განაცხადში შტუტგარტელი **სერდარ ტასკიც** იყო, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, თუ მომავალ სეზონში რაიმე სასწაული არ მოხდა, ლიოვი მას ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანს, რადგან მერტეზაკერის, ფრიდრიხისა და ჰუმელსის გარდა, ბუნდესგუნდის დაცვის ცენტრში ისედაც ძალიან დიდი კონკურენციაა: ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ამბიცია **ჰოლგერ ბადშტუბერს** (ბაიერნი), **ჟერომ ბოატენგსა** (მანჩესტერ სიტი) და **ბენედიქტ ჰოივედესსაც** (შალკე) აქვთ. თანაც, ეს ფეხბურთელები ტასკიზე ორი თავით მაღლა დგანან.

დაცვაში ლიოვისთვის ყველაზე პრობლემატური ზონა ფლანგებია. ლამი ან მარცხნივ ითამაშებს, ანაც მარჯვნივ და თან გუნდის კაპიტანიც იქნება. და ვინ უნდა იყოს ფლანგის მეორე მცველი? **მარსელ შმელცერმა** დორტმუნდის „ბორუსიაში" ბრწყინვალე სეზონი კი ჩაატარა, მაგრამ გერმანიის ნაკრებში იმედები მაინცდამაინც ვერ გაამართლა. თუმცა შმელცერი დაცვის მარცხენა ფლანგისთვის მაინც პირველი ალტერნატივაა – ასეთ შემთხვევაში, ლამი მარჯვნივ ითამაშებს. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ ლიოვმა მარჯვენა მცველი აღმოაჩინა, ლამი მარცხნივ გადაინაცვლებს, შმელცერი კი სათადარიგოთა სკამზე დარჩება. თუმცა მარჯვენა მცველის პოზიციისთვის იოგის დიდი არჩევანი არ აქვს: ლამის გარდა, ამ ადგილზე ასპარეზობა ბოატენგს, ჰიოვედესს და **კრისტიან ტრეშს** შეუძლიათ. ფაქტია, რომ ლამი მარჯვნივ და შმელცერი მარცხნივ ამ ეტაპზე ყველაზე გამართლებული ვარიანტია.

არის კიდევ ერთი ვარიანტი: **ანდრეას ბეკი**. თუ ეს უკანასკნელი ტურინის „იუვენტუსში" გადავა და „ბებერ ქალბატონში" ადგილს დაიმკვიდრებს, ცხადია, რომ ლიოვისთვის ერთ-ერთი ალტერნატივა იქნება.

ნახევარმცველები: შვაინშტაიგერი ცენტრში შეფია

რაკი ლიოვი 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემას არ ღალატობს და ამბობს, არც ვუღალატებო, მას ძირითად შემადგენლობაში 5 შუამარბი სჭირდება. საყრდენების პოზიციებზე თამაში **ბასტიან შვაინშტაიგერს** (ბაიერნი) და **სამი ხედირას** (რეალი) განაღდებული აქვთ. ახალგაზრდა **ტონი კროოსმა** ბოლო დროს დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი ალტერნატივაა, მაგრამ არა ისეთი, რომ სასტარტოში თამაში ვუწინასწარმეტყველოთ.

სიმონ როლფესი ხშირად იღებს ტრავმებს, თუმცა უკვე ძალიან გამოცდილია და როცა ჯანმრთელია, გერმანიის ნაკრებში ყოველთვის უხმობენ ხოლმე. **სვენ ბენდერმა** „დორტმუნდში" ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე ჯერ კიდევ ბევრი აქვს დასამტკიცებელი. ტრეშის მთავარი კოზირი კი ისაა, რომ არა მარტო საყრდენი ნახევარმცველის, არამედ მარჯვენა მცველის პოზიციაზეც შეუძლია ასპარეზობა.

ლიოვს შემტევი ნახევარმცველების სამ პოზიციაზეც საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს, გადაწყვეტილი კი მხოლოდ ისაა, რომ „რეალის" პლეიმეიქერი **მესუთ იოზილი** აუცილებლად სასტარტოში ითამაშებს. **თომას მიულერი** (ბაიერნი) და **ლუკას პოდოლსკი** (კიოლნი) უპირველეს ვარიანტებად კი რჩებიან, მაგრამ ამ სეზონში **ანდრე შიურლემ** (მაინცი) უდიდესი პროგრესი განიცადა, ურუგვაისთან და აზერბაიჯანთან მატჩებში კი დაამტკიცა, რომ პოდოლსკის ღირსეული კონკურენტია.

სამაგიეროდ, თითქმის უშანსოდ არიან **მარკო მარინი** და **პიოტრ ტროხოვსკი**, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე იყვნენ, მომავალ სეზონში კი, ნაკრებში დასაბრუნებლად ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ. დორტმუნდელ **მარიო გიოტცეს** კი არათუ ძალიან კარგი, არამედ გრანდიოზული სეზონი ჰქონდა. სხვა დორტმუნდელებისგან განსხვავებით, მარიომ თავისი შესაძლებლობები გერმანიის ნაკრებშიც დაამტკიცა და თამამად უნდა ვთქვათ, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ლიოვი გიოტცეს უკრაინასა და პოლონეთში აუცილებლად წაიყვანს.

თავდამსხმელები: გომესი და კლოზე! კიდევ?

თუ ჯანმრთელად იქნებიან, ლიოვი **მარიო გომესსა** (ბაიერნი) და **მიროსლავ კლოზეს** („ბაიერნიდან" „ლაციოში" გადავიდა) ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად იახლებს. მუნდიალზე გომესისა და კლოზეს შემცვლელები ლევერკუზენელი **შტეფან კისლინგი** და შტუტგარტელი **კაკაუ** იყვნენ, მაგრამ გასულ სეზონში უმეტესად ლაზარეთში იმყოფებოდნენ და ფორმიდან ამოვარდნენ. შესაბამისად, ამ ეტაპზე მათი საქმე არც ისე კარგადაა – თანაც, კაკაუ უკვე 30 წლისაა. სამაგიეროდ, ამ სეზონში თავი გამოიჩინა 22 წლის **იულიან შიბერმა**, რომელიც „ნიურნბერგის" ღირსებას იცავდა, ახლა კი შტუტგარტში ბრუნდება. საკმარისია, შიბერმა მომავალი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატაროს, რომ იოგი მას უკრაინასა და პოლონეთში აუცილებლად იახლებს, ნაკრებს მიღმა კი უფრო კაკაუს დატოვებს, ვიდრე კისლინგს.

გოტფრიდ ლენცი

ვის როგორი შანსი აქვს

ნაკრებში ადგილი განაღდებული აქვთ: მანუელ ნოიერი, ფილიპ ლამი, ჰერ მერტეზაკერი, ბასტიან შვაინშტაიგერი, სამი ხედირა, მესუთ იოზილი, თომას მიულერი, ლუკას პოდოლსკი, მარიო გომესი, მიროსლავ კლოზე.

■ ■ ■

კარგი შანსი აქვთ: რენე ადლერი, ტიმ ვიზე, არნე ფრიდრიხი, მატს ჰუმელსი, ჰოლგერ ბადშტუბერი, ჟერომ ბოატენგი, მარსელ შმელცერი, დენის აოგო, ბენედიქტ ჰოივედესი, ტონი კროოსი, ანდრე შიურლე, მარიო გიოტცე, მარკო როისი, სვენ ბენდერი, კრისტიან ტრეში, სიმონ როლფესი, კევინ გროსკროიტცი.

■ ■ ■

დამატებით სიაში არიან: ოლივერ ბაუმანი, რონ-რობერტ ცილერი, მარსელ იანსენი, ლუის ჰოლტბი, სებასტიან რუდი, შტეფან კისლინგი, იულიან შიბერი.

■ ■ ■

თითქმის უშანსოდ არიან: კევინ ტრაპი, მარკ-ანდრე ტერ შტეგენი, ჰაიკო ვესტერმანი, სერდარ ტასკი, ანდრეას ბეკი, მიხაელ ბალაკი, მარკო მარინი, აარონ ჰანტი, პიოტრ ტროხოვსკი, კრისტიან გენტნერი, თომას ჰიტცლშპერგერი, კაკაუ.

■ ■ ■

გერმანიის ნაკრების ოპტიმალური ძირითადი შემადგენლობა სადღეისოდ (4-2-3-1): ნოიერი – ლამი, ფრიდრიხი, ჰუმელსი (ან მერტეზაკერი), შმელცერი – შვაინშტაიგერი, ხედირა – მიულერი, იოზილი, პოდოლსკი – გომესი.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

დედე მაინცში?

კლოპის სიტყვა ხომ კანონია

სამკვირიანი შვებულების შემდეგ **დედე** ისევ გერმანიაში დაბრუნდა და აქტიურად დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ სად გააგრძელებს კარიერას. ჯერჯერობით გარკვეული და ცხადი მხოლოდ ის არის, რომ ექს-დორტმუნდელი კარიერის დამთავრებას არ აპირებს და ფეხბურთის თამაშის გაგრძელება პირველ რიგში ბუნდესლიგაში უნდა.

„ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** მას „მაინცში" გადასვლა ურჩია – კლუბში, რომელსაც მარცხენა მცველის პოზიციაზე ახალი ფეხბურთელი სჭირდება. მას მერე, რაც 25 წლის **კრისტიან ფუხსი** „შალკეში" გადავიდა, „მაინცს" დაცვის მარცხენა ფრთა მოუშიშვლდა, 32 წლის დედე კი, რომელიც ყველა სიკეთესთან ერთად უფასოცაა, ამ კლუბისთვის მართლაც იდეალური გამოსავალი იქნებოდა. თანაც „მაინცი" მომავალ სეზონში ევროპის ლიგაში იასპარეზებს და ახლა სწორედ დედეს დარი გამოცდილი მოთამაშეები სჭირდება.

ამას ისიც ემატება, რომ კლოპი „მაინცის" მენეჯერ **კრისტიან ჰაიდელის** ახლო მეგობარია, ეს უკანასკნელი კი იურგენის რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებს ხოლმე. *„დედემ „ბორუსია" მხოლოდ იმიტომ დატოვა, რომ არ გაუმართლა. არ გაუმართლა იმ მხრივ, რომ მარსელ შმელცერმა უდიდესი პროგრესი განიცადა. სხვამხრივ, დედე იდეალურ ფორმაშია და ნებისმიერ კლუბს დაამშვენებდა, „მაინცისთვის" კი სულაც მისწრებაა,"* - ეს კლოპის სიტყვებია.

გოტფრიდ ლენცი

● ბაიერნი

ბოატენგი: ბაიერნში მინდა!

ჟერომი გაშვებას ითხოვს... მთავარია, რას იტყვის მანჩინი

მას ბუნდესლიგაში დაბრუნება უნდა და ისიც იცის, რომელ კლუბში სურს კარიერის გაგრძელება. თუკი აქამდე ჯერ კიდევ არსებობდა კითხვის ნიშნები, გუშინ „მანჩესტერ სიტისა" და გერმანიის ნაკრების მცველმა **ჟერომ ბოატენგმა** ყველასათვის გასაგებად თქვა, მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლა მინდაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრანსფერი უფრო რეალური გახდა და ახლა მთავარი ისაა, თუ რას იტყვიან მანჩესტერელები. ჟერომმა კი თავისი სურვილი ასე განმარტა: *„მიუნხენური კლუბი გერმანიაში საუკეთესოა, ევროპის მასშტაბით კი ექვს საუკეთესოს შორისაა. მინდა, რომ ყველაფერი მალე გაირკვეს."*

რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში (ორშაბათის ნომერი) კიდევ ერთხელ დაადასტურა, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ბოატენგი გადმოვიბიროთო. როგორც ჩანს, „სიტის" მთავარი მწვრთნელი **რობერტო მანჩინიც** მოლბა და უკვე თანახმაა, 22 წლის მცველს შეელიოს. თავად ჟერომს გერმანიაში დაბრუნება ძალიან უნდა, იქ კი, „ბაიერნი" უდავოდ საუკეთესო მისამართია. თანაც, ბოატენგს „ბაიერნში" ცენტრალური მცველის პოზიციაზე ათამაშებენ – იქ, სადაც ასპარეზობა ყველაზე მეტად უყვარს.

ჟერომ ბოატენგს „სიტისთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული, მანჩესტერელებს კი მასში 12.5 მილიონი ევრო აქვთ გადახდილი. კვირის დასაწყისში ჩვენი გერმანელი კოლეგები წერდნენ, „სიტი" „ბაიერნისგან" 20 მილიონს ითხოვსო...

გოტფრიდ ლენცი

● ლაციო

კლოზე უკვე ლაციალია

ლოტიტო: გაგრძელება იქნება

კლაუდიო ლოტიტო და მიროსლავ კლოზე

„ლაციოს" ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომდევნო ორი წლის განმავლობაში გუნდის ღირსებას გერმანიის ნაკრების ფორვარდი, **მიროსლავ კლოზე** დაიცავს. 33 წლის თავდამსხმელი ორი დღის წინ ჩავიდა რომში, სამედიცინო შემოწმება გაიარა და ხელშეკრულებას საზეიმო ვითარებაში მოაწერა ხელი. მართალია, მირო უკვე ვეტერანია და საუკეთესო წლები უკან აქვს მოტოვებული, მაგრამ საკმაოდ კარგ ფორმაშია და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლაციომ" შეტევა მნიშვნელოვნად გააძლიერა. მართალია, მირო „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, გერმანიის ეროვნულ ნაკრებში გახლავთ შეუცვლელი ფიგურა. ერთი სიტყვით, „ბიანკოჩელესტემ" კარგი ტრანსფერი გაჩარხა და გუნდის გულშემატკივრებიც გახარებულნი არიან. კმაყოფილებას ვერც „ლაციოს" სპორტული დირექტორი, **იგლი ტარე** მალავს:

„გასულ სეზონში რომ ერთი კარგი გამტანი ფორვარდი გვყოლოდა, არა თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებდით, ალბათ ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებდით. სამწუხაროდ, ასეთი ფორვარდი არ გვყავდა და მხოლოდ მეხუთე ადგილს დავჯერდით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მიროსლავ კლოზეს სახით, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფორვარდი დავიმატეთ, რომელსაც უმაღლეს დონეზე შეუძლია თამაში. ყველანი ძალიან გახარებულები ვართ და გერმანელ თავდამსხმელზე დიდ იმედებს ვამყარებთ. თავად მიროც გახარებულია და ენთუზიაზმით აღსავსე – სურს დაამტკიცოს, რომ იტალიაშიც შეუძლია გოლების გატანა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სერია A ყველაზე რთული ჩემპიონატია ევროპაში და ფორვარდებს აქ განსაკუთრებით უჭირთ – კლოზეს ეს არ აშინებს და ერთი სული აქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი".

მირო მართლაც გახარებულია და ამაზე მისი კომენტარი ნათლად მეტყველებს: *"რომი საოცარი ქალაქია, სადაც მეუღლესთან ერთად რამდენიმე დღე გავატარე და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ორივემ ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ ამ ქალაქში სიამოვნებით ვიცხოვრებდით და შესაბამისად, "ლაციოს" შეთავაზება მივიღე. ამ გუნდის თამაშს დიდი ხანია ვაკვირდები და ბევრ ინფორმაციას ვფლობ. იყო დრო, როდესაც "ლაციო" საუკეთესო იყო იტალიაში და წარმატებული ევროასპარეზზე, თუმცა შემდეგ გუნდი კრიზისში ჩაეფლო და მხოლოდ მას შემდეგ დაადგა პროგრესის გზას, რაც გუნდი კლაუდიო ლოტიტომ ჩაიბარა. გასულ სეზონში, "ბიანკოჩელესტემ" კარგად იასპარეზა და სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად. დიდი იმედი მაქვს, რომ "ლაციო" კვლავ დაიბრუნებს ადგილს ევროპული ფეხბურთის ელიტაში და ამაში მეც შევიტან ჩემს წვლილს. "ბიანკოჩელესტეს" ნამდვილად შესწევს ამის უნარი, მთავარია, რომ კლუბის მესვეურებმა წამყვანი ფეხბურთელები შეინარჩუნონ – განსაკუთრებულად მომწონს მაურო სარატე, თუმცა არანაკლებ ძლიერი მოთამაშეები არიან ერნანესი, ლედესმა, დიასი, მაური და სხვები. ერთი სული მაქვს როდის დაიწყება სანვრთნელი პროცესი და როდის მოვირგებ ცისფერ მაისურს".*

თუ კლაუდიო ლოტიტოს დავუჯერებთ, „ლაციო" კიდევ არაერთი ფეხბურთელით გაძლიერდება, თუმცა რამდენიმე მოთამაშე დატოვებს კიდეც გუნდს. ერთ-ერთი ასეთი სავარაუდოდ **ფერნანდო მუსლერა** იქნება, რომლითაც ინგლისის პრემიერლიგის გუნდები არიან დაინტერესებულნი, მეორე კი **პასკუალე ფოჯა**, რომელმაც ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფოჯას გადაბირებით „ჩეზენას" ახალი მთავარი მწვრთნელი, **მარკო ჯამპაოლა** დაინტერესებული. მოუსმინოთ „ბიანკონერის" მესაჭეს: *„ფოჯაას „ასკოლიში" ვწვრთნიდი და მის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ. ჩემი აზრით, პასკუალე ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია იტალიაში და სამწუხაროდ, ამის დამფასებელი ცოტაა. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ „ლაციოშიც" არ ჰყავთ მასზე ნიჭიერი შემტევები, მაგრამ რატომღაც მუდმივად სათადარიგოთა სკამზე უნევს ჯდომა. ამიტომ, რომაული კლუბის მესვეურებთან აუცილებლად გავმართავთ მოლაპარაკებებს და ვეცდებით, რომ შეთანხმებას მივაღწიოთ".*

ლაშა წიკლაური

● რეალი

კაკუ რეალის ახალ ფორმას წარადგენს

მოოქროვილი რეალი

მადრიდის „რეალმა" ახალი სეზონისთვის ახალი სათამაშო ფორმა წარადგინა, რომლითაც „სამეფო კლუბი" 2011/12 წლების სეზონის საშინაო მატჩებს ჩაატარებს. დღეიდან, ეს ფორმა გაიყიდება „რეალის" „ადიდასის" ოფიციალურ მაღაზიებში. „ადიდასმა" ახალი ფორმის დეტალების ფერად ოქროსფერი შეარჩია. ამ ფერში იქნება გადანყვეტილი „რეალის" ლოგო და „ადიდასის" ცნობილი სამი ზოლიც. „ადიდასის" წარმომადგენლებმა ეს იმით ახსნეს, რომ „რეალი" მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია, ხოლო ოქროსფერი წარმატების სიმბოლოა. ეს პირველი შემთხვევაა „რეალის" ისტორიაში, რომ მათი ფორმის დიზაინში ოქროსფერი გამოჩნდება, ფეხბურთელთა გვარებიც ოქროსფრად იქნება აღნიშნული. კლუბის გერბი ინოვაციური 3D ფორმით არის წარმოდგენილი.

ჟოზეს ბოსმანის ადვოკატი დაიცავს

უეფა-ს სააპელაციო კომიტეტის წინაშე **ჟოზე მოურინიოს** ინტერესებს ბელგიელი ადვოკატი **ჟან-ლუი დიუპონი** დაიცავს. პორტუგალიელ სპეციალისტს გადანყვეტილი აქვს ევროპული ფეხბურთის ბოსების გადანყვეტილება, მოურინიო 5 სალიგო მატჩით დასაჯონ, გააპროტესტოს. დიუპონი მადრიდში იმყოფებოდა და „სამეფო კლუბის" ადვოკატებთან მუშაობდა. დიუპონი ის ადვოკატია, რომელიც „ბოსმანის საქმეს" ხელმძღვანელობდა და რომელმაც მსოფლიო ფეხბურთში რევოლუცია მოახდინა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● სავარაუდო ტრანსფერი

შტეფან ლიხტშტაინერი

იუვენტუსი ლიხტშტაინერს შეუთანხმდა

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ტურინის "იუვენტუსის" მესვეურები მარჯვენა მცველის დამატებას აპირებენ და რამდენიმე ფეხბურთელთან ერთდროულად აწარმოებენ მოლაპარაკებებს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით: აწარმოებდნენ, რადგან გუშინ გავრცელებული ინფორმაციიის თანახმად, "ვეკია სენიორა" **შტეფან ლიხტშტაინერს** გაურიგდა და მომდევნო სეზონიდან 26 წლის მოთამაშე სწორედ ტურინული გრანდის ღირსებას დაიცავს. ამ ცნობას ფეხბურთელის პირადი აგენტი **ფედერიკო პასტორელო** ადასტურებს:

"შტეფანის ოცნება "იუვენტუსში" გადაბარგება იყო და უკვე შემიძლია ვთქვა, რომ მიზანთან ძალიან ახლოს არის. შეთანხმება მიღწეულია და თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, მალე ხელშეკრულებას გავაფდორმებთ. მოლაპარაკების პროცესი დიდ ხანს არ გაგრძელებულა, რადგან ტურინელებმა საკმაოდ კარგი პირობები შემოგვთავაზეს – თანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, თავად შტეფანს უნდა "ბიანკონერიში" გადაბარგება. კონტრაქტის დეტალებზე მას შემდეგ ვისაუბრებთ, როდესაც მასზე ჩემი კლიენტის ხელმოწერა დაისმება".

ლაშა წიკლაური

● ნაპოლი

მაჯოს მადა გაეხსნა

ერთი შეხედვით, გასაკვირი ამბავია, რომ "ნაპოლის" მესვეურებს ჯერ კიდევ არ შეუთავაზებიათ **კრისტიან მაჯოსთვის** ხელშეკრულების გახანგრძლივება, არადა კონტრაქტს პირველ ივლისს გადის ვადა. 29 წლის უკანახაზელმა ბრწყინვალედ ჩაატარა გასული სეზონი და დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ სამხრეთულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. სწორედ ამიტომ, არსებული ვითარებით თავად ფეხბურთელია ყველაზე მეტად გაკვირვებული:

"უახლოეს დღეებში დასასვენებლად ვაპირებ წასვლას და რაც არ უნდა საოცარი იყოს, ჯერ კიდევ არ გამიფორმებია კლუბთან ახალი ხელშეკრულება. მეუბნებიან, რომ ამ საკითხს დღე დღეზე მოაბავენ თავს, თუმცა ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ხდება. ზედმეტი თავდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ "ნაპოლის" წარმატებებში გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის და ვიმსახურებ ახალი კონტრაქტის გაფორმების. არ დავმალავ, ბევრი შემოთავაზება მივიღე, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრე, რადგან ძალიან მინდა ჩემპიონთა ლიგაში "ნაპოლის" ამუნიციით ვითამაშო".

იტალიელი ჟურნალისტები შეეცადნენ ვითარებაში გარკვევას და პირდაპირ კლუბის პრეზიდენტს დაუკავშირდნენ - მოვუსმინოთ **აურელიო დე ლაურენტისს**: *"მაჯო გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივების დიდი სურვილი გვაქვს. არის გარკვეული კითხვის ნიშნები, რომელთა გამო ეს ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ დასულდება. ალბათ ყველა მიხვდა და დასამალიც არაფერია, მაჯო ხელფასის მკვეთრად გაზრდას ითხოვს, რამაც დააბრკოლა კიდეც ეს პროცესი. უახლოეს დღეებში, მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდებით და ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტთ".*

ლაშა წიკლაური

● სარაგოსა

გაკოტრდა, რათა გადარჩეს

ესპანური პრიმერას კლუბმა „რეალ სარაგოსამ" თავი ბანკროტად გამოაცხადა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა არაგონელ გულშემატკივრებს აიმედებს, რომ ეს ყველაფერი კლუბის საკეთილდღეოდ კეთდება. „სარაგოსა" მომავალ სეზონშიც პრიმერადივიზიონში იასპარეზებს. „სარაგოსას" ვალმა 110 მილიონი ევრო შეადგინა, კლუბმა სცადა ამ ვალის ნაწილის კრედიტებით დაფარვა, თუმცა წარუმატებლად. ექსპერტებმა უკვე დადეს კლუბის ფინანსური კატასტროფის დასკვნა - სამი წლის წინ „სარაგოსა" გავარდა პრიმერადივიზიონიდან, ეს ერთ-ერთი მიზეზია გაკოტრების, მეორე კი უმალ პრიმერაში დასაბრუნებლად გაღებული ინვესტიციებია. „სარაგოსას" ესპანეთის თასი 6-ჯერ აქვს მოპოვებული, 1995 წელს არაგონელებმა ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგეს.

სხვათა შორის, პრიმერადან გავარდნილმა „ერკულესმაც" გამოაცხადა, რომ ფინანსურად გაკოტრდა. გაკოტრებულის სტატუსი აქვს პრიმერაში დაბრუნებულ „ბეტისსაც".

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● ჭიდაობა

კახა გეწაძე (მარცხნივ) და ვევილაინენ პერტი პრესკონფერენციაზე

ოქროს მორიგი პრიზი

ნოზაძე და ხუციშვილი გამოგვაკლდნენ

დღეს, დილის 10 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" გათამაშება დაიწყება, რომელშიც 15 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას: საქართველო, საბერძნეთი, კანადა, ირანი, ისრაელი, ეგვიპტე, უზბეკეთი, მონაკო, თურქეთი, უკრაინა, ბელარუსი, ინდოეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. ყველაზე ბოლოს თბილისში რუსეთისა და ბელარუსის გუნდები ჩამოვიდნენ, რომლებიც გუშინ, ნაშუადღევს ერთად გვესტუმრნენ ვლადიკავკაზის გავლით. რუსებს ერთადერთი მონაწილე ჰყავთ, ბელარუსებს - ორი.

გუშინ ამ ტურნირთან დაკავშირებით საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გეწაძე** უძღვებოდა, მოწვეულთა შორის კი საერთაშორისო ფედერაციის ფინელი კომისარი **ვევილაინენ პერტიც** იყო. გეწაძემ ხაზი გაუსვა შეჯიბრების სტატუსს და მნიშვნელობას, ფინელმა კი ქართული სტუმარმასპინძლობას, თუმცა ყურადღების მიღმა არც ქართული საჭიდაო სკოლის ავტორიტეტი დარჩენია.

ზედიზედ მეორე წელიწადია, ჩვენი ტურნირი „ოქროს დიდი პრიზის" სტატუსს ინარჩუნებს. ის ამავე რანგის ფინალურ ეტაპზე გასასვლელ ქულებსაც იძლევა, რომელიც ივლისში ბაქოში გაიმართება და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საპრიზო ფონდით გამოირჩევა - ჩემპიონი 10 000 დოლარს იღებს, ვერცხლის პრიზიორი - 5 000-ს, ბრინჯაოს მედალოსანთა სარგო კი 2 000 - 2 000 დოლარია. ჩვენი შეჯიბრებაც კომერციულია, ოღონდ საპრიზო ფონდი შედარებით მოკრძალებულია, შესაბამისად, 1500, 800 და 500-500 დოლარი.

თუმცა ჩვენი ფალავნებისთვის ფინანსურზე უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ კარტოზია-ბალავაძის სახელობის შეჯიბრება სექტემბერში სტამბოლში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ერთ-ერთი უმთავრესი შესარჩევი ეტაპია. ცხადია, ეს არ იქნება პირდაპირი ვიზა სტამბოლში წასასვლელად, მაგრამ ვინც აქ თავს გამოიჩენს, უპირველესი კანდიდატი ნამდვილად გახდება. არადა, მსოფლიოს წლევანდელი პირველობა ორმაგად საპასუხისმგებლოა, რადგან ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა. თანაც, წლეულს მათი მიღება გართულებულია - ადრე თუ წონაში 8-8 გაიცემოდა, ამჯერად ლიმიტი 6-მდე შემცირდა. მოკლედ, ლიცენზიის მისაღებად საჭიროა, მინიმუმ, ბრინჯაოს მედლისთვის მაინც იჭიდაო ანუ მეხუთე ადგილზე დაბლა არ უნდა ჩამოხვიდე, ადრინდელი წესით კი მერვეზე გასვლა ორი შეხვედრის მოგებითაც შეიძლებოდა - მერე საქმეში ქულების დათვლის მექანიზმი ჩაერეოდა, ახლა კი ეს შანსი მოისპო.

კარტოზია-ბალავაძის შეჯიბრებაზე დასწრება თავისუფალია. ასპარეზობაში დღეს ბერძენ-რომაელთაგან 55, 66, 96, „თავისუფალთაგან" კი 60-120 წონითი კატეგორიის ფალავნები იჭიდავებენ. ხვალ ხალიჩაზე უმეტესად „თავისუფლებს" ვიხილავთ - 55, 66 და 96-ის მოჭიდავეებს, ბერძენ-რომაელთაგან კი - 74-ის და 120-ის ფალავნებს. კვირას ტურნირს დანარჩენი წონების ათლეტები დაასრულებენ. შეჯიბრებები სამივე დღეს 10 საათზე დაიწყება, ფინალები - 18 საათზე. გახსნის საზეიმო ცერემონიალი დღეს 16 საათზე შედგება.

რაც შეეხება მონაწილეთა შემადგენლობას, ჩვენი გუნდები დაახლოებით 35-35 კაცით გამოვლენ. ბოლო წუთებში ბერძენ-რომაელთა ნაკრებმა ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადა - ავადმყოფობის მიზეზით ასპარეზობაზე უარი განაცხადა ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონმა, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა **რამაზ ნოზაძემ** (96). ამ ნაკრებიდან ადრევე იყო გათავისუფლებული ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60), ხოლო **ვლადიმერ გეგეშიძეს** (84) ფეხი სტკივა. გუნდის სხვა ლიდერები - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** (66) და სხვები ემზადებიან.

გამოცხადებულზე მეტი დანაკლისია „თავისუფალთა" ნაკრებშიც - ავადმყოფობის გამო მწვრთნელებმა შარშან ახალგაზრდებში დუბლის ანუ ევროპა-მსოფლიოს მომგები, უფროსებში ევროპის წლევანდელი მედალოსანი **დავით ხუციშვილი** (74) გაათავისუფლეს. ამ ნაკრებს ხელმტკივანი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **გიორგი გოგშელიძე** (96) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიური მედალოსანი **ოთარ თუშიშვილი** (66), აგრეთვე ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონები - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84) აქამდეც აკლდნენ. ამ ნაკრების სხვა ლიდერები გამოვლენ „ოქროს დიდ პრიზზე". მათ შორის - მძიმეწონოსნებიც, სადაც ფრიად დაძაბული ბრძოლები უნდა ვიხილოთ **დავით მოძმანაშვილის**, უფროსებში მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ **ლევან ბერიანიძის**, ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონ **გიორგი საკანდელიძის** და სხვათა მონაწილეობით.

თუმცა დაძაბულ, საინტერესო ბრძოლებს არა მარტო ესენი, არამედ „თავისუფლებში" აზერბაიჯანელთა ევროპის ჩემპიონები - **მაჰმუდ მაგომედოვი** (60) და **ზელიმხან ჰუსეინოვი** (66), ბერძნულ-რომაულში ეგვიპტელთა მსოფლიოს ჩემპიონი **მოჰამედ აბ დელ ფატაჰი** (96) და სხვებიც შემოგვთავაზებენ. ირანიდან მხოლოდ ბერძენ-რომაელთა ნაკრებია ჩამოსული, მაგრამ ისინი, შარშანდელის მსგავსად, ამჯერადაც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ შეჯიბრებას და უძლიერესი გუნდი ჩამოიყვანეს. მათ შორისაა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ჰამიდ სორიანი**, თუმცა ის ამჯერად ზედა წონაში - 60-ში ისპარეზებს. ირანელებს ძირითადი შემადგენლობა ჰყავთ ჩამოყვანილი, როგორც ჩვენს თანამემამულეს, ოლიმპიურ ჩემპიონ **ალექსანდრე დოხტურიშვილს** უზბეკეთიდან. მას შემადგენლობაში ქუთაისელი თანამემამულეებიც ჰყავს - ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და ევროპის რამდენიმეგზის პრიზიორი (ადრე ის უკრაინაში ჭიდაობდა) **დავით სალდაძე** (96) ბიძაშვილთან ერთად. ასევე ძლიერი გუნდით ჩამოვიდნენ თურქი ბერძენ-რომაელებიც და საკმაოდ საინტერესო შეჯიბრება უნდა გამოვიდეს.

ირაკლი თავაძე
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ახალგაზრდების საევროპო განაცხადი

ახალგაზრდაბერძენ-რომაელთა თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** დაასახელა 21-26 ივნისს სერბულ ზრენჯანინში გასამართ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა: **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50), **თორნიკე ტოტიკაშვილი** (55), **გოგიტა გოგიბერაშვილი** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96), **სერგო გოგისვანიძე** (120).

ამ ტურნირიდან დაახლოებით ერთ თვეში ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაა. ამიტომ მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილი ორ-ორ შემადგენლობას არჩევს. სწორედ ამის გამოა, რომ ამჯერად ნაკრებში საქართველოს რამდენიმე ჩემპიონი ვერ მოხვდა და მათი ადგილი ვერცხლის მედალოსნებმა დაიკავეს - მწვრთნელი ლიდერებს მსოფლიოსთვის ინახავს, თუმცა არაა გამორიცხული, აქ თუ ვინმე განსაკუთრებით წარმოაჩენს თავს, იქაც წავიდეს.

ასევე ევროპა-მსოფლიოს პირველობებისთვის ემზადება ჭაბუკ ბერძენ-რომაელთა ნაკრებიც, რომელიც სულ მალე თურქეთში, კუშადასში გაემგზავრება საერთაშორისო ტურნირზე. **ვაჟა კრავეიშვილმა** იქ წასაყვანად შემდეგი შემადგენლობა შეარჩია: **გიზო მელაძე** (42), **ლეონ ხოზრევანიძე** (46), **ედნარ შავაძე** (50), **გიორგი ტოტიკაშვილი** (54), **ლაშა მარიამიძე**, **შმაგი ბოლქვაძე** (ორივე - 58), **ვლადიმერ ქიქავა** (63), **ნიკა ფირცხალავა** (69), **ლაშა გობაძე** (76), **კუკური კირცხალია**, **გიორგი კოვზირიძე** (85), **ბექა კანდელაკი**, **თორნიკე ბაბუნაშვილი** (+85).

ირაკლი თავაძე

● მხატვრული ტანვარჯიში

სალომე ფაჟავა

ბალეტის ქართველი აღმოჩენა

პოლონეთის ქალაქ გდინიაში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი „ბალტიის თასი 2011", რომელიც ტრადიციულად, ყოველ წელიწადს იმართება საერთაშორისო ფედერაციის (FIG) ეგიდით.

ტურნირზე იუნიორთა შორის შესანიშნავად იასპარეზა „ნელი სალაძის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემია და კლუბ გრაციას" ტანმოვარჯიშე **სალომე ფაჟავამ**, რომელმაც სამი საგნით, გურზებით, რგოლითა და ბურთით ასპარეზობაში მესამე ადგილი დაიკავა. ქართველმა ტანმოვარჯიშემ, რომელიც სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს ტურნირის აღმოჩენად, წინ მხოლოდ რუსი **დარია კოლობოვა** და ამერიკელი **რებეკა სერედა** გაუშვა.

აღსანიშნავია, რომ სალომე ფაჟავა მედლებით არაერთი საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნებულა სამშობლოში, თუმცა გდინიაში გამართული შეჯიბრების დარი მაღალი დონის ტურნირზე აქამდე არასდროს უასპარეზია. თავად განსაჯეთ, პოლონეთში ფაჟავას ისეთი სატანვარჯიშო ქვეყნების წარმომადგენლებთან უწევდა პაექრობა, რუსეთი, აშშ, უკრაინა, პოლონეთი, ისრაელი, უზბეკეთი და ბელარუსი რომ არიან.

სალომემ ამ და სხვა ქვეყნების წამყვან ტანმოვარჯიშეებს ტოლი არაფერში დაუდო და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ბესიკ ჯანგავაძე

● პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

საქა-რთველო მერვედფინალის შესარჩევში

პეკინში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის მეორე საშეჯიბრო დღეს ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** ჯგუფური ტურნირის მესამე მატჩში მე-8 ნომრად განთესილ ჩინურ დუეტ **ხუე-ჟანკთან** წააგო ორ სეტში - 17:21, 12:21.

შედეგად ჩვენმა ფრენბურთელებმა H ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს და დღეს მერვედფინალის შესარჩევ მატჩს ითამაშებს. საქა-რთველოს მეტოქეს წილისყრა გამოავლენს. ჩვენი დუეტი ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული წყვილებიდან ერთ-ერთს დაუპირისპირდება. ჯგუფებში გამარჯვებულებმა კი პირდაპირ მერვედფინალში გაიკაფეს გზა.

ბესიკ ჯანგავაძე

● ჩოგბურთი

ერთეულებში მხოლოდ შაფათავამ მოიგო

ჩეხეთის ქალაქ ზლინში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდიც 50 ათას დოლარზე მეტია. შეჯიბრებაში 28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (218) მონაწილეობს, მაგრამ საქართველოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა პირველივე წრეში წააგო უკრაინელ **ირინა ბურიაჩოკთან** (277) - 2:6, 3:6. ჩვენებური ზლინის ტურნირს არ დამშვიდობებია - წყვილთა ბადეში მეოთხედფინალშია გასული უკრაინელ **იულია ბეიგელციმერთან** (169) დუეტში. მათი მეტოქეები მე-3 ნომრად განთესილები, სლოვაკი **ლენკა ვიენეროვა** (214) და ბურიაჩოკი არიან.

სოფიო შაფათავა

იტალიურ კამპობასოში წარმატებით დაიწყო ასპარეზობა **სოფიო შაფათავამ** (258). 25-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში მე-6 ნომრად განთესილმა ქართველმა საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ იტალიელ **ლორენცა სტეფანელის** აჯობა - 1:6, 6:3, 6:2. მერვედფინალში სოფიოს მეტოქე ხორვატი **ანი მიაჩიკაა** (331).

საკრამენტოში (აშშ, 15 ათასი დოლარი) **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (660) პირველ წრეში წააგო მე-8 ნომრად განთესილ ამერიკელ **სტივ ჯონსონთან** (639) - 0:6, 3:6. ბასილაშვილი ახალზელანდიელ **მარკუს დენიელთან** (878) ერთად მეოთხედფინალშია გასული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. "ზესტაფონი"; 5. ბადრო; 8. ნავასარდოვი; 9. ალისა; 10. მელბურნი; 12. სირაძე; 13. დუბლი; 14. ირბი; 16. "აია"; 18. ბოდაველი; 20. ჯანლა; 23. შკინინი; 25. კლაუს; 26. იმედო; 28. ჩხეიძე; 29. სირბილი.

შვეულად: 1. ზენაიშვილი; 2. ტრავერსი; 3. "ფრაიბურგი"; 4. ნადირაძე; 5. "ბაია"; 6. დამინება; 7. ოფსაიდი; 11. ედელვაისი; 15. ბურჯანაძე; 17. აბაშა; 19. დვირი; 21. ნემსაძე; 22. კალორია; 24. "იბერია"; 25. კიჩო; 27. ტიმ.

● ჭადრაკი

ქეთი ნანალაშვილი

ორი ქართველიც გამოერია

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ფიდეს მე-2 საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე ქალთა და ვაჟთა დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის წოდებები სხვადასხვა ქვეყნის 106-მა წარმომადგენელმა დაიმსახურა. ამ გრძელ სიაში მხოლოდ ორი ქართველია: **ქეთი ნანალაშვილი** ქალებში გახდა დიდოსტატი. იგი სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია. წლეულს თბილისში გამართულ ევროპის მე-12 ჩემპიონატში 11 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და 130 მონაწილეს შორის მეთოთხმეტე-ოცდამეშვიდე ადგილები გაიყო, რითაც ქალთა შორის დიდოსტატის მესამე ბალიც შეასრულა.

კონგრესზე **სოფიკო გურამიშვილს** ვაჟებში პირობითად საერთაშორისო ოსტატობა მიენიჭა. ვულოცავთ!

ვაჟა დანელია

● უნივერსიადა 2011

ჩემპიონები სალიცენზიო ტურნირზე გაემგზავრებიან

ათი უმაღლესი სასნავლებლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ ტაეკვანდოში საქართველოს 2011 წლის უნივერსიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში. გუშინ ჩემპიონები და პრიზიორები ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **გიტა ჩერქეზია** (აგრარული უნივერსიტეტი, 68 კგ), **ვახტანგ ჯაფარიძე** (სტუ, 58), **ლევან პერტია** (სამედიცინო უნივერსიტეტი, 68), **შალვა წიკლაური** (სამედიცინო უნივერსიტეტი, 80) და **გიგა ალბორაშვილი** (სტუ, აბსოლუტური).

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ტაეკვანდოს ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ბადრი მაისურაძემ** გვითხრა, რომ უნივერსიადის ჩემპიონები - გიტა ჩერქეზია და ვახტანგ ჯაფარიძე **იანა გაგნიძესთან** (57) და **ალექსი ავსაჯანიშვილთან** (68) ერთად აზერბაიჯანში გაემგზავრებიან. 30 ივნისიდან 3 ივლისამდე ისინი ბაქოს სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. იქ თითოეულ წონაში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის 4-4 საგზური გათამაშდება. 7-10 ივლისს კი თბილისის სპორტის სასახლე ტაეკვანდოში 1997-1999 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. საქართველოს დედაქალაქში საპაექროდ 30 ქვეყნის წარმომადგენლები ჩამოვლენ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას 10-10 გოგონა და ვაჟი დაიცავს.

ვაჟა დანელია

● წყალბურთი

რეპეტიციებს თბილისში გაივლიან

სამიოდე კვირაც და წყალბურთელ ვაჟთა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპიც დამთავრდება. საქართველოს ნაკრები **ზვიად დავითიანის** ხელმძღვანელობით მონდომებით ემზადება გადამწყვეტი ორთაბრძოლისთვის, რომელიც 2 ივლისს მანჩესტერში დიდი ბრიტანეთის ნაკრებთან გაიმართება. ამჟამად ჩვენს ბიჭებს ორჯერადი ვარჯიშები აქვთ „ოლიმპიკის“ აუზში. საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ** გვითხრა, რომ საქართველოს წყალბურთელები რეპეტიციებს 24-26 ივნისს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე გაივლიან. საასპარეზოდ აზიის წლევანდელი ჩემპიონები - ყაზახეთის ნაკრების წევრები (მათ უკვე მოიპოვეს 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზური) და ბელარუსები გვეწვევიან. უკრაინელებიც უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ, ობიექტური მიზეზებით, ტურნირში მონაწილეობას ვერ შეძლებენ. მათ ნაცვლად პაექრობებში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჩაებმება, რომელსაც **რევაზ ჩომახიძე** ავარჯიშებს.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს, E ჯგუფში ორი შეხვედრაა გასამართავი. 18 ივნისს ბერძნები ბრიტანელებს მიიღებენ. 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლებმა ელინებთან პირველი ორთაბრძოლა შინ 2:13 დათმეს და არა გვგონია, ჯგუფის ფავორიტებთან ათენში წარმატებას მიაღწინონ. კუნძულელებს შესარჩევი ტურნირის მეორე მატჩი თბილისში საქართველოს ნაკრებთან აქვთ წაგებული - 3:9, ამიტომ ჩვენს ბიჭებს მანჩესტერში 5-ბურთიანი სხვაობით წაგებაც ხელს აძლევთ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. ჯგუფში მე-2 ადგილის დაკავების შემთხვევაშიც 1 და 29 ოქტომბერს პლეი ოფებში ვითამაშებთ კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდში მოსახვედრად.

დღეისთვის E ჯგუფში ასეთი ვითარებაა:

	თ	მ	ნ	ბ	ქ
საბერძნეთი	3	3	0	40:16	9
საქართველო	3	1	2	23:30	3
დ. ბრიტანეთი	2	0	2	5:22	0

ვაჟა დანელია

ანონსი

ევროპის ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, რუმინელმა **დანიელ ლასკაუმ** თბილისში დაამთავრა მწვრთნელთა სამდღიანი სემინარი. მასალას შემოგთავაზებთ ლელოს ხვალინდელ ნომერში.

თავგადასავალი ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ვეტერანი ნოდარ ლიპარტელიანი

ჩვენმა მორაგბეებმა შორს გაგვითქვეს სახელი. გუნდის ბრწყინვალე წარმატებებში უდიდესი წვლილი ყველას მიუძღვის. დღეს რუბრიკაში ნოდარ ლიპარტელიანს წარმოგიდგენთ.

ჩემია ბურთიიი!!!

რაგბის 1977 წელს ოლეგ ლიპარტელიანმა მაზიარა.

- მოწინააღმდეგეს, რომელსაც ბურთი აქვს ხელებში, უკეთებ შებოჭვას, ართმევ ბურთს და აღარავის დაანებებ - ასეთი იყო პირველი რჩევა-დარიგება.

მე და მაგას ვერ მოვახერხებდი?! ბრწყინვალედ დავეუფლე ამ ილეთს და ჩემი ხელიდან ბურთის გამოგლეჯვა ვერანაირმა მოწინააღმდეგემ ვეღარ მოახერხა. ერთ დღეს კოკა ლაზიშვილმა ასე მითხრა:

„კაცო, ნოდარ... ასე არ შეიძლება ძმა, ბურთს რომ ხელში მოიგდებ, აუცილებელი კი არაა სახლში წაიღო, ან ჩვენიანებს მიაწოდე, ან მოწინააღმდეგესო!“

არა, მაგ ჭკუაზე ვარ ზუსტად! - არ დავეთანხმე გულში კოკას - ჩემით მოპოვებული ბურთი ჩემია (აბა ტყუილად ვიწვალე?!) და ლელოც მე უნდა დავდო, - ასეა ეს!

ვის ეკაიფებით, თქვე ბანდიტებო?!

ორი კვირა არ გასულა, რაც ვარჯიში დავიწყე. საკმაოდ შედეგიანად ვირჯები. ხელმძღვანელობა კმაყოფილია. მეც გახარებული ვარ ჩემი პირველი მიღწევებით. მოკლედ, ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით მიდის.

ერთი, მორიგი ვარჯიშის შემდეგ ძმაკაცმა თანაგუნდელმა მანქანით გასეირნება შემომთავაზა.

გამოვედით ქუჩაში. გაპრიალებული შავი „ვოლგა“-24 დგას. სამი ბიჭი ზის, მძღოლი, მის გვერდით გრძელთმიანი ახალგაზრდა, უკან კი მესამე. მე და ჩემი დამპატიჟებელი ძმაკაციც უკანა სავარძელზე მოვთავსდით.

მანქანა რბილად გასრიალდა ახალნაწვიმარ ასფალტზე. მაგნიტოფონი მთელი ხმით გუგუნებს. ალა პუგაჩოვას „აბბა“ ცვლის, „აბბას“-ს „ბონიემი“, მოულოდნელად წინ მჯდომმა ახალგაზრდა მაგნიტოფონს ხმა ჩაუწია, ჩვენსკენ მობრუნდა და მოთენთილი ხმით ამბობს:

- „ტარიანი“ არავის გაქვთ?

ალალ და გულუბრყვილო კაცს რა ვუთხარი მე (მე ვიყავი ასეთი მაშინ), თუ არა, ახლა ბაღის ბავშვმაც იცის „ტარიანი“ რომ „საკაიფო ბალახით“ დატენილი პაპიროსია.

- ტარიანი გაქვთ ვინმეს? - ისევ იკითხა იმ ბიჭმა.

უხერხულად მიმოვიხედე. მოპასუხე არავინ ჩანს.

- მე მაქვს... ჯაყვა... ვთქვი გაუბედავად.

ჯაყვაო?! - ატყდა ხარხარი მანქანაში... ჯაყვაო, კაცო! ხა, ხა, ხა!!!

მეწყინასავით, მაგრამ ხომ არ შევიმჩნევ; მაგათმა იკითხონ, რომ არ აქვთ! - დავიმშვიდე თავი.

სიცილს რომ მორჩნენ და მანქანა რომელიღაც გაუქმებულ ფაბრიკასთან გაჩერდა, ბინდი შემოეპარა ქალაქს. ფაბრიკის შენობა დგას ეულად და საცოდავად. იმ ბიჭმა, წინ რომ იჯდა „ბელამორკანალი“ (პაპიროსია ასეთი) ამოიღო, და ერთი ღერი მომაწოდა:

- ხომ არ ააფეთქებ?

ვაიმეე! - დამცეცხლა თავში - ხომ არ ააფეთქებო, კაცო! - ამისთვის წამომიყვანეთ? ფაბრიკა უნდა ამაფეთქებინოთ? მორჩა, ვიღუპები, ბანდაში, ტერორისტების ბანდაში ამოვყავი თავი! ეს ჩემი ძმაკაციც რას გაჩუმებულა, ხმას არ იღებს?.. მორჩა, გაყიდული ვარ... ბანდაში ვარ ჩათრეული, ვაი შენს ნოდარიკოს! თავს უნდა ვუშველო,

ძალიან ცუდადაა საქმე, ძმაო!

- ეს რაა? - ვეკითხები დროის მოგების მიზნით.

- ესაა ძმაო - ტარიანი - ააფეთქებ? - დამმოძღვრა ბიჭმა. ამუშავდა ტვინი:

„ახლა ამას ვლეწავ, გავანგრევინებ კარებს, უკან, ჩვენს გვერდით რომ ზის იმასაც. მძღოლის გათიშვაც არ გამიჭირდება“.

მორჩა, ვიწყებ მოქმედებას - დავძაბე სხეული.

- ჰა, ჩაკლავ? - ისევ მაძალებს „ტარიანს“ ის უპატრონო.

„ე.ი. ესაა ასაფეთქებელი მოწყობილობა - ამით უნდა ავაფეთქო ფაბრიკა ალბათ, მაგრამ „ჩაკლავ“ რაღაა? - აა, მივხვდი, მივხვდი, ე.ი. დარაჯიც უნდა ჩავკლა, ის უდანაშაულო კაცი... ბანდაში ვარ, ბანდაში!!! ღმერთო მიშველე!

- ახლავე დამაბრუნეთ, საიდანაც წამომიყვანეთ! - ვთქვი გამშრალმა, თან ჩანაფიქრს არ ვეშვები: „ამას ხელი - თავში, იმას - ფეხი ფერდში... ეს გაანგრევს წინა კარს, მეორე გაანგრევს უკანა კარს, მერე მძღოლს გავუკეთებ სასწაულ „ზახვატს“ და გადარჩება ფაბრიკაც, დარაჯიც და მეც...

- სად დაგაბრუნოთ, კაცო, გამომართვი ეს ტარიანი, არ მეშვება ის ოჯახქორი, ჩაკალი, რა...

- ვერ მოგართვი! - ახლა მე ვიცი! - და რომ უნდა მართლა ავფეთქდე - ისევ ატყდა ხარხარი მანქანაში.

- რა გაცინებთ, რა? - ვიყვირე - რა გაცინებთ?! - ბანდიტებო!

- ბიჭო, - ეკითხებიან ჩემს ძმაკაცს - ამას არასდროს მოუწევია?

- კარგი, მორჩით... მოინათლა უკვე - „აუხსნა“ ამან - თუმცა მე „ტარიანი“ არასდროს გამომიყენებია ჯაყვის გარდა (მსხალს ვთლი ხოლმე).

შევეჩვიე და შემიჩვია ქალაქმა. ორი თუ სამი თვის შემდეგ ერთ „სვეტსკი“ წვეულებაზე მოვხვდი. უკვე სხვა ნოდარი ვარ. უკვე ყველაფერი ვიცი, ქიციც და ქიცმაცურიც. არაფერი შეგეშალოთ...

შუა ქეიფში ერთმა ზუსტად ისეთივე „ბელამორკანალი“ არ მომაწოდა?

- უკაცრავად, ეს რაა? - ვეკითხები (ვითომ არ ვიცი).

- ეს „საცინებელი“ ინსტრუმენტია - ამიხსნა („პლანი“ - აცინებს თურმე კაცს).

- ვაი შენს პატრონს - ვუთხარი გამომწვევად. გინდა მომატყუოთ არა? ეს „საცინებელი“ კი არა ტარიანია, ტარიანი.

მაშინაც მაგარი სიცილი ატყდა.

დღეს უკვე მე მეცინება იმ ამბებზე, ოღონდ ყოველგვარი „ასაფეთქებელის“, „ჩასაკლავის“ და „საცინებლის“ გარეშე...

ვაი შენს პატრონს!

ბესო ლიპარტელიანი ჩემი ძმაა. ერთ ზაფხულს მშობლიურ სოფელს ვეწვიეთ, ცოტას დავისვენებთ სვანეთის ამაყ მთებში-თქო.

ერთი დილაა და ახალგაღვიძებულებს რაღაც ხმაური შემოგვესმა. მამაჩვენის ხმა გავარჩიეთ, მგონი ჩვენს მეზობელს და ნათესავს (ყველა სვანი ერთმანეთის ნათესავია და, ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ ლიპარტელიანების უმრავლესობა სპორტსმენები ვართ) - ფერმის გამგეს ეკამათება ღობის, ანუ სამოსახლო ტერიტორიის თაობაზე.

ეს, სოფელში ჩვეულებრივი ამბავია: „შენი ღობე ცოტა შიგნით შესწიე, - არა, არ შევწევ და ა.შ.

ფერმის გამგე მაინც ფერმის გამგეა, თავისი აზრით სოფელში „ელიტარული“ პოზიცია უჭირავს და სხვებს, უბრალო მოკვდავთ - ზემოდან დაჰყურებს.

გამოვედით მთელი ჩვენი დედმამიშვილობა და აივნიდან ვუყურებთ ორ მოდავე ბერიკაცს.

- გადაწიე ღობე ცოტა - არ ეშვება ფერმის გამგე მამაჩვენს.

- რატომ, რატომ? - არ ნებდება მამა. ათადან და ბაბადან ეს ჩვენი დამტკიცებული ტერიტორიაა, შენ გადაწიე თუ კაია.

- შეინიე, რო გეუბნები!

- ბიჭო - ხმას დაუდაბლა მამამ - ახლა მე შენ ერთ რამეს გეტყვი და არავისთან გაამხილო.

- რას მეტყვი, რას?

მამამ ვეღარ მოითმინა და ხმას აუწია:

- ბიჭო, შენ რომ ფერმაში საქონელი გყავს, იმაზე მეტი მე შვილები მყავს საბჭოთა კავშირის ნაკრებში!

მეტი ვეღარ გავძელით, ფხუკო - დაიძახა ბესომ და შევცვივდით ისევ ჩვენს ოთახებში.

ფერმის გამგეც ბუზღუნით შებრუნდა სახლში.

მორგში, მორგში!

რაგბი ჩემო მურმან - ბალეტი არაა. ყველაფერი მოდის, კვანტი, მოგვერდი, ჩავლება, ძიძგილაობა, სალტო... სხვანაირად რაგბი რა რაგბია?! არც ჩარტყმა-დარტყმაა გამორიცხული გახურებული თამაშის დროს. ის მაინც სასწაული იყო, ერთი მოწინააღმდეგე გუნდის 28 ნომერმა „თვალში ამომიღო“ და სადაც წამეწეოდა მირტყამდა (კონსპირაციულად, მსაჯს რომ არ შეემჩნია, რა თქმა უნდა). სამჯერ ისეთი მითავაზა სახეში რომ თვალებიდან სულ ნაპერწკლები ვყარე. სიფათი აღარ მივარგოდა. საზღვარი ხომ აქვს ყველაფერს? ერთ შეჭიდებაში გამოუყვია თავი ხვლიკივით და ე, მაშინ ვისარგებლე და - გეფიცები ყველაფერს, ერთხელ ჩავაფეთე იმ ხვლიკ როჯაში. ჩავაფეთე და შეჭიდებაც დაიშალა... გაიშალა, მაგრამ რად გინდა ეს დარჩა უძრავად... მოცვივდნენ სანიტრები და „წაანასილკეს“. სასწრაფოში გააქანეს.

შესვენება გვაქვს. მოვარდა იმ კაცის მწვრთნელი და კითხულობს:

- სად წაიყვანეს? რომელ საავადმყოფოში იქნება?

არავინ არ გასცა პასუხი. ბოლოს, რომ აღარ მოგვეშვა, ერთ ჩემს თანაგუნდელს წამოცდა:

- სვანი რო ლეწავს, იმას საავადმყოფოში რა უნდა, ალბათ მორგში იქნებაო.

მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ ჩემზე ეჭვი ვერავინ მოიტანა. მარტო მე კი არ ვარ სვანი ნაკრებში...

შეგრცხვეთ, შეგრცხვეთ!

სვანი ვარ და ოჯახის ამბავსაც გიამბობ. ყველანი შევიკრიბეთ სვანეთში. ზამთარია. უხარია მამიკოს.

ყველა შვილი სახლში ჰყავს. გუგუნებს ღუმელი და თოვს ხვავრიელად.

მამა გარეთ გავიდა - შეშის ამოსატანად. ვითომ ჩვენ ვერ ამოვიტანდით? ამ დროს ჩემმა დამ გადასძახა:

- მამა - ბარემ წყალიც გამოაყოლე. შეშაახუნძლული კაცი წყლისკენ დაიძრა.

- მამა - გადასძახა ჩემმა ძმამ, ბარემ მანდ ხარ და - ერთი - ჩაქუჩიც ამოიყოლე.

კაცი დაემორჩილა...

- მამი - ეძახის ჩემი მეორე ძმა - ბარემ...

კაცმა საწყლად ამოგვხედა:

- მამას, მამას მაინც ნუ მეძახით მე თქვენიიიი!!!

მურმან მერკვილიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

მნიშვნელოვანი თარიღი

საპატიო პრიზი მესამედ

„საპატიო პრიზი მესამედ“, - ეს სათაური ამშვენებდა 1951 წლის 15 ივნისის „ლელოს“ პირველ გვერდს (მაშინ გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა). 9 ივნისს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა მესამედ მოიპოვა სსრ კავშირის თასი. გუშინ 2011 წლის 9 ივნისი იყო, გამოდის, რომ თასის მესამედ დაუფლებიდან დღემდე 60 წელი გასულა.

1951 წელს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებში შედიოდნენ „დინამოსა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდების კალათბურთელები: **ჯორჯიკია, ჟღენტი, ინწკირველი, გოძიაშვილი, ბახტურიძე, არლანაშვილი, კილაძე, რუხაძე, ქორქაშვილი. ოთარ ქორქია** არა მხოლოდ თბილისელთა, არამედ საბჭოთა კავშირის ნაკრების ლიდერი იყო, თუმცა მან თასის მატჩებში მონაწილეობა ვერ მიიღო, ისევე როგორც **ჯუმბერ ნიჟარაძემ.**

1951 წელს თასის გათამაშება მაშინდელ ლენინგრადში გაიმართა. ქართველები საწყის ეტაპზე იოლად გაუმკლავდნენ აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნაკრებებს. აზერებს 67:41 აჯობეს, ყაზახებს - 89:28. ნახევარფინალში ჩვენი გუნდის მეტოქე ლატვია იყო... „მეორე ტაიმში თბილისელებმა თავბრუდამხვევი ტემპი განავითარეს და მსაჯის საფინალო სასტვენისთვის ანგარიში იყო 49:31 მათ სასარგებლოდ“, - ვკითხულობთ 60 წლის წინანდელ „ლელოში“.

უფრო მძიმე გამოდგა ფინალი, რომელშიც ქართველები მოსკოვის მფრინავთა გუნდ ვვს-ს დაუპირისპირდნენ. ჩვენებმა სწრაფი თამაშით გვარიანად აანერვიულეს მოსკოველები, რომელთა რიგებშიც სსრკ-ს ნაკრების ორი წევრი ირიცხებოდა (ერთ-ერთი, ალექსეევი ლევან ინწკირველთან უხეშობისთვის გააძევეს კიდეც). საბოლოოდ - 37:28 ქართველთა სასარგებლოდ.

ჩვენი გაზეთის არქივში ვკითხულობთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის **გიორგი ავალიშვილის** საინტერესო კომენტარს: „გამარჯვება თავისით არ მოსულა. იგი მიღწეული იქნა მთელი ჩვენი კოლექტივის საზრიანი, შეწყობილი თამაშით. ძნელია თქვა, ვინ უფრო კარგად გაისარჯა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რიგებში არ იყო გუნდის წამყვანი მოთამაშე ოთარ ქორქია, ურთიერთგაგებისა და კოლექტიური თამაშის ხარჯზე საპატიო პრიზის შენარჩუნება მოვახერხეთ.“

ლელო
საპატიო პრიზი მესამედ

1. ნ. ჯორჯიკია 2. ლ. არლანაშვილი 3. ლ. ინწკირველი 4. გ. ბახტურიძე 5. ვ. ჟღენტი 6. ა. კილაძე 7. დ. გოძიაშვილი 8. გ. რუხაძე 9. შ. ქორქაშვილი

ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან


დავით უსტიაშვილი და თორნიკე შენგელია

ევრობასკეტზე გრინთან ერთად

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ჯერ არ დასახელებულა. ეს მთავარი მწვრთნელის **იგორ კოკოშკოვის** პრეროგატივაა, თუმცა იგი შემადგენლობის შერჩევისას თანაშემწის **დავით უსტიაშვილის** შეხედულებებსაც ითვალისწინებს. ეს სპეციალისტი ეროვნული ნაკრების პარალელურად ახალგაზრდულში მუშაობს, დღეიდან 20-წლამდელებს „დინამოს“ დიღმის ბაზაზე შეკრებს და B დივიზიონის მატჩებისთვის მოამზადებს.

- 20-წლამდელთა ნაკრების გაფართოებულ შეკრებაზე 19 კალათბურთელი გამოვიძახე. ერთადერთი, ვისი დამატებაც გვინდოდა და ვერ მოხერხდა, ლევან ელიაძეა, რომელმაც მუხლზე ოპერაცია ერთი თვის წინ გაიკეთა და ამჟამად მკურნალობს.

- პირველ დღეს ცხრამეტივე კალათბურთელს ვერ შეკრებთ...

- მხოლოდ გივი ბაქრაძე დაგვაკლდება. იგი „არმიასთან“ ერთად თურქულ შეკრებაზეა და 17 ივნისს შემოგვიერთდება. ოფიციალური მატჩები 14 ივლისს იწყება, ამიტომ გივის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად სათანადოდ მოსამზადებლად დრო ექნება.

- მოსამზადებელი გეგმაც გაგვაცანით...

- 10 ივნისიდან ვარჯიშს დიღმის ბაზაზე შევუდგებით. 18-დან კი გუნდი შეკრებაზე გადავა - ბაზაზე იცხოვრებს.

- საკონტროლო მატჩები არ იგეგმება?

- 1-3 ივლისს ჰოლანდიაში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. შეჯიბრების ორგანიზატორებისგან მოწვევა უკვე მივიღეთ. მასში ჩვენ გარდა ჰოლანდიის 20, 23-წლამდელთა და ავსტრიის ახალგაზრდული ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას. ჰოლანდიიდან ჩამოსვლის შემდეგ ვარჯიშს თბილისში განვაგრძობთ, ხოლო 13 ივლისის დილას ოფიციალური მატჩებისთვის ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გავფრინდებით.

- მეტოქეებზე რა ინფორმაციას ფლობთ?

- ისევე როგორც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების, მეტოქეების შემადგენლობებიც ყოველწლიურად იცვლება. ამიტომ, შარშანდელი შედეგების მიხედვით მსჯელობა ძნელია. პოლონეთს, როგორც ყოველთვის, ძლიერი გუნდი ეყოლება. ახალგაზრდულ ასაკში პოლონელები ყოველთვის ფავორიტთა შორის არიან და მინიმუმ ნახევარფინალამდე აღწევენ. ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი მაკედონია[illegible]ლებს, რუმინელებსა და ესტონელებს ეყოლებათ ხელწამოსაკრავი გუნდები. საქმე ხომ 20-წლამდელებთან გვაქვს - ამ ასაკში ფიზიკურად ყველა ღონიერია.

- ჯგუფური ტურნირის ჩატარება შეუსვენებლად გიწევთ...

- ყოველდღე თამაში რთული იქნება. დიდ ენერგიასაც წაგვართმევს, მაგრამ ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ.

- მიზნებზე რას გვეტყვით?

- პირველი ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა. მომდევნო ეტაპზე თითო ჯგუფიდან 2-2 გუნდი ითამაშებს. მიზნის მისაღწევად დიდი ბრძოლა გველის.

- B დივიზიონის შეხვედრათა დასრულების შემდეგ თქვენ და თორნიკე შენგელია ეროვნულ გუნდს შეუერთდებით. კიდევ ვინმე ხომ არ გადავა ახალგაზრდულიდან პირველ ნაკრებში?

- შენგელია ეროვნული გუნდის წევრია. 20-წლამდელთა ნაკრებში კიდევ არაერთი ნიჭიერი მოთამაშეა, რომლებიც წლეულს თუ არა, სამომავლოდ აუცილებლად მოხვდებიან არა მხოლოდ კანდიდატთა სიაში, არამედ ეროვნულის წევრებიც გახდებიან. ახალგაზრდულში თამაშით ისინი დიდ გამოცდილებას იღებენ, რაც სამომავლოდ ძალიან წაადგებათ.

- საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობას იგორ კოკოშკოვი თქვენთან შეთანხმებით დაასახელებს. როდის გამოაცხადებთ კანდიდატთა სიას?

- მალე. იგორ კოკოშკოვს საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფების ვიდეოჩანაწერები გავუგზავნეთ და იგი გაფართოებული შეკრებისთვის შემადგენლობას არჩევს. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ 24 ივლისს ავსტრიაში 18 კალათბურთელი გაფრინდება.

- ცნობილია ისიც, რომ შარშანდელი შემადგენლობიდან 12 კალათბურთელი წლეულსაც გამოძახებულია...

- ასეა. მათ დაემატება ვლადიმერ ბოისა და კიდევ 5 მოთამაშე.

- მათ შორის ტორინ გრინიც იქნება?

- გრინი მწყობრშია და ვარჯიშს უკვე შეუდგა. მას ფეხის თითის ძვალი ჰქონია გაბზარული, ექიმები კი რთულ ტრავმას ვარაუდობდნენ. იგი აუცილებლად დაგვეხმარება.

- საქართველოს ნაკრების წევრები 24 ივლისამდე აპირებენ შეკრებას.

- ვინც თბილისში იქნება, 1 ივლისიდან ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელ ავთო ბერიძესთან ერთად შეუდგება ვარჯიშს, რათა ოფიციალურ შეკრებას მწყობრში შეხვდეს. ვინც ივლისის დასაწყისს საქართველოში არ შეხვდება, მოსამზადებელი გეგმები დაეგზავნებათ.

სლოვენიის ჩემპიონატი. ფინალი

ოლიმპია-კრკა 61:63

გიორგი შერმადინი (ოლიმპია): 11 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 1 ფოლი.

ვლადიმერ ბოისა (ოლიმპია): 9 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 შეცდომა, 4 ფოლი.

სოხუმი

ბაგაცკისი დარჩა და არჩევს

ქადარია გადაწყდა, კიდევ 5 ლეგიონერი

ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **აინარს ბაგაცკისი** „სოხუმის“ მთავარ მწვრთნელად კიდევ ერთი წლით დარჩება. შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო „სოხუმის“ მფლობელმა და პრეზიდენტმა **მინდია გულუამ** ბაგაცკისთან შეთანხმებით. ამის შესახებ გვაცნობა „სოხუმის“ პრესსამსახურის უფროსმა **თენგიზ პაჭკორიამ.** მან იქვე დაამატა, რომ ამჟამად ლატვიაში მყოფი აინარს ბაგაცკისს და უცხოეთში მოღვაწე მინდია გულუას რეგულარული კავშირი აქვთ ერთმანეთთან და ისინი მუშაობენ გუნდის ახალი მოთამაშეებით გაძლიერებაზე, რათა „სოხუმი“ სათანადოდ მოემზადოს ევროჩელენჯზე გამოსასვლელად.

სხვათა შორის, სწორედ გუშინ დასრულდა ევროჩელენჯზე გუნდების განცხადების შეტანის ვადა, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით, „არმიისა“ და „სოხუმის“ გარდა რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას ამ შეჯიბრებაში. როგორც თენგიზ პაჭკორიამ შეგვატყობინა, სოხუმელთა რიგებს უახლოეს თვეებში შეემატება 5 ძლიერი ლეგიონერი, მათ შორის იქნებიან ამერიკელები. მანამდე კი გუნდში მიიწვევენ რამდენიმე გამოცდილ ქართველ კალათბურთელს.

- ამ საკითხებზე მუშაობა მიმდინარეობს, ჯერ გვარებს ვერ გეტყვით, თუმცა გარკვეული მონახაზები უკვე არის. „სოხუმში“ დარჩება რამდენიმე კალათბურთელი, რომლებიც წარმატებით იცავდნენ გუნდის ღირსებას გასულ სეზონში. დეტალებს უახლოეს მომავალში კლუბის მთავარი მწვრთნელი მოგახსენებთ, - თქვა პრესსამსახურის უფროსმა.

ამასობაში გაირკვა ერთი ახალწვეულის ვინაობა: მომავალ სეზონში „სოხუმს“ დაეხმარება 22 წლის **ვახტანგ ქადარია**, რომელიც აშშ-დან ახლახან დაბრუნდა. ქადარია დაიბადა და გაიზარდა სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში, 2004 წელს ვარჯიში დაიწყო სენაკში, 2005 წლიდან თამაშობდა „სოხუმის“ ბავშვთა გუნდში **ვაჟა კვარაცხელიას** ხელძღვანელობით. შემდეგ გამოდიოდა თბილისის „იმედში“, საიდანაც სუპერლიგის „დინამოში“ მოხვდა.

2009-11 წლებში 206 სმ სიმაღლის ქადარიამ გამოცდილება ამერიკის კოლეჯების ლიგაში მიიღო. პირველი სეზონი კლუბ „სანტა ფეში“ ჩაატარა და საუკეთესო დებიუტანტადაც აღიარეს. 2010-11 წლებში კი იგი „მინერალ არეას“ კოლეჯში გამოდიოდა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

აინარს ბაგაცკისი

ვახტანგ ქადარია

● ნატურალიზაცია

თანამედროვე რაგბის საჯილდაო ქვა-ნატურალიზაცია

რიკი ფლატი

ნატურალიზებული მოთამაშეების თემა მსოფლიო რაგბიში საყოველთაო განსჯის საკითხი ხდება. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა თავიანთ რიგებში გადაბირებას, თითქმის ყველა, მათ შორის ბობოლა სარაგბო ნაკრებებიც არ თაკილობენ. ნატურალიზებული მოთამაშეებით სავსეა იაპონიისა და იტალიის ნაკრებები, მინიმუმ ორი ასეთი მოთამაშე ჰყავს ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკას და სხვას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ „ყველაზე სუფთა" საქართველოს და არგენტინის ეროვნული გუნდებია. ცხადია, აღარაფერს ვამბობთ ფიჯის, სამოას და ტონგას ნაკრებებზე. ამ პატარა კუნძულების შვილებზე მთელ მსოფლიოში „ნადირობაა გამოცხადებული".

ამჯერად გავიხსენებთ იმ დიდ, სახელოვან მორაგბეებს, რომლებმაც ეროვნება გამოიცვალეს და სარაგბო დიდებას უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მიაღწიეს.

პატრისიო ნორიეგა (არგენტინა, ავსტრალია)

ის მსოფლიო რაგბიში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომთაბარეა. არგენტინის ეროვნულ ნაკრებში მისი დებიუტი 1991 წელს შედგა პარაგვაის ნაკრებთან. მას შემდეგ ეროვნულ გუნდში 25 კეპი მოიხვეჭა და 1995 წლის მსოფლიო თასზეც ითამაშა.

მომდევნო წელს პატრისიო ავსტრალიაში გაემგზავრა, სადაც კანბერას „ბრამბიზში" ჩაირიცხა და ორ წელინადში ავსტრალიის ეროვნული ნაკრების კვართიც მოირგო. იმ შეხვედრაში „ვოლაბებმა" საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან ითამაშეს. 1999 წლის მსოფლიო თასზე ნორიეგა ტრავმის გამო ავსტრალიელებს ვერ დეხმარა. გამოჯანმრთელების შემდეგ კი საფრანგეთში, „სტად ფრანსეში" გადაბარგდა და უკან, ავსტრალიაში მიბრუნებულმა 2002 წლამდე ითამაშა.

რიკი ფლატი (ახალი ზელანდია, ინგლისი)

სანამ ინგლისში, 2005 წელს „ლონდონ აირიშთან" კონტრაქტს გააფორმებდა, ის ახალი ზელანდიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა. ლონდონელი ირლანდიელების კლუბის დატოვების შემდეგ რიკი ფლატი ოსფრიზში გადაბარგდა და 2008 წელს სეზონის საუკეთესო მოთამაშე გახდა. სწორედ ამ წელს, ნოემბრის ტესტებისას შედგა მისი დებიუტი ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში.

მომდევნო წელს რიკი „ბრიტანელ ლომებს" ახლდა სამხრეთაფრიკულ ტურნეში. შედეგად ის მეორე გახდა რაგბის ისტორიაში, ვისაც, როგორც „ბრიტანელი ლომების", ასევე მათ წინააღმდეგ უთამაშია. პირველი ასეთი მორაგბე ირლანდიელი **ტომ რიდი** იყო, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში თამაშობდა.

ქუადე კუპერი (ახალი ზელანდია, ავსტრალია)

დაიბადა ახალ ზელანდიაში, ოკლენდში, გაიზარდა ტოკორაში, ვაიკატოს რეგიონში. კუპერი ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში 14 წლის ასაკში გადაბარგდა. ნიჭიერი მოზარდი უმალვე შენიშნეს, კვიზლენდის სკოლა-ლიცეუმში ჩარიცხეს და სტიპენდიაც დაუნიშნეს.

ახალზელანდიურ რაგბის ნაზიარებმა კუპერმა მალე გაიკვლია გზა ავსტრალიის ახალგაზრდული ნაკრებისკენ, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიოს ჩემპიოატზე ითამაშა. მას აქ პარტნიორობას უწევდნენ **დევიდ პოქოქი, ლაკი ტერნერი, ბობ საიმონსი** და **ქართლი ბეილი.**

ქუადე კუპერის დებიუტი „ვოლაბების" შემადგენლობაში 2008 წელს შედგა. მან რამდენჯერმე გული აიცრუა და მისთვის უფრო მისაღები რაგბილიგის თამაში (ცამეტკაცა რაგბი) გადაწყვიტა. თუმცა შარშან, წლის ბოლოს ის მაინც დაითანხმეს და ავსტრალიის ნაკრების ღირსებას 2012 წლამდე დაიცავს.

სიტივენი სივივატუ (ფიჯი, ახალი ზელანდია)

დაიბადა ფიჯიში, ქალაქ სუვეში. სივივატუმ პირველი საერთაშორისო მატჩში 2004 წელს, წყნარი ოკეანის კუნძულების ნაკრების შეხვედრაში ითამაშა. ერთი წლის შემდეგ კი უკვე თავი „ოლ ბლექსში" ამოყო თავის თანამემამულე **სიონე ლაუკისთან** ერთად.

სიტივენი სივივატუ

სივივატუმ, მას შემდეგ, ახალი ზელანდიის ნაკრებში 46 კეპი მოიხვეჭა და 31 ლელო გაიტანა. 2011 წლის სექტემბრიდან ის ქართველი მორაგბის, **დავით ზირაქაშვილის** თანაგუნდელი გახდება და „ვულკანების" კვართს მოირგებს. მის სახელთანაა დაკავშირებული კუნძულელთა მიერ აგორებული კამპანია, რომელიც ამ ქვეყნების (ფიჯი, სამოა, ტონგა) მორაგბეების უკან, სამშობლოში დაბრუნებას და ეროვნული ნაკრების მაისურით თამაშის ნების დართვას ითვალისწინებს.

ფრანკო ბოტიკა (ახალი ზელანდია, ხორვატია)

მან 1986-89 წლებში ახალი ზელანდიის ნაკრებში 7 კეპი მოიხვეჭა. ბოტიკამ მერე რაგბი ლიგაში გადაინაცვლა და ოკლენდურ კლუბში 1995 წლამდე ითამაშა, თუმცა დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნიდა.

ფრანკო რაგბიში უელსურ „ჰლანეჰლისთან" კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დაბრუნდა. 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში კი, არც მეტი, არც ნაკლები, ხორვატიის ნაკრების შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეს ქვეყანა მისი წინაპრების სამშობლო იყო და IRB-ს წესებით თამაშის უფლება ჰქონდა.

ხორვატების მეტოქეები მოლდოვის, ნორვეგიის, ბულგარეთისა და ლატვიის ნაკრებები იყვნენ. ამ უკანასკნელებთან მატჩში მან 23 ქულა მოუტანა გუნდს, თუმცა ტრავმა მიიღო და 1998 წლამდე არ უთამაშია. გამოჯანმრთელების შემდეგ, ბოლო შეხვედრა ხორვატიის ნაკრების რიგებში იტალისთან გამართა. ბოტიკამ ამ თამაშში 27 ქულას მოუყარა თავი, თუმცა მისი გუნდი 27:39 დამარცხდა.

ძმები ბიშოპები (ახალი ზელანდია, სამოა, იაპონია)

სტივენ ბიშოპი ცხრა ნომერი იყო. მის ძმა **გრემი** კი მგეზავი (N10). ამ უკანასკნელმა პირველად ახალი ზელანდიის ნაკრებში 1989 წელს ითამაშა. ორი წლის თავზე კი მისი უფროსი ძმა სტივენი სამოას ნაკრებში ჩაირიცხა. 1994 წელს ორივე ძმები დააწყვილეს და სამშობლოს, ახალი ზელანდიის ნაკრებში ათამაშეს. სტივენმა „ოლ ბლექსში" ხუთი კეპიდან ოთხი ძმასთან ერთად მოიხვეჭა.

1995 წელს ორივე ძმამ უარი თქვა ახალი ზელანდიის ნაკრებში თამაშზე. გრემი იაპონიაში გადაბარგდა და ამ ნაკრების კვართი მოირგო, სტივენი კი სამოაში დაბრუნდა. 1998 წელს მათ ორჯერ ითამაშეს ამ ქვეყნების ნაკრებების მატჩში ერთმანეთის წინააღმდეგ.

● IRB-ს ერთა თასი

მარცხნივ ილია ზედგინიძე

ნაკრებს ვეტერანი უკაპიტნებს

დღეს საქართველოს ნაკრები ბუქარესტში IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში პირველ მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნების" მეტოქე სამხრეთ აფრიკის „კინგზი" იქნება, რომელიც ამ ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონების ნაკრებია.

ჩვენი გუნდის შოტლანდიელმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** სამატჩო განაცხადში ოთხი დებიუტანტი შეიყვანა. მათგან ორი შუამარბი **გიორგი ჯიმშელაძე** და მესამეხაზელი **გივი ბერიშვილი** ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ. ცხრა ნომერი **გიორგი ბეგაძე** და შერკინების კვაჭი **შალვა მამუკაშვილი** სათადარიგოთა შორის იქნებიან.

საქართველოს ნაკრებს ვეტერანი **ილია ზედგინიძე** უკაპიტნებს, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ ფულბეკი **მალხაზ ურჯუკაშვილი,** შუამარბი **ირაკლი გიორგაძე,** პირველხაზელები **გოდერძი შველიძე** და **აქვსენტი გიორგაძე,** რომლებმაც ევროპის ერთა თასის გათამაშების მატჩები სხვადასხვა მიზეზის გამო გამოტოვეს.

საქართველო: 15. მალხაზ ურჯუკაშვილი, 14. ბესიკ ხამაშურიძე, 13. გიორგი ჯიმშელაძე, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ბიძინა სამხარაძე. 1.გოდერძი შველიძე, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. ვასილ კაკოვინი, 4. ილია ზედგინიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. გივი ბერიშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. ზვიად მაისურაძე

16. შალვა მამუკაშვილი, 17. კარლენ ასეიშვილი, 18. გიორგი ნემსაძე, 19. დიმიტრი ბასილაია, 20. გიორგი ბეგაძე, 21. სანდრო თოდუა, 22. ბექა ურჯუკაშვილი

IRB-ს ერთა თასი

10 ივნისი

რუმინეთი-ნამიბია, საქართველო-სამხრეთ აფრიკა კინგზი, არგენტინა A-პორტუგალია

15 ივნისი

საქართველო-არგენტინა A, რუმინეთი-სამხრეთ აფრიკა კინგზი, პორტუგალია-ნამიბია

19 ივნისი

პორტუგალია-სამხრეთ აფრიკა კინგზი, საქართველო-ნამიბია, რუმინეთი-არგენტინა A

● მსოფლიო თასი

დეფილიერსმა მეორე ბანაკი მოაწყო

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** აქამდე გამოცხადებული ნაკრების 33-კაციან სიას კიდევ ოთხი მორაგბე დაამატა. ესენია პარიზული „მეტრო რასინგის" ფულბეკი **ფრანსუა სტეინი,** „ოლსტერისა" და „ლაიონზის" ცხრა ნონრები **რუან პინარი** და **ბუჩ ჯეიმზი,** „ჩუტა ზის" მესამეხაზელი **ეშლი ჯონსონი.**

ამ მორაგბეებს პირველ საწვრთნელ ბანაკში, რომელიც მაისის პირველ დეკადაში გაიმართა, მონაწილეობა არ მიუღიათ, ვინაიდან ევროპულ კლუბებში ასპარეზობდნენ.

„ის, რომ მორაგბე ამ სიაში არ არის, არ ნიშნავს, რომ მას ამის შანსი დაკარგული აქვს. პირველი საწვრთნელი ბანაკი იმისთვის გამოვიყენეთ, რომ მოთამაშეებისთვის განგვემარტა ჩვენი მიზნები და მზადების პრინციპები. ამჟამად კი, როცა გაფართოებულმა შემადგენლობამ თითქმის სრულყოფილი სახე მიიღო, მზადების აქტიურ ეტაპზე გადავალთ", - თქვა დე ფილიერსმა.

სამხრეთ აფრიკა: ჯონ სმითი, ვიქტორ მეტფილდი, ვილემ ალბერტსი, ხიო აპლონი, ანდრის ბეკერი, ბაკის ბოთა, ჰაინრიხ ბროსუ, სხალკ ბურხერი, ჟუან დე იონგი, იან დე ფილიერსი, ბისმარკ დუ პლესი, იანი დუ პლესი, ფური დუ პრი, ჟაკ ფური, ბრაიან ჰაბანა, ფრანსუა ჰუგარი, ბუჩ ჯეიმზი, ეშლი ჯონსონი, ვერნერ კრუხერი, პატრიკ ლამბიე, ტენდაი მთავარირა, ლუაზი მვოვო, ოდოვა ნდუნგანე, ვინანდ ულიფიე, კოენი ოოსტუიზენი, რუან პინარი, ჯი პი პიტერსენი, ჩილიბოი რელეპელე, დენი როსუ, ჟუან სმითი, პიერ სპისი, ხუთრო სტენკამპი, ფრანსუა სტეინი, მორნი სტეინი, ადრიან შუსტერი, ფილიპ ფან დერ მერვე, დან ვერმულენი.

● ჩერჩილის თასი

კანადა უკვე ფინალშია

„ჩერჩილის თასის" გათამაშებაში, რომელიც წლეულს ინგლისში ტარდება, ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველ ტურში შეჯიბრების მასპინძელმა და ფავორიტმა ინგლისის A ნაკრებმა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გუნდი გაანადგურა 87:8, ხოლო იტალიის A ნაკრები კანადის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა 12:26.

კანადელებმა მეორე ტურში რუსეთის ნაკრებს ხუთი ლელო გაუტანეს და 34:18 მოუგეს. შედეგად ნეკერჩხლის ფოთლებმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ჩრდილოამერიკელთა მეტოქის ვინაობა ტონგასა და ინგლისის A ნაკრებების შეხვედრაში გაირკვევა. ტონგელებმა თავიანთ პირველ მატჩში აშშ-ის ნაკრებს 44:13 მოუგეს და მასპინძლებთან გამარჯვების შემთხვევაში ფინალში გააღწევენ.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

● ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი



მატჩი ჩხუბმაც დაამშვენა

ბოსტონური კოშმარი გაგრძელდა

„ბოსტონ ბრუინზის“ ჰოკეისტებმა გაათანაბრეს ფინალურ სერიაში ანგარიში. მეოთხე მატჩი „დათვებმა“ „მშრალი“ ანგარიშით მოიგეს, შეხვედრის ბოლოს კი გუნდებმა ისევ ვერ აიცილეს თავიდან ჩხუბი. მატჩის გმირები გახდნენ „ბოსტონის“ მეკარე **ტიმ ტომასი,** რომელმაც 38 დარტყმა მოიგერია და დუბლის ავტორი ფორვარდი **რიჩ პევერლი.**

ბოსტონში მგზავრობა „ვანკუვერისთვის“ ნამდვილ კოშმარად გადაიქცა. ბულმა ორივე შეხვედრა წააგო, თანაც შაიბების კატასტროფული შეფარდებით - 1:12. ბოლოს ფინალური სერიის მესამე და მეოთხე მატჩები 10-შაიბიანი (ან მეტი) უპირატესობით 1984 წელს „ედმონტონმა“ მოიგო და სტენლის თასის მფლობელი გახდა.

მესამე მატჩში 1:8 წაგების შემდეგ „ვანკუვერის“ ჰოკეისტები შეეცადნენ დაევიწყებინათ ის უიღბლო მატჩი და თავიდან თითქოს მოახერხეს ეს. სტუმრები უფრო მეტს ურტყამდნენ, მაგრამ ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. სეზონის მსვლელობიდან „ატლანტადან“ აყვანილმა პევერლიმ სასტარტო პერიოდის შუაში აჯობა **რობერტო ლუონგოს**.

მეორე პერიოდშიც თითქმის თანაბარი თამაში მიდიოდა. მაგრამ თუ „ბოსტონის“ მეკარე **ტიმ ტომასი** ყველა დარტყმას იგერიებდა, **რობერტო ლუონგოს** კვლავ შეექმნა პრობლემები. **მაიკლ რაიდერმა** და **ბრედ მარშანმა** მასპინძლების უპირატესობა სოლიდური გახადეს - 3:0.

მესამე 20-წუთეულის სტარტზე პევერლიმ დუბლი გაიფორმა და ცხადი გახდა, რომ „ვანკუვერი“ თამაშის გადარჩენას ვეღარ შეძლებდა. მეოთხე გოლის შემდეგ „ვანკუვერის“ კარში ლუონგო სათადარიგო **კორი შნაიდერმა** შეცვალა. სხვათა შორის, უმსხვილესი კანადური გამოცემის - The Globe and Mail-ის რესპონდენტების 59 პროცენტს მიაჩნია, რომ მეხუთე შეხვედრაში „ვანკუვერის“ ძირითადი მეკარე სნორედ შნაიდერი უნდა იყოს.

სტუმრები ბოლომდე ეცადნენ ერთი საპასუხო შაიბის გატანას, მაგრამ მხოლოდ ორ გრანდიოზულ ჩხუბს გამოკრეს ხელი. თავდაპირველად მარშანმა და **კიტ ბალარდმა** იჩხუბეს, მატჩის ბოლოსკენ კი სტუმრების ფორვარდი **ალექს ბაროუზი** და მეკარე ტომასი შეებნენ ერთმანეთს. „დათვების“ მეკარეს **დენის საიდენბერგი** და **ზდენო ხარა** გამოექომაგნენ, „ვანკუვერის“ მხრიდან კი ბრძოლაში **რაიან კესლერი** ჩაება.

პირველი, ვინც ბოსტონელებს წარმატება მიულოცა, მათი ტრავმირებული პარტნიორი **ნათან ჰორტონი** იყო, რომელიც **აარონ რომთან** შეჯახების შემდეგ დასრულდა.

„ჩვენ ჯერაც გვაქვს საკუთარი მოედნის უპირატესობა, - განაცხადა მატჩის შემდეგ რობერტო ლუონგომ. - *ამის გამო მთელი სეზონის განმავლობაში ვიბრძოდით. შინ ისევე უნდა ვითამაშოთ, როგორც ეს პირველ ორ შეხვედრაში გავაკეთეთ“.*

ინტერესს იწვევს ორი სტატისტიკური მონაცემი. მესამე მატჩის დროს ზეიმი მოუწყვეს „ბოსტონის“ პრეზიდენტ **კემ ნილს,** რომლის რვანომრიანი მაისურა ხმარებიდან ამოიღეს - იმ მატჩში „ბრუინზმა“ რვა გოლი გაიტანა. გუშინ ლეგენდარული მცველის **ბობი ორის** 4-ნომრიანი მაისურა დაკიდეს ადგილობრივი არენის თაღზე... და „ბოსტონმა“ 4 გოლი გაიტანა. მეექვსე მატჩში უნდა დაუძახონ **რეი ბურკს** (ნომერი 77) ან თუნდაც **ფილ ესპოზიტოს** (ნომერი 7).

და კიდევ, ტიმ ტომასმა მიმდინარე პლეი ოფში 701 დარტყმა მოიგერია, რაც მეორე შედეგია ისტორიაში. პირველ ადგილზეა „ვანკუვერის“ გოლკიპერი **კირკ მაკლინი**, რომელიც 1994 წლის გათამაშებაში 761 დარტყმას გადაეღობა. კიდევ ორი მატჩი და ტიმი, შესაძლოა, ახალი რეკორდსმენი გახდეს.

ფინალი. IV მაჯრი

ბოსტონი-ვანკუვერი	4:0

1:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 პევერლი-3 (კრეისი-10, ხარა-7), 2:0 რაიდერი-7 (სეგუინი-4, კელი-8), 3:0 მარშანი-8 (ბერჟერონი-14), 4:0 პევერლი-4 (ლუჩიჩი-7, კრეისი-11).

სერია: 2-2

● ავტომოტოსპორტი

რას ვნახავთ უქმეებზე?

მომავალი უქმეები დატვირთული იქნება ავტომოტოსპორტული მოვლენებით. ფორმულა 1-ში კანადის გრანპრის გარდა, რა თქმა უნდა, უდიდეს ინტერესს გამოიწვევს ლეგენდარული „ლე მანის 24 საათი“. აქ გამარჯვებულის პროგნოზირება რთულია, რადგან 24-საათიან რბოლას ყველა მანქანა ვერ გაუძლებს, თუნდაც ის „აუდის“ ან „პეჟოს“ შექმნილი იყოს. სწორედ ეს საქარხნო გუნდები მიიჩნევიან ფავორიტებად.

მოტორბოლებშიც ინტრიგა საკმარისადაა. ბევრ გულშემატკივარს აინტერესებს - შეძლებს თუ არა **ხორხე ლორენსო** კონკურენტების შეჩერებას და ლიდერობის შენარჩუნებას? ამ კითხვაზე პასუხს მალე გავიგებთ.

ფორმულა 1

კანადის გრანპრი

ადგილი - მონრეალი, ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომი
წრის სიგრძე - 4 361 მ
წრეების რაოდენობა - 70
წრეზე რეკორდი - 1:13,662: რუბენს ბარიკელო (2004)
შარშანდელი გამარჯვებული - ლუის ჰემილტონი

საერთო ჩათვლა

1. ფეტელი (რედ ბული) - 143
2. ჰემილტონი (მაკლარენი) - 85
3. უებერი (რედ ბული) - 79
4. ბატონი (მაკლარენი) - 75
5. ალონსო (ფერარი) - 69

განრიგი

10 ივნისი, 18:00 - I პრაქტიკა
10 ივნისი, 22:00 - II პრაქტიკა
11 ივნისი, 18:00 - III პრაქტიკა
11 ივნისი, 21:00 - კვალიფიკაცია
12 ივნისი, 21:00 - რბოლა

ლე მანის 24 საათი

ადგილი - სარტე, საფრანგეთი
წრის სიგრძე - 13 629 მ
შარშანდელი გამარჯვებული - მაიკ როკენფელერი, ტიმო ბენჰარდი, რომენ დიუმა (Audi)

განრიგი

9 ივნისი, 21:00 - კვალიფიკაცია
9 ივნისი, 22:00 - კვალიფიკაცია
9 ივნისი, 00:00 - კვალიფიკაცია
11 ივნისი, 11:00 - გასახურებელი წრე
11 ივნისი, 17:00 - რბოლა

მოტორბოლა

ბრიჯანსტონის გრანპრი

ადგილი - სილვერსტოუნი
წრის სიგრძე - 5 901 მ
წრეების რაოდენობა - 70
შარშანდელი გამარჯვებული - ხორხე ლორენსო (Yamaha)

საერთო ჩათვლა

1. ლორენსო (Yamaha) - 98
2. სტოუნერი (Honda) - 91
3. დოვიციოზო (Honda) - 63
4. პედროსა (Honda) - 61
5. როსი (Ducati) - 58

განრიგი

10 ივნისი, 13:10 - I პრაქტიკა
10 ივნისი, 17:10 - II პრაქტიკა
11 ივნისი, 13:10 - III პრაქტიკა
11 ივნისი, 16:55 - კვალიფიკაცია
12 ივნისი, 12:30 - გასახურებელი წრე
12 ივნისი, 16:00 - რბოლა

სუპერბაიკი

ადგილი - მიზანო, იტალია
წრის სიგრძე - 4 064 მ

საერთო ჩათვლა

1. ჩეკა (Ducati) - 195
2. მელანდრი (Yamaha) - 134
3. ბიანჯი (Aprilia) - 133
4. ლეივერტი (Yamaha) - 109
5. ჰესლამი (BMW) - 95

განრიგი

11 ივნისი, 16:00 - Superbike. სუპერპოული
11 ივნისი, 17:05 - Supersport. კვალიფიკაცია
12 ივნისი, 13:00 - Superbike. რბოლა №1
12 ივნისი, 14:30 - Supersport. რბოლა
12 ივნისი, 16:30 - Superbike. რბოლა №2



ჩემპიონობამდე ჯერ აღრეა

სებასტიან ფეტელი

ყველა პილოტს კანადის გრანპრის შესახებ საკუთარი მოგონებები აქვს. მაგალითად, 2007 წლის რბოლიდან ძირითადად ახსოვთ **რობერტ კუბიცას** ავარია, რომელიც იმ დროს „BMW-ზაუბერში“ გამოდიოდა. **სებასტიან ფეტელი,** მაშინ ჯერ კიდევ 19 წლის ბიჭი, სარეზერვო პილოტი იყო და პოლონელი შემდეგ ეტაპზე ინდიანაპოლისში შეცვალა. თუმცა კანადური უქმეები მას კიდევ ერთი რამით დაამახსოვრდა...

- „ზაუბერის“ ერთ-ერთმა მექანიკოსმა საღამოს მონრეალის ცნობილ სექსკლუბში წამიყვანა, მაგრამ ამ სანახაობას ვერ გავუძელი და გამოვიქეცი.

- კანადაში გადაფრენისას რით ხართ დაკავებული თვითმფრინავში? ფრენა ხომ შვიდი საათის განმავლობაში გრძელდება...

- ჩვეულებრივ, ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობისას ვასწრებ ორი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის ნახვას, და მუდამ თან მაქვს iPod, ასე რომ, მუსიკაც მშველის.

- ძილს არ იშველიებთ?

- თვითმფრინავში ძილი არ არის სასარგებლო, რადგან კანადაში ადგილობრივი დროით დღის სამ საათზე ჩავდივართ და რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩავერთო კანადურ რიტმში.

- რას ელოდებით კანადის გრანპრისგან 2011 წლის სეზონში, რომელშიც ექვსიდან ხუთი რბოლა გაქვთ მოგებული?

- რა თქმა უნდა, მორიგ წარმატებას. თუმცა კვალში გვიდგას „მაკლარენი“. შარშან მონრეალში ჩემს მანქანას ტექნიკური პრობლემა შეექმნა. ამიტომაც ლუის ჰემილტონის, ჯენსონ ბატონისა და ფერნანდო ალონსოს შემდეგ მეოთხე ადგილი დავიკავე.

- ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად მიგიჩნევენ და საბუკმეიკერო კანტორებში თქვენს ჩემპიონობაზე კოეფიციენტი უკვე 1.15-მდე დაეცა. ხოლო თქვენ წინააღმდეგ თანხის დადების შემთხვევაში, ყოველ დახარჯულ 10 ევროზე 42 ევროს აიღებთ...

- ასე ნაადრევ პროგნოზებს არ გავაკეთებდი. ჩემპიონატი გრძელია და, რა თქმა უნდა, მისი ბედი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. გარდა ამისა, ჩვენ შეიძლება უიღბლო სერია დაგვეწყოს ან „რედ ბული“ ტექნიკამ დააღალატოს...

- მონრეალში, როგორც წესი, არ გიმართლებთ: მაგალითად, შარშან გზად აეროპორტიდან სასტუმროსკენ ვიღაცამ თქვენი საკრედიტო ბარათი მოიპარა.

- სანამ დანაკარგი შევამჩნიე და ბარათი დავბლოკე, ვიღაც ცუდმა ადამიანმა მოასწრო ვახშმობა და ამაში 600 ევრო გადაიხადა.

● კრივი

ჩემპიონი გარდაიცვალა

პროფესიულ კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **ხენარო ერნანდესი** 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდი ხანი კიბოს იშვიათი ფორმით იყო დაავადებული. ხენარო გასული საუკუნის 90-იან წლებში ხანგრძლივი პერიოდით ფლობდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს 59 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

ერნანდესი 1991 წელს გახდა WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი და ტიტულს 1994 წლამდე ფლობდა. ის აგრეთვე 1997-98 წლებში WBC-ის საუკეთესო მოკრივე იყო.

სულ ამერიკელს პროფესიულ რინგზე 14 ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული, აქედან 38 მოიგო (17 ნოკაუტით), ორჯერ დამარცხდა და ერთი ბრძოლა ფრედ დასრულდა. მას დამარცხებული ჰყავდა ისეთი ცნობილი მოკრივეები, როგორებიც არიან **რაულ პერესი, აზუმა ნელსონი** და **ანატოლი ალექსანდროვი**.

ერნანდესმა კარიერაში პირველი მარცხი 1995 წელს ლეგენდარული **ოსკარ დე ლა ჰოიასგან** იწვნია, როცა ცოტა ხნით გადავიდა 61 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. 1998 წლის ოქტომბერში **ფლოიდ მეივეზერთან** წააგო და რამდენიმე თვეში კარიერა დაასრულა.

ნანდომ სასამართლო მოიგო

„ფერარის“ ლიდერმა **ფერნანდო ალონსომ** ტელეკომპანია Antena 3-ს სასამართლო პროცესი მოუგო და მორალური კომპენსაციის სახით 73 ათასი ევრო მიიღო.

2009 წლის დეკემბერში ესპანურმა არხმა გამოაცხადა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო თავის მეუღლეს **რაკელ დელ როსარიოს** შორდება. ავტომრბოლმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ტელეკომპანია ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ამხილა.

მადრიდის სასამართლომ გუშინ გამოიტანა საბოლოო განაჩენი და ტელეკომპანიას კომპენსაციის სახით 73 ათასი ევროს გადახდა დაუწესა. გარდა ამისა, Antena 3-მა პირდაპირი ეთერით უნდა მოუხადოს ბოდიში ესპანელ ავტომრბოლს.

ალონსომ უკვე გამოაცხადა, რომ საკომპენსაციო თანხას UNICEF-ის ბავშვთა ფონდში გადარიცხავს.

ფერნანდო ალონსო

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჩოგბურთი. ტურნირები

ნადალმა სეზონი გახსნა

მიურეიმ სეტის წაგებით დაიწყო

მორიგ სათამაშო დღეს უმთავრესი მოვლენები ლონდონის ტურნირზე განვითარდა. ბალახის სეზონი გახსნა როლან გაროსის ჩემპიონმა **რაფაელ ნადალმა**. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ორ სეტში მოუგო რეიტინგის 168-ე ნომერს, ავსტრალიელ **მეტიუ ებდენს**. ესპანელმა თითო სეტში თითო ბრეიკი აიღო და ესეც საკმარისი აღმოჩნდა მოგებისთვის - 6:4, 6:4.

ნადალის შემდეგი მეტოქე იქნება ჩეხი **რადეკ შტეპანეკი**, რომელმაც **ივან ლუბიჩიჩთან** პირველი სეტი „მშრალი" ანგარიშით წააგო, მაგრამ შემდეგ შეძლო სიტუაციის გამოსწორება და მეტოქის 15 ეისის მიუხედავად, კორტი გამარჯვებულმა დატოვა. ამასთან, ჩეხმა ჯამში ხორვატზე ცხრა ქულით ნაკლები აიღო.

კიდევ ერთი ფავორიტის **ენდი მიურეისა** და ბელგიელი **ქსავიე მალისეს** მატჩი წვიმის გამო შეწყდა. მეტეოროლოგიური პირობების გარდა, მაყურებელი თავად მიურეიმაც ანერვიულა. თუმცა ენდიმ მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება. ბრიტანელმა ექვსიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, ერთადერთი წაგებული ბრეიკი მეორე სეტის დათმობად დაუჯდა. თავად ენდიმ შვიდიდან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, 12 ეისი დააგროვა და მხოლოდ ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

იანკო ტიპსარევიჩმა და **მაიკლ რასელმა** ორი ტაი-ბრეიკი ითამაშეს და ორივე შემთხვევაში ოდნავ ძლიერი იყო სერბი, რომელმაც შემდეგ წრეში საათსა და 56 წუთში გააღწია. ტიპსარევიჩი მერვედფინალში სწორედ მიურეის შეხვდება.

ტომაშ ბელუჩიმ და **მარსელ ილჰანმაც** ორი ტაი-ბრეიკი ითამაშეს, მაგრამ მათი შეხვედრა სამი სეტი გაიწელა და ბოლოს ბრაზილიელმა მაინც გატეხა თურქის წინააღმდეგობა. **მარინ ჩილიჩმა** 11 ეისის წყალობით დამაჯერებლად გაიარა **არნო კლემანის** ბარიერი, **კევინ ანდერსონმა** არანაკლებ დამაჯერებად ჩამოიცილა გზიდან **დანიელ იანგი**. ასევე აღვნიშნავთ ორი არგენტინელის გამარჯვებას. **ხუან მარტინ დელ პოტრომ** **იგორ კუნიცინს** მოუგო, **დავიდ ნალბანდიანი** კი **ილია ბოჟოლიაკზე** ძლიერი აღმოჩნდა.

ჰალეში მხოლოდ ხუთი მატჩი გაიმართა და მათგან აღსანიშნავია **მილოშ რაონიჩის** კარგი თამაში მოწოდებაზე. ახალგაზრდა კანადელმა 14 ეისი ჩააწოდა გერმანელ **ტობიას კამკესთან** შეხვედრაში, გამოიყენა ბრეიკ-პოინტის ერთადერთი შანსი და ორ სეტში გაიმარჯვა.

■ ■ ■

ბირმინგემში ქართველ **ანა ტატიშვილს** სეხნია **ანა ივანოვიჩთან** მატჩში რაც დაემართა, ამაზე გუშინდელ ნომერში ვწერდით, ამიტომაც თქვენს ყურადღებას სხვა მატჩებზე შევაჩერებთ.

თითქმის ორი საათი დასჭირდა **დანიელა ჰანტუხოვას სორანა კირსტეას** დასამარცხებლად. სლოვაკი ჩოგბურთელის აქტივში უნდა შევიტანოთ ის ფაქტი, რომ მან არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ მისცა მეტოქეს, თავად კი ექვსი ასეთი შანსიდან ხუთი გამოიყენა. მიუხედავად ამისა, მატჩი დროში მაინც გაიწელა.

ძალიან რთული გამარჯვება მოიპოვა **შუაი პენგმა** - გამოცდილ ჩინელს ნაკლებად ცნობილ **ნაომი ბროუდისთან** დაპირისპირებაში სამი სეტის ჩატარება დასჭირდა. არადა, ამ მატჩში ბრიტანელის ანგარიშზე 17 ეისი მოდიოდა, მაგრამ ასეთი სტაბილური მოწოდების მიუხედავად, შემდეგ წრეში მაინც აზიელმა გააღწია.

აღვნიშნავთ აგრეთვე **საბინ ლისიცკის** გამარჯვებას **კირსტენ ფლიპკენსის** წინააღმდეგ. ამაში გერმანელს 10 ეისი დაეხმარა. ასევე **სარა ერანის** მოგებას **კრისტინ მაკჰეილზე** ყოველგვარი ეისის გარეშე. კარგ ფორმაში იყო ბოლო პერიოდში რუსი **ეკატერინა მაკაროვა**, მაგრამ მან ამჯერად ვერაფერი მოუხერხა **ტამირა პაჩეკს**. აღსანიშნავია, რომ მეტოქეებმა თანაბარი რაოდენობის ქულები (79) აიღეს.

არგენტინული ამბები

ხისელა დულკო

ამერიკის ღია პირველობის ექსჩემპიონი და რეიტინგის ყოფილი მეოთხე ნომერი **ხუან მარტინ დელ პოტრო** 7-9 ივლისს დევისის თასის მეოთხედფინალში არგენტინის ნაკრებში ითამაშებს ყაზახეთის წინააღმდეგ. ეს მატჩი ბუენოს აირესში გაიმართება. ინფორმაცია დევისის თასის პრესსამსახურმა გაავრცელა.

მსოფლიოს 22-ე ნომერს დევისის თასზე ორი წელია არ უთამაშია. იმ მატჩში არგენტინამ სტუმრად მეოთხედფინალში წააგო ჩეხეთის ნაკრებთან.

არგენტინა ყოველთვის ითვლება დევისის თასის გათამაშების ფავორიტად, მაგრამ ეს პრიზი არასოდეს მოუგია.

■ ■ ■

ამასობაში, ქალებს შორის არგენტინის პირველი ნომერი და WTA-ის რეიტინგის ლიდერი წყვილთა თანრიგში **ხისელა დულკო** აცხადებს, რომ 2011 წლის უიმბლდონზე ტრავმის გამო არ ითამაშებს. დულკომ დაზიანება როლან გაროსზე მიიღო. ფრანგ **მარიონ ბარტოლისთან** მეოთხე წრის მატჩში არგენტინელმა ბარძაყის ტრავმის გამო თქვა უარი ბრძოლის გაგრძელებაზე.

„სამწუხაროდ, წელს ვერ შევძლებ უიმბლდონზე გამოსვლას, რადგან ჩემი ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და ხანგრძლივი დრო დამჭირდება სრულად გამოჯანმრთელებისთვის", - დაწერა „ტვიტერის" სოციალურ ქსელში დულკომ.

ჯოკოვიჩს რაფამ მიჰბაძა

რაფაელ ნადალი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** მეორე მოთამაშეა, ვინც წელს სეზონის შემაჯამებელ ტურნირში თამაში გაინაღდა. უფრო ადრე ეს უფლება წლევანდელი სეზონის ლიდერმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მოიპოვა.

ნადალმა პირველი წრის მატჩი მოიგო ლონდონში მიმდინარე ტურნირზე და სწორედ ამის შემდეგ გამოცხადდა, რომ ის სეზონის ბოლოს ATP-ის მსოფლიო ტურის ფინალში ითამაშებს.

„წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა - დიდი პატივია ჩემთვის. ლონდონი ბრწყინვალე ქალაქია, ხოლო „O2-არენა", სადაც სეზონის დასკვნითი მატჩები იმართება, ერთ-ერთი საუკეთესო გადახურული სტადიონია მსოფლიოში.

შარშან ჩემთვის ტურნირი ძალიან კარგად წარიმართა, ფინალამდე მივაღწიე, რამდენიმე ემოციური მატჩი ჩავატარე. მოხარული ვარ, რომ ისევ მომიწევს იქ ჩასვლა", - განაცხადა ნადალმა.

ესპანელს წელს მოგებული აქვს სამი ტურნირი - მონტე კარლო, ბარსელონა და როლან გაროსი.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი

პოლონეთი-საფრანგეთი	0:1

იტალია

სერია A/B. პლეი ოფი

პადოვა-ნოვარა	0:0

ესპანეთი

II დივიზიონი

ვალიადოლიდი-ელჩე	1:0

ფინეთი

ჰონკა-ჰიკ	0:2
ინტერი-ჰაკა	6:1
იუვიასკიულა-ვაასა	2:0
კუოპიო-მიუპა	2:0
როვანიემი-ტურკუ	1:1

ავსტრია

პლეი ოფი

ვენა-პარნდორფი	3:0

კალათბურთი

ესპანეთი

ბარსელონა-ბილბაო	74:64

თურქეთი

გალათასარაი-ფენერბაჰჩე	97:93 (ო)

ჩოგბურთი

ATP. ჯალე

მონფილსი-დოდიგი	6:2, 6:3
დოლგოპოლოვი-კოლშრაიბერი	3:6, 6:7
ფ. მაიერი-ლუ	7:6, 3:6, 6:4
ჰიუიტი-სეპი	6:4, 6:4

ATP. ლონდონი

როდიკი-ანდერსონი	6:4, 6:4
ვერდასკო-ნალბანდიანი	7:5, 6:1
ცონგა-ლოდრა	6:3, 6:0
მიურეი-ტიპსარევიჩი	6:4, 7:6
სიმონი-მანარინო	7:6, 4:6, 0:3 უარი
ნადალი-შტეპანეკი	6:3, 5:7, 6:1
ჩილიჩი-ბელუჩი	7:6, 0:6, 6:3
კუერი-უორდი	გადაიდო

WTA. ბირმინგემი

რისკე-რეზაი	7:5, 6:7, 6:2
კუდრიავცევა-ჰანტუხოვა	4:6, 2:6
ლუჩიჩი-ჭლავაჩკოვა	6:2, 7:5
პენგი-უოტსონი	7:6, 6:1
ლისიცკი-პაჩეკი	7:6, 6:4
ერაკოვიჩი-ერანი	5:7, 6:4, 6:3
რიბარიკ.-არ. როდიონოვა	6:7, 6:0, 6:1
ივანოვიჩი-მარინო	6:3, 6:2

WTA. კოპენჰაგენი

ვოსკობოევა-ჟანგი	3:6, 6:2, 3:6
კრაიჩეკი-საფაროვა	7:6, 4:6, 2:6
მატეკი-ლარსონი	6:7, 6:0, 7:6
ვოზნიაცკი-კერბერი	7:6, 6:3

TV პროგრამა

10 ივნისი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
12:00 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჩეზენა.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-პოლანდია. შვეიცარია.
18:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იტალია-ჰოლანდია. შვეიცარია (LIVE).
20:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. კუბა-იაპონია. შვეიცარია (LIVE).
22:30 ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერი.
00:30 ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი.

GMG-სპორტი

10:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). II ეტაპი. კანი. საფრანგეთი.
12:20 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეხუთე მატჩი.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პირველი, მეორე და მესამე ტურის მიმოხილვა.
23:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეხუთე მატჩი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

19:45 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ზენიტი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

18:25 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იტალია-ჰოლანდია. შვეიცარია (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი. ვანკუვერი-ბოსტონი. მეხუთე მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
18:25 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ტერეკი-ცსკა (LIVE).
20:45 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-კრასნოდარი (LIVE).
23:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

15:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-ლოკომოტივი (LIVE).
17:30 რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-ნალჩიკი (LIVE).
19:45 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ზენიტი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
22:00 WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

18:55 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-3 ადგილისთვის. უნიქსი-ლოკომოტივი. პირველი მატჩი (LIVE).

SPORT+

04:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი. ვანკუვერი-ბოსტონი. მეხუთე მატჩი (LIVE).

EUROSPORT

15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. VI ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. ფინალი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT-2

14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბირმინგემი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბირმინგემი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. მე-3 ადგილისთვის. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:15 რაგბი. IRB-ის ერთა თასი. შესარჩევი. იაგუარები (არგენტინა)-პორტუგალია (LIVE).

ამბები

ჩოგბურთი

მამამ შვილი გაქურდა

ფრანგმა ჩოგბურთელმა **არავან რეზაიმ** როლან გაროსის საჩოგბურთო კომპლექსთან ახლოს მდებარე პოლიციის განყოფილებაში განცხადება შეიტანა მამის - **არსალან რეზაის** წინააღმდეგ. სპორტსმენი ამტკიცებს, რომ მშობელმა მამამ არავანს ათობითი ათასი დოლარი მოჰპარა.

არავანსა და არსალანს შორის ურთიერთობა ავსტრალიის წლევანდელი პირველობის დროს დაიძაბა. მაშინ უფროს რეზაის ტურნირზე გამოჩენაც კი აუკრძალეს. თავად არსალანი აცხადებს, რომ ქალიშვილისთვის პრობლემა არასოდეს შეუქმნია. გასულ კვირას არავანის მამამ განაცხადა, რომ უფულოდ არის დარჩენილი და ძალიან აღელვებს საკუთარი მომავალი.

პარიზის პოლიციას ჯერ არ მიუღია არსალან რეზაის დაკავების გადაწყვეტილება.

ჩინური რეკორდი

WTA-ის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, როლან გაროსზე **ნა ლისა** და **ფრანჩესკა სკიავონეს** ფინალს 116-მა მილიონმა ჩინელმა ტელემაყურებელმა ადევნა თვალი.

სახელმწიფო ტელეკომპანიის CCTV-ის მონაცემებით, ტელემაყურებელთა რაოდენობის წინა რეკორდი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისას დაფიქსირდა, როცა ნა ლი ფინალში **კიმ კლაისტერსს** ხვდებოდა. მაშინ იმ მატჩს 60-მა მილიონმა ადამიანმა ადევნა თვალი.

WTA-ის შეფმა **სტეისი ალასტერმა** განაცხადა, რომ 116-მილიონიანი ტელეაუდიტორია იმის მაჩვენებელია, რომ ჩინეთში ქალთა ჩოგბურთმა უკვე დიდ სიმაღლეებს მიაღწია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

დამსახურებული შვებულება

რუნის ოჯახობა

ბრძოლი საფეხბურთო სეზონის შემდეგ ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავებმა დასასვენებლად სხვადასხვა კურორტს მიაშურეს და პაპარაცებსაც სამუშაო მიეცათ.

„ჩელსის" კაპიტანი **ჯონ ტერი** მეუღლესთან - **ტონისთან** და ორ შვილთან ერთად აბუ დაბის პლაჟზე ნებივრობს.

მისი თანაგუნდელი **ფრენკ ლემპარდი** და მისი საცოლე **კრისტინ ბლიკლი** ამერიკაში გაემგზავრნენ. კერძოდ, ეს წყვილი ლას ვეგასში ისვენებს.

ხოლო ბრიტანეთის ორი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის - **უეინ რუნისა** და **ენდი კეროლის** გზები კუნძულ ბარბადოსზე გადაიკვეთა. „ლივერპულის" ფორვარდი აქ გერლფრენდ **სტეისი მილერთან** ერთად ისვენებს, რუნის კი თან ახლავს მეუღლე კოლინი და ვაჟი კაი.

ენდი კეროლი გერლფრენდთან ერთად

ჯონისა და ტონის შვილებისთვის არ სცალიათ

ფრენკი და კრისტინი - პაპარაცებმა იყოჩაღეს

ჩოგბურთი

ფედერერმა მერსედესი შეამოწმა

ფედერერი ახალ მერსედესთან

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** თავისი ერთ-ერთი სპონსორის - „მერსედესის" 2012 წლის სპორტული მოდელის - SLS AMG Roadster-ის ტესტ-დრაივი ჩაატარა. ამ ავტომობილის შეძენა მხოლოდ 2012 წელს იქნება შესაძლებელი.

„ეს მართლაც სერიოზული მანქანაა. ჯერჯერობით მისი შეკვეთა არ არის შესაძლებელი, თუმცა მე მომეცა მის საჭესთან დაჯდომის შანსი. ავტომობილი ისე მომეწონა, რომ შემიძლია მას ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მანქანა ვუწოდო", - განაცხადა ლეგენდარულმა შვეიცარიელმა.

კაროლინ ნიუ იორკში დასახლდება

WTA-ის რეიტინგის პირველმა ნომერმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ნიუ იორკში ორი ბინა შეიძინა.

აპარტამენტები ორ-ორი საძინებელი ოთახით მანჰეტენის ქვედა ნაწილში, იუნიონ-სკვერის მოედანზე მდებარეობს. თანამედროვე მინის შენობა ადრე საიუველირო კომპანია „ტიფანის" შტაბ-ბინა იყო. ახლა აქ 36 საცხოვრებელი ბინაა მოწყობილი. გარდა ამისა, შენობაშია აუზი, საუნები, სპა-სალონი, მასაჟის კაბინეტები, სატრენაჟორო დარბაზი, იოგისა და კრივის დარბაზები... ვოზნიაცკის მიერ შეძენილი უძრავი ქონება 9 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

დანიელი ჩოგბურთელის წარმომადგენლებმა კომენტარი არ გააკეთეს ამ შენაძენთან დაკავშირებით, თუმცა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ დოკუმენტებს ხელი მოაწერა ჩოგბურთელის დედამ - **ანა ვოზნიაცკიმ**.

კაროლინ ვოზნიაცკი

კიმმა მწვრთნელი დაიბრუნა

კიმი ახალ ძველ მწვრთნელთან ერთად

ბელგიელმა ჩოგბურთელმა **კიმ კლაისტერსმა** გადაწყვიტა განაახლოს თანამშრომლობა მწვრთნელ **კარლ მაესთან** - წერს სპორტსმენის ოფიციალური ვებგვერდი. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ამ სპეციალისტთან 1995-2002 წლებში თანამშრომლობდა. როგორც იტყობინებიან, მაესი კიმის ამჟამინდელ მწვრთნელთან **ვიმ ფისეტთან** გაინაწილებს ვალდებულებებს.

მაესი ბელგიის ნაკრების კაპიტანი იყო ფედერაციის თასზე, სათავეში ედგა ქალთა ჩოგბურთს ბრიტანეთში, აგრეთვე ბელგიელი **კირსტენ ფლიპკენსის** პირადი მწვრთნელი გახლდათ.

„მაესის გამოცდილება და პროფესიონალიზმი ჩემს თამაშში აუცილებელ კორექტივებს შეიტანს", - წერია კლაისტერსის განცხადებაში.

ტრიატლონი

ბატონი პობის არ ივიწყებს

ტრიატლონისტები

კანადის გრანპრის წინ „მაკლარენის" პილოტმა **ჯენსონ ბატონმა** თავის შეყვარებულთან - **ჯესიკა მიჩიბატასთან** ერთად მონაწილეობა მიიღო ტრიატლონში, რომელიც ინგლისის ქალაქ ბლენჰეიმში გაიმართა. ტურნირის მონაწილეებს უნდა გაეცურათ 750 მეტრი, ველოსიპედით გაევლოთ 20 კილომეტრი და გაერბინათ 5.4 კილომეტრი.

ბატონმა ეს საათში, 9 წუთსა და 50 წამში გააკეთა და საბოლოოდ, მეხუთე მივიდა ფინიშთან. ჯესიკამ იგივე მანძილი საათში, 47 წუთსა და ერთ წამში დაფარა და ქალებს შორის სამეულში შესვლა მოახერხა. რბოლის გამარჯვებულის დრო იყო 59 წუთი და 30 წამი. სულ ტურნირში 5 500 ადამიანი იღებდა მონაწილეობას.

„მიყვარს ტრიატლონი. ეს მეგობრებთან შეხვედრის ერთ-ერთი იშვიათი შესაძლებლობაა. ბლენჰეიმის ტურნირი ფანტასტიკურია, მაგრამ ამასთანავე - რთული.

მთელ მსოფლიოში მიმილია ტრიატლონის სტარტებში მონაწილეობა, მაგრამ ის, რომელიც ჩემს სამშობლოში იმართება, განსაკუთრებულია", - განაცხადა ბატონმა.

კალათბურთი

დირკი ტემპერატურით თამაშობდა

„დალას მავერიქსის" ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** ფინალური სერიის მეოთხე მატჩი 38,3 გრადუსი ტემპერატურით ითამაშა. ამის შესახებ წერს სააგენტო „როიტერი". ავადმყოფობის მიუხედავად, ნოვიცკიმ „მაიამის" 21 ქულა ჩაუგდო და თავის გუნდს 3 ქულით გამარჯვებაში (86:83) დაეხმარა. სწორედ გერმანელმა შეასრულა ფარქვეშ გადამწყვეტი შესვლა, რის შემდეგაც სხვაობა სამი ქულა გახდა და დარჩენილ ექვს წამში „ჰიტმა" მატჩის გადარჩენა ველარ შეძლო.

მატჩის წინ ნოვიცკის თითქმის მთელი ღამე არ უძინია. შეხვედრის შემდეგ მან აღნიშნა, რომ მეხუთე მატჩამდე კარგად გამოძინებას აპირებს, რათა სერიის გადამწყვეტ თამაშს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.

სხვათა შორის, მეოთხე მატჩში დირკმა 21 ქულას 11 მოხსნაც დაუმატა და ორმაგი დუბლი შეასრულა. მან მოედანზე 39 წუთი გაატარა, თამაშიდან 19-ჯერ ისროლა და ექვსი ბურთი მოათავსა კალათში, აგრეთვე ცხრიდან რვა საჯარიმო ჩააგდო.

სერიაში ანგარიში 2:2-ია. მეხუთე მატჩი დალასში გაიმართება, რის შემდეგაც გუნდები მაიამიში გადაინაცვლებენ, სადაც მეექვსე და მეშვიდე (თუ საჭირო გახდა) მატჩები უნდა ჩატარდეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა